

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

*ნიკა ტულუში*



**თურქეთი, როგორც მედიატორი რუსეთ-უკრაინის ომში**

**დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა**

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის  
მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი:

**თორნიკე თურმანიძე**

საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო  
ურთიერთობების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

**თბილისი 2023**

## ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომის „თურქეთი, როგორც მედიატორი რუსეთ-უკრაინის ომში“ მიზანს წარმოადგენს უპასუხოს კითხვას თუ რატომ აირჩია თურქეთმა მედიატორის როლი. აღნიშნული საკვლევითი კითხვის საპასუხოდ ნაშრომში შესწავლილია საგარეო პოლიტიკური არჩევანის განმაპირობებელი ფაქტორები თურქეთის პრეზიდენტის რეჯეპ ტაიპ ერდოღანის პირადად მსოფლმხედველობა, სახელმწიფოს ეკონომიკურმა მდგომარეობა, საზოგადოებრივმა განწყობები და საერთაშორისო ლიდერობის ამბიციები. ნაშრომში განხილულია აღნიშნული ცვლადების ურთიერთმიმართება, რომელმაც განაპირობა მედიაციის პროცესი. თურქეთის მედიატორი როლის არჩევის დროს მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ომის მიმდინარეობისას მას ახლო ურთიერთობა გააჩნდა დაპირისპირებულ ქვეყნებთან, ამასთანავე მას, როგორც ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრს უნდა გაეზიარებინა დასავლური ქვეყნების მიერ მიღებული პოლიტიკური დღის წესრიგი რუსეთთან მიმართებით, თუმცა თურქეთმა მიიღო უნიკალური გადაწყვეტილება და მსოფლიოს წინაშე წარმოჩნდა, როგორც მედიატორი. სწორედ აღნიშნული უნიკალური გადაწყვეტილება წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის სიახლეს, რადგან საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ თურქეთის ქმედებების შესახებ მცირე მასშტაბის კვლევითი ნაშრომები მოიძიება და აქედან გამომდინარე, არსებობს მოლოდინი, რომ კვლევაში დასმულ მიზნები და ამოცანები მნიშვნელოვანი იქნება თურქეთის საგარეო პოლიტიკით დაინტერესებული მკვლევარებისთვის. ნაშრომის თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებული იქნა ნეოკლასიკური რეალიზმი, რამაც კვლევის მიმდინარეობისას შესაძლებელი გახადა მედიატორი როლის განმაპირობებელი ფაქტორების ანალიზის სამივე დონის დახმარებით განხილვა. აღსანიშნავია, რომ ნაშრომში დამტკიცდა შესავალში დასმული ჰიპოთეზა და დადასტურდა ხსენებული ცვლადების როლი თურქეთის საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების ფორმირებაში.

## Abstract

The aim of the master's thesis "Turkey as a mediator in the Russia-Ukraine war" is to answer the question why Turkey chose the role of a mediator. In response to the aforementioned research question, the thesis examines the factors determining foreign policy choices, the personal worldview of the Turkish President Recep Tayyip Erdogan, the state's economic situation, public attitudes and Ambitions of international leadership. The paper discusses the interrelationship of these variables, which led to the mediation process. When choosing the role of Turkey as a mediator, it is important to take into account that during the war, it had close relations with the opposing countries, at the same time, as a member of the North Atlantic Alliance, it had to share the political agenda accepted by the Western countries order in relation to Russia, although Turkey made a unique decision to present itself to the world as a mediator. This unique decision is the novelty of the master's thesis, because after the start of the conflict, there is little research on Turkey's actions, and therefore, there is an expectation that the goals and objectives of the research will be important for researchers interested in Turkey's foreign policy. Neoclassical realism was used as the theoretical framework of the paper, which made it possible to discuss the mediating role with the help of all three levels of analysis. It should be noted that the paper confirmed the hypothesis stated in the introduction and confirmed the role of the mentioned variables in the formation of Turkey's foreign policy decision.

## სარჩევი

1	შესავალი:.....	5
2	ლიტერატურის მიმოხილვა.....	18
3	რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობისას თურქეთის მედიაცია და მისი შედეგები 25	
3.1	მოლაპარაკებების სამი ფაზა .....	25
3.2	თურქეთის მედიაციის შედეგი.....	29
4	თურქეთის პრეზიდენტის რეჟეპ ტაიპ ერდოღანის პიროვნული ფაქტორი საგარეო პოლიტიკური არჩევნის ჩამოყალიბებაში.....	33
4.1	ერდოღანის მსოფლმხედველობის და ამბიციების ჩამოყალიბება.....	33
4.2	ერდოღანის პერსონალური დიპლომატია რუსეთ-უკრაინის ომში .....	39
5	სახელმწიფოებრივი ეკონომიკური მდგომარეობის და საზოგადოებრივი განწყობების გავლენა საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე .....	44
5.1	თურქეთის ეკონომიკური მდგომარეობის გავლენა საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე.....	44
5.2	შიდა საზოგადოებრივი განწყობები.....	52
6	თურქეთის საერთაშორისო და რეგიონალური ლიდერობის ამბიციების გავლენა მედიატორის როლზე.....	62
6.1	საერთაშორისო წესრიგის გავლენა თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე .....	62
6.2	მედიაციის პროცესი და საერთაშორისო და რეგიონალური ლიდერობის ამბიციები.....	68
7	თეორიული ანალიზი .....	77
8	დასკვნა:.....	81
9	გამოყენებული ლიტერატურა.....	85

## 1 შესავალი:

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის უკრაინაში სამხედრო ინტერვენციამ თავდაყირა დააყენა საერთაშორისო წესრიგი და მსოფლიო მნიშვნელოვან სამხედრო-პოლიტიკურ დამაბულობის ზღვარზე გადის. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის ყველაზე სისხლისმღვრელმა ომმა დამაბულობა გამოიწვია სხვადასხვა ქვეყანაში და რეგიონალურ არეალში. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ უმწვავესი ხასიათი მიიღო მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების პოლიტიკურმა დაპირისპირებამ, რომლებიც აღნიშნული საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ სხვადასხვა პოლიტიკურ ბანაკში გადანაწილდნენ და გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ჩამოყალიბდა 3 ბანაკი, რომელთა ერთი ნაწილი სრულ მხარდაჭერას უცხადებს უკრაინას, მეორე ნაწილი ერთგვარ დიპლომატიური ფანდებით ცდილობს კონფლიქტის არცერთ მხარეს არ მიემხროს და მესამე ნაწილი აქტიურად უჭერს მხარს რუსეთის ფედერაციას.

სახელმწიფოთა სხვადასხვა ბანაკებში გადანაწილება განპირობებული იყო მათი დამოკიდებულებით კონფლიქტისადმი. მეტად საყურადღებო გარემოება გამოიკვეთა თურქეთის სახელმწიფოსთან მიმართებით, პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ თურქეთი 1952 წლის შემდეგ არის ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი<sup>1</sup>, რომელსაც სიდიდით მეორე ადგილზე მყოფი შეიარაღებული ძალები ჰყავს ნატოს წევრ ქვეყნებს შორის, არის ნატოს სახმელეთო ჯარების შტაბის მასპინძელი და მის ტერიტორიაზე განთავსებულია ნატოს საერთო საჯარისო დანაყოფები. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ თურქეთი 1999 წლის ჰელსინკის სამიტის შემდგომ არის ოფიციალური კანდიდატი ევროკავშირში გაწევრიანების, ხოლო 2005 წლის შემდგომ თურქეთს დაწყებული აქვს ევროკავშირთან სრული ინტეგრაციის პროცესი, რომელიც გარკვეული მოთხოვნების შესრულების შემდგომ ითვალისწინებს მის სრულ გაწევრიანებას ორგანიზაციაში. 2014 წლიდან მოყოლებული თურქეთი ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიას მიიჩნევს საერთაშორისო ნორმების დარღვევად და

---

<sup>1</sup> შემდგომში მოხსენიებული იქნება, როგორც ნატო

აგრესიად, სამხედრო-პოლიტიკურ მხარდაჭერას უცხადებს უკრაინას და აღიარებს მის ტერიტორიულ მთლიანობას.

მეორე მხრივ აღსანიშნავია, რომ თურქეთი მნიშვნელოვან წილად გაუცხოვდა დასავლურ საზოგადოებასთან და ხსენებულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ამავდროულად ის სულ უფრო მეტად უახლოვდება რუსეთის ფედერაციას, ისლამური სამყაროს ქვეყნებს, ცენტრალური აზიის თურქული წარმოშობის და ჩრდილო აფრიკის ქვეყნებს. მნიშვნელოვანია რომ თურქეთს და ნატოს შორის ურთიერთობების გამწვავების უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს თურქეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება შეესყიდა რუსული წარმოშობის ს-300 ტიპის საჰაერო თავდაცვის სისტემა. სირიაში მიმდინარე კონფლიქტის დროს გარკვეული ხასიათის თანამშრომლობა გადრმავდა რუსეთ-თურქეთს შორის და ამავდროულად საერთაშორისო მედიაში სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობდა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის და თურქეთის პრეზიდენტის რეჯეპ ტაიპ ერდოღანის ოფიციალური შეხვედრები და მათ შორის ჩამოყალიბებული მჭიდრო მეგობრული თანამშრომლობები. ომის მიმდინარეობისას, თურქეთი არ შეუერთდა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს, რამაც განაპირობა ქვეყნის ბაზარზე რუსული ეკონომიკური აქტივების კოლოსალური ზრდა და „ქვეყანა იქცა ერთგვარ ნავსაყუდელად რუსი ოლიგარქებისთვის, მობილიზაციას გამოქცეული პირებისთვის, ტურისტული ნაკადებისთვის, ამასთანავე გაიზარდა ორმაგი დანიშნულების ტვირთების ექსპორტი რუსეთში“ (D'Angelo, 2022).

თურქეთმა საკუთარი არჩევნით ყოფილიყო მედიატორი ცალსახად განაცხადა, რომ შეეცდებოდა მხარეთა პოზიციების დაახლოებას და რეგიონული მშვიდობის უზრუნველყოფას. თურქეთი იქცა მოლაპარაკებების გამართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილად, რომელიც დასავლეთს და რუსეთს შორის მკვეთრად გაუარესებული ურთიერთობების დროს ე.წ „მოლაპარაკებების ფანჯრის“ ფუნქციასაც ასრულებს, თურქეთში გაიმართა სხვადასხვა დონის შეხვედრები, გაფორმდა შეთანხმებები და შედგა მოლაპარაკებები, მიუხედავად ამისა არსებობდა ვარაუდი, რომ თურქეთი, როგორც ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრი იმოქმედებდა საერთო კოალიციური პოლიტიკის შესაბამისად, ის როგორც ევროკავშირში გაწევრიანების მსურველი,

ვალდებული იყო რუსეთის ფედერაციისთვის დაეწესებინა სანქციები და როგორც, შავი ზღვის უსაფრთხოების მნიშვნელოვან აქტორს უნდა ჰქონოდა მკვეთრი რეაქცია რუსეთის სამხედრო აგრესიის წინააღმდეგ. აღნიშნული ვარაუდები მოსალოდნელისგან განსხვავებულად განვითარდა და ამ ყველაფერს საკუთარი განმაპირობებელი ფაქტორები ჰქონდა, რომელიც პოლიტიკური ანალიზის სამივე დონეს ერთობლივად შეეხება.

ყოველივე აღნიშნული მეტყველებს, რომ თურქეთს რეგიონში აქვს საკუთარი მიზნები, რომლებიც ნაკარნახევია სახელმწიფოს ინტერესებიდან და აღნიშნული განპირობებულია, როგორც თურქეთის მმართველო რგოლის ომთან დამოკიდებულებით, ისე შიდა სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო ასპექტებით.

**საკვლევი კითხვა:**

რა ფაქტორებმა განაპირობა თურქეთის გადაწყვეტილება რუსეთ-უკრაინის ომში შეესრულებინა მედიატორის როლი?

**ჰიპოთეზა:** თურქეთის მიერ რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით არჩეული მედიაციის პოლიტიკა, ნაკარნახევია თურქეთის პრეზიდენტის რეჟეპ ტაიპ ერდოღანის პირადი მსოფლმხედველობით, თურქეთის გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობით, შიდა საზოგადოებრივი განწყობებით და რეგიონალური და საერთაშორისო ლიდერობის ამბიციებით.

**დამოკიდებული ცვლადი:** თურქეთის მიერ რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობისას არჩეული მედიატორის როლი.

**დამოუკიდებელი ცვლადი:**

- თურქეთის პრეზიდენტის რეჟებ ტაიპ ერდოღანის მსოფლმხედველობა და ამბიციები.
- თურქეთის გაუარესებული შიდა ეკონომიკური მდგომარეობა და საზოგადოებრივი განწყობები.
- მედიაციის პროცესი და რეგიონალური და საერთაშორისო ლიდერობის ამბიციები.

პირველ დამოუკიდებელ ცვლადში იგულისხმება თურქეთის პრეზიდენტის რეჟებ ტაიპ ერდოღანის პოლიტიკური ხედვა, რამაც განაპირობა თურქეთის მიერ მედიატორის როლის არჩევა, აღსანიშნავია რომ წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული პერსონალური დიპლომატიის და ავტორიტარული მმართველობის ფორმით ერდოღანი იქცა საგარეო პოლიტიკური არჩევანის განმსაზღვრელ სუბიექტად. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ის პიროვნული ფაქტორები რამაც განსაზღვრა თურქეთის არჩეული პოლიტიკა.

მეორე დამოუკიდებელ ცვლადთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია შეფასდეს ომის საწყის პერიოდში არსებული თურქეთის ეკონომიკური მდგომარეობა და შიდა საზოგადოებრივი განწყობები, ვინაიდან ხსენებული ფაქტორებს მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდათ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

20 წლიანი მმართველობის პერიოდში თურქეთის საგარეო პოლიტიკურ დისკურსში ყოველთვის იყო საუბარი რეგიონალური და საერთაშორისო ლიდერობის მიღწევაზე, ხსენებული ომის საწყის პერიოდში ნათლად გამოჩნდა, რომ კონფლიქტი საერთაშორისო ასპარეზზე მნიშვნელოვან ძვრებს გამოიწვევდა და აღნიშნულ გეოპოლიტიკურ ტურბულენტურ გარემოში თურქეთმა საკუთარი ავტორიტეტის და გავლენების გაძლიერების შესაძლებლობა დაინახა.



**კვლევის მიზანი:** საკვლევი თემის მიზანია, შეფასდეს თურქეთის მიერ არჩეული მედიატორის როლის განმსაზღვრელი ფაქტორები, ის პიროვნული, სახელმწიფოებრივი და საგარეო პოლიტიკური ფაქტორები, რამაც გავლენა მოახდინა შავი ზღვის უსაფრთხოებაზე. ზემოაღნიშნული მიზნიდან გამომდინარე კვლევის მიმდინარეობისას გამოიკვეთა შემდეგი ამოცანები:

- თურქეთის პრეზიდენტის რეჟებ ტაიპ ერდოღანის პიროვნული ფაქტორი თურქეთის საგარეო პოლიტიკური არჩევნის ჩამოყალიბებაში.
- ეკონომიკური მდგომარეობის და საზოგადოებრივი განწყობების ასახვა საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე
- თურქული მედიაციის პროცესის გავლენა რეგიონალური და საერთაშორისო ლიდერობის ამბიციების განსახორციელებლად.

#### **კვლევის სიახლე და მნიშვნელობა:**

აღსანიშნავია, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებისთვის სიახლეს წარმოადგენს რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობისას თურქეთის მედიატორის როლი, ვინაიდან 2022 წლის 24 თებერვალს დაწყებულმა საომარმა მოქმედებებმა მსოფლიო პოლიტიკა სრულიად ახლებური გამოწვევების წინაშე დააყენა, რომელთან გასამკლავებლად განსხვავებული გზა აირჩია თურქეთმა და ამასთან, მნიშვნელოვანია შეფასდეს ის გარემოებები, რამაც განაპირობა თურქეთის ხელისუფლების არჩევანი. აღსანიშნავია, რომ საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ თურქეთის ქმედებების შესახებ მცირე მასშტაბის კვლევითი ნაშრომები მოიძიება და აქედან გამომდინარე, არსებობს მოლოდინი, რომ კვლევაში დასმულ მიზნები და ამოცანები მნიშვნელოვანი იქნება თურქეთის საგარეო პოლიტიკით დაინტერესებული მკვლევარებისთვის. სწორედ ამიტომ, აღნიშნული ნაშრომი მცირე წვლილს შეიტანს საერთაშორისო პოლიტიკის კვლევებში.

#### **კვლევის მეთოდები:**

სამაგისტრო ნაშრომის საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად შერჩეული იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები. თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით

შესაძლებელი გახდა თურქეთის საგარეო პოლიტიკური ქმედებების განმაპირობებელი ფაქტორების სიღრმისეული ანალიზი და შესწავლა.

კვლევის მეთოდად არჩეული იქნება მონოგრაფიული კვლევა, რომელიც ინგლისური ტერმინის „Case study“-ს ქართულ შესატყვის წარმოადგენს.

„მონოგრაფიული გამოკვლევა ცალკეული შემთხვევის, თემის ან სოციალური ჯგუფის სიღრმისეული და ყოველმხრივი შესწავლაა მკვლევართა ხელთ არსებული ყველა საშუალებით“ (ზურაბიშვილი, 2006).

აღსანიშნავია, რომ შემთხვევის შესწავლის დროს მკვლევარს შესაძლებლობა ეძლევა გამოიკვლიოს ყველა ის მნიშვნელოვანი გარემოება, რასაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა საკვლევი თემატიკაზე. ამ დროს შესაძლებელია მრავალმხრივი მონაცემების შეგროვება, რათა მოხერხდეს საკვლევ კითხვაზე პასუხის გაცემა. სამაგისტრო ნაშრომში შესწავლილია თურქეთის გადაწყვეტილება ყოფილიყო მედიატორი რუსეთ-უკრაინის ომში და თითოეული ის გადაწყვეტილების განმაპირობებელი მოვლენა, რომელიც ანალიზის დონის სამ დონეს შეეხება და ვრცელდება, როგორც მმართველის პიროვნულ მახასიათებლებზე, ამბიციებზე და ავტორიტეტზე, ასევე შიდა სახელმწიფოებრივ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე და უკანასკნელ პერიოდში არჩეულ საგარეო პოლიტიკის მიმართულებაზე.

„ითვლება, რომ მონოგრაფიული გამოკვლევა ყველაზე ეფექტურია, როგორც რომელიმე სოციალური პრობლემის შესწავლის, მისი პირველადი აღწერის საშუალება ...“ (ზურაბიშვილი, 2006).

გარდა ამისა, ნაშრომში დამხმარე მეთოდურ ჩარჩოდ გამოყენებული იქნა კონტენტ-ანალიზი და დისკურსის ანალიზი. კონტენტ-ანალიზი წარმოადგენს კვლევის იმგვარ ფორმას, როდესაც შესაძლებელი ხდება კვლევის მიმდინარეობისას დოკუმენტების და წერითი სახით წარმოდგენილი მასალების ანალიზი. ხსენებული მეთოდი თვისებრივი კვლევისთვის მნიშვნელოვანი პროცედურაა. ამ დროს დიდ ინფორმაციულ ნაკადში მიღებული მასალის გარჩევა, შეჯამება და ანალიზი ხდება, რომელიც მიზნად ისახავს ნაშრომის თემის განზოგადებას ან/და შემოწმებას.

აღსანიშნავია, რომ ნებისმიერ ტექსტს მრავალგვარი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, სწორედ ხსენებული კვლევის მიმდინარეობისას ექვემდებარება ინტერპრეტაციას.

რაც შეეხება დისკურსის ანალიზს, ის არის თვისებრივი კვლევის მეთოდი, რომელიც წარმოადგენს დოკუმენტების კვლევას, ნაშრომში გამოყენებული იქნება კრიტიკული დისკურს ანალიზი. დისკურსის ანალიზი შესაძლებელია სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით გაკეთდეს, ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია განცხადებების შინაარსის ანალიზის ჩატარება, ტექსტების შინაარსის კატეგორიზაცია და მათი კვლევის მიზნების შესაბამისად გამოყენება. მეორე მხრივ შესაძლებელია გაკეთებულ განცხადებებში მეტაფორების, წინააღმდეგობების, ირონიის გამოვლენა. დისკურსის ანალიზი წარმოადგენს ცალკეულ დოკუმენტებსა და წყაროებს შორის ურთიერთკავშირის დადგენის მეთოდს და მათ განზოგადებას.

„დისკურსი ადგენს მიმართებებს ცალკეულ ტექსტებს შორის, რადგანაც ტექსტები არ არის იზოლირებული, არამედ ერთმანეთს უკავშირდება, დისკურსი ერთგვარი თემების შენაღობებია ტექსტში. კრიტიკული დისკურს ანალიზის საგანია კონკრეტული თემატიკის შემცველი ტექსტები ან გამონათქვამები იმ დისკურსული კონტექსტის გათვალისწინებით, რომელიც მნიშვნელოვანია ტექსტის გასაგებად, როცა დისკურსის მოქმედების არეალი სცდება ერთი ტექსტის ფარგლებს.“ (გოგელია, 2020).

განხილული ორი მეთოდის მიხედვით, კვლევის მიმდინარეობისას შესწავლილი იქნა ოფიციალური დოკუმენტები, სტატიები, მხარეთა მიერ მიღებული შეთანხმებები, პოლიტიკური ლიდერების გამოსვლები და მათი პირადი დამოკიდებულებები კონფლიქტთან დაკავშირებით და სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც წარმოაჩენენ ქვეყნის მდგომარეობას.

კვლევის მიმდინარეობისას ასევე გამოყენებული იყო, პროცესის მიდევნების მეთოდი (Process tracing), რომლის გამოყენებითაც შევეცადე მეჩვენებინა მიზეზშედეგობრივი კავშირი თურქეთის არჩეულ მედიატორის როლს და მის გავლენას შავი ზღვის უსაფრთხოებასა და რუსეთ-უკრაინის ომზე. ამავდროულად, ვინაიდან ხსენებული კონფლიქტი აქტიურად მიმდინარეობს და ყოველდღიურ ცვლილებებს განიცდის მნიშვნელოვანია ომის საწყისი პერიოდიდანვე შეფასდეს თურქული მხარის

პოზიციები, განცხადებები და მოქმედებები. პროცესის მიდევნების მეთოდს დავიდ კოლიერი შემდეგ ნაირად ახასიათებს:

„პროცესის მიდევნების მეთოდი მიჩნეულია თვისებრივი კვლევის მნიშვნელოვან პროცესად, რომელიც გვთავაზობს სისტემურ შესწავლას კვლევის მიმდინარეობისას გამოკვეთილი, გაანალიზებული და გამორჩეული მონაცემების, რომელიც პასუხობს მეცნიერის მიერ განსაზღვრულ საკვლევ კითხვასა და ჰიპოთეზას“ (Collier, 2011).

პროცესის მიდევნების მეთოდი გვეხმარება თეორიებს და მიმდინარე პროცესებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენაში, რომელიც გამყარებულია შედარებითი ანალიზის მეთოდებით და ის გვეხმარება პროცესების მიმდინარეობის სრულმასშტაბიანი სურათის წარმოსახვაში და მისგან მოსალოდნელი განვითარების განსაზღვრაში.

თვისებრივი კვლევის ფუნქცია არის განმარტებითი, ვინაიდან თვისებრივი კვლევა მიზნად ისახავდა განემარტა თურქეთის ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური არჩევანის გამომწვევი საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი პოლიტიკურ-ეკონომიკური გარემოებები. თვისებრივი კვლევის ტრადიცია - კრიტიკული თეორიაა, ვინაიდან კვლევის დროს შეფასდა თურქეთის საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის გავლენა, რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობისას არჩეულ მედიატორის როლზე და ამასთან, განიხილება ხსენებულის კავშირი შავი ზღვის უსაფრთხოებაზე.

### **თეორიული ჩარჩო:**

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებში უმნიშვნელოვანესი როლი უკავია ნეოკლასიკურ რეალიზმს. თეორიის მიხედვით, საგარეო პოლიტიკის ხასიათის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ განხორციელებული პოლიტიკური აქტებისა და ამ აქტებისგან მოსალოდნელი შედეგების შესწავლით. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია გავარკვიოთ, რა გააკეთეს რეალურად სახელმწიფო მოხელეებმა და მათი ქმედებების მოსალოდნელი შედეგებიდან შეგვიძლია ვივარაუდოთ, რა შეიძლება ყოფილიყო მათი მიზნები.

ნეოკლასიკური რეალიზმი წარმოადგენს კლასიკური რეალიზმისა და ნეორეალიზმის დამაბალანსებელ თეორიას, რომელშიც თავის მხრივ გაზიარებულია ორივე მიდგომის საფუძვლები. ნეოკლასიკური რეალიზმისთვის დამახასიათებელია საერთაშორისო პოლიტიკის მოვლენის ახსნა პოლიტიკური ანალიზი სამი დონის მიხედვით, რომელიც არის: პიროვნული, შიდა სახელმწიფოებრივი და სტრუქტურული (Ripsman, 2011).

კლასიკური რეალიზმის მიმდევრები სახელმწიფოთა ქმედებების შეფასების დროს უმთავრესად აქცენტს აკეთებენ შიდა სახელმწიფოებრივ ფაქტორებზე, ლიდერის პიროვნულ მახასიათებლებზე, სახელმწიფო ინსტიტუციებზე, მის ინტერესებზე და უსაფრთხოების გამოწვევებზე.

განსხვავებით კლასიკური რეალიზმიდან ნეორეალიზმი საგარეო პოლიტიკის უმთავრეს ფაქტორად მოიაზრებს საერთაშორისო წესრიგის ანარქიულობას, რაც განაპირობებს სახელმწიფოთა პოლიტიკის ფორმირებას და რომელიც თავის მხრივ დაცლილია ადამიანური ეგოიზმისა და მოტივაციისაგან. ნეორეალიზმის მიხედვით სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის შემუშავების მამოძრავებელი ძალა არის საერთაშორისო ანარქიულ გარემოში ძალთა ბალანსის მიღწევა.

1959 წელს გამოცემულ წიგნში „ადამიანი, სახელმწიფო და ომი: თეორიული ანალიზი“ (Waltz K., 1959) კენეტ უოლცმა ჩამოაყალიბა საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის სამი დონე: პერსონალური, სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სისტემის დონე. პირველი დონის მიხედვით საერთაშორისო ურთიერთობების და ომების უმთავრეს ცენტრს წარმოადგენს ადამიანის ხასიათი და ქმედებები. ომები წარმოადგენს ადამიანის ეგოიზმის, აგრესიული იმპულსების და უაზრობის შედეგს. აღნიშნულის მიხედვით სახელმწიფოთა ქმედებებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სახელმწიფოს ლიდერის მსოფლმხედველობა, მართვის სტილი და ყველა ის ადამიანური თვისება, რის საფუძველზეც მართავს სახელმწიფოს (Waltz K. N., International Conflict and Human Behavior, 1959).

მეორე დონის მიხედვით, სახელმწიფოს გარეგან მოქმედებებზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს შიდა სახელმწიფოებრივ დეფექტებს. სახელმწიფოს დონის მიხედვით, თავად სახელმწიფოს პოლიტიკურ სისტემას მოაქვს კონფლიქტები, მნიშვნელოვანია

ქვეყანა ავტორიტარულია, ტოტალიტარულია თუ დემოკრატიული, რადგან ეს პირდაპირ აისახება საგარეო პოლიტიკაზე. აღნიშნულის გამოხატულება შესაძლებელია იყოს დესპოტი ხელისუფლების მიერ საკუთარი ქვეშევრდომების შევიწროება, რაც იწვევს მათ შორის დაძაბულობას და აღნიშნული შეიძლება გამოვლინდეს საგარეო თავგადასავლებში, ანუ სახელმწიფოს საერთაშორისო პოლიტიკაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს შიდა პოლიტიკურმა დაძაბულობამ, რომელიც მმართველს ავალდებულებს კონკრეტული ქმედებებით განმუხტოს არსებული მდგომარეობა და ხშირად კონფლიქტებიც ამ მიზნით იწყება, რათა მოხდეს საზოგადოების ურთიერთ დაკავშირება (Waltz K. N., *International Conflict and the Internal Structure of State*, 1959).

მესამე დონის მიხედვით, საერთაშორისო ასპარეზზე სახელმწიფოთა ქმედებებზე გავლენას ახდენს საერთაშორისო სისტემა, სწორედ აღნიშნული სისტემის ანარქიულობა განაპირობებს ომებს. „როდესაც საერთაშორისო უამრავი სახელმწიფოა, რომელთა შორისაც არ ფუნქციონირებს საერთო, ყველასთვის სავალდებულო სამართლებრივი სისტემა და თითოეული სახელმწიფო საკუთარი ეროვნული ინტერესების შესაბამისად მოქმედებს - ომი გარდაუვალია“ (ოხანაშვილი, 2018). სახელმწიფოთა ქმედებებისთვის მნიშვნელოვანია მათი როლი აღნიშნულ ძალთა ბალანსში.

სწორედ ზემოაღნიშნული თეორიების სიმბიოზურ ფაქტორებს აქცევს ყურადღებას ნეოკლასიკური რეალიზმი, რომელიც აცხადებს, რომ საერთაშორისო ასპარეზზე სახელმწიფოთა ქმედებები განპირობებულია მმართველის პიროვნული მახასიათებლებით, შიდა სახელმწიფოებრივი მდგომარეობით, სახელმწიფო უსაფრთხოებაზე ზრუნვით და საერთაშორისო წესრიგის ანარქიულობით. ნეოკლასიკური რეალიზმის მთავარ ნიშანს წარმოადგენს სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკის საერთაშორისო პოლიტიკის განზომილებაში შეტანა. ხსენებულ თეორიას აქვს შესაძლებლობა შეავსოს რეალიზმის თეორიების ნაკლოვანებები და აქვს უნარი გარკვეული ფორმით იწინასწარმეტყველოს განსახილველი საკითხის მომავალი განვითარება.

თეორიის ფუძემდებელი გიდეონ როუზი საკუთარ ნაშრომში „ნეოკლასიკური რეალიზმი და საერთაშორისო პოლიტიკის თეორიები“ (Rose, 1998), აცხადებს, რომ

ნეოკლასიკური რეალიზმი ცდილობს ერთგვარი შუა რგოლი მოირგოს კლასიკური რეალიზმის მიმდევრებს და ნეორეალიზმის მიმდევრებს შორის. მისივე განცხადებით ნეოკლასიკური რეალიზმი აერთიანებს საგარეო და შიდა პოლიტიკურ ცვლადებს, აახლებს და ახდენს მათ სისტემატიზაციას. ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ფარგლებს და ამბიციებს განაპირობებს უპირველეს ყოვლისა მისი ადგილი საერთაშორისო სისტემაში და კონკრეტულად მისი მატერიალური ძალაუფლების შესაძლებლობები, თუმცა შესაძლებლობების გავლენა სახელმწიფოთა ქმედებებზე არაპირდაპირია თუ მასზე სტრუქტურული ზეწოლა არ განხორციელდა. აღნიშნული ნაშრომის მიხედვით, საგარეო პოლიტიკური არჩევნის განსაზღვრაში მნიშვნელოვანია რეალური პოლიტიკური ლიდერების და ელიტების ხედვები, ამბიციები და მსოფლმხედველობა, შესაძლებელია მათი დამოკიდებულებები აღემატებოდეს ფიზიკური რესურსების ან ძალების შედარებითი რაოდენობის მნიშვნელობას. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ლიდერებს და ელიტებს შესაძლებელია ყოველთვის არ ჰქონდეთ თავისუფლება მოიპოვონ და წარმართონ ეროვნული რესურსები ისე, როგორც მათ სურთ. შესაბამისად ძალაუფლების ანალიზმა ასევე უნდა შეისწავლოს სახელმწიფოების სიძლიერე და სტრუქტურა მათ საზოგადოებასთან მიმართებაში, რადგან ეს გავლენას ახდენს ეროვნული რესურსების პროპორციაზე, რომელიც შეიძლება გამოიყოს საგარეო პოლიტიკის გასატარებლად. ეს ნიშნავს, რომ განსხვავებული სახელმწიფო სტრუქტურების მქონე ქვეყნები, განსხვავებულად იმოქმედებენ. ბოლოს, სისტემურმა ზეწოლამ და წახალისებამ შეიძლება ჩამოაყალიბოს საგარეო პოლიტიკის ზოგადი მიმართულებები, ისე რომ არ იყოს საკმარისად ზუსტი, რათა განსაზღვროს სახელმწიფოთა ქმედებების კონკრეტული დეტალები (Rose, 1998).

რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობისას, თურქეთის ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური არჩევანი ნაშრომში ახსნილია ნეოკლასიკური რეალიზმის თეორიით, ვინაიდან ქვეყნის არჩევანზე გავლენა იქონია, როგორც სახელმწიფო ლიდერის პირადმა მსოფლმხედველობამ, ასევე შიდა სახელმწიფოებრივმა და საერთაშორისო ფაქტორებმაც. აღნიშნული სამი ცვლადის ურთიერთმიმართება თურქეთის საგარეო პოლიტიკური ქმედებების ანალიზისთვის მნიშვნელოვანია, ვინაიდან ნეოკლასიკური რეალიზმისთვის დამახასიათებლად, მედიატორის როლის არჩევნის დროს სახეზე რომ არ ყოფილიყო

ერთობლივად სამივე ცვლადი ძნელად წარმოსადგენია როგორი იქნებოდა თურქეთის ქმედება, თუნდაც ერთი ცვლადის, პიროვნული ცვლადის გამოკლებით შესაძლებელია სრულიად ახალი რეალობის წინაშე აღმოჩენილიყავით.

„ნეოკლასიკური რეალიზმის მიმდევრებისთვის სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკას გააჩნია ბმა შიდა სახელმწიფოებრივ მოვლენებთან. აღნიშნული მიდგომის მიხედვით სახელმწიფოს შინაგანი ფაქტორები, როგორცაა პოლიტიკური და ეკონომიკური იდეოლოგია, ეროვნული ხასიათი და სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა განაპირობებს სახელმწიფოს ქცევას საერთაშორისო ასპარეზზე, თუმცა მას აუცილებლად ესაჭიროება სისტემური ნაწილისგან იმპულსი“ (Rose, 1998).

როდესაც ვსაუბრობთ თურქეთის გადაწყვეტილებაზე პირველ რიგში აუცილებლად უნდა განვაცხადოთ, რომ 2017 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ რაც ის საპრეზიდენტო რესპუბლიკად იქცა და უფრო მეტად წარმოჩნდა ავტოკრატიული მმართველობის სტილი, საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება მმართველის მსოფლმხედველობის და ამბიციების გარეშე წარმოუდგენელია, მაშასადამე მნიშვნელოვანია პიროვნული დონის შესწავლა, გადაწყვეტილების მიღების ფაქტორების განსაზღვრისთვის. მეორე მხრივ, როგორც გიდეონ როუზი აღწერს, მმართველის პიროვნული მსოფლმხედველობა, ავტორიტეტი და მასკულინური თვისებები შესაძლებელია გვერდზე დარჩეს თუ მას მხარს არ გაუმაგრებს სახელმწიფოს შიდა ინსტიტუციური და საზოგადოებრივი მდგომარეობა. თურქეთის შემთხვევაში ცხადია, რომ გაუარესებულმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ და შიდა საზოგადოებრივმა განწყობებმა მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი თურქეთის საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, ვინაიდან განსხვავებულ მდგომარეობის წარმოსახვაში ძნელად სავარაუდოა თურქეთის ქმედებები. აღნიშნულ ორ დონეზე აუცილებლად უნდა მოხდეს საერთაშორისო წესრიგის მხრიდან ზეწოლა, რასაც ჩვენ თურქეთის მიმართებაში ვხედავთ, რადგან მულტიპოლარული საერთაშორისო სისტემა რეგიონალურ ლიდერს უბიძგებს იმოქმედოს საერთაშორისო გამოწვევის წინაშე, სწორედ ამგვარი გამოწვევა იყო რუსეთ-უკრაინის ომი, რომელმაც საწყის პერიოდში მსოფლიო შეძრა.



სწორედ ამ მოცემულობის გათვალისწინებით არის საინტერესო თურქეთის საგარეო პოლიტიკური არჩევანის შეფასება ნეოკლასიკური რეალიზმის გათვალისწინებით, რაც შესაძლებლობას გვაძლევს გადაწყვეტილების აუცილებლობის მიზეზები და მიზნები გამოვკვეთოთ, ამიტომ ნეოკლასიკური რეალიზმის მიხედვით საკითხის გაანალიზება დაგვეხმარა ნაშრომის საკვლევ კითხვასთან დაკავშირებული პასუხების მიღებაში.

### **ნაშრომის სტრუქტურა:**

ნაშრომი იყოფა რამდენიმე ნაწილად, რათა დეტალურად იქნეს გაანალიზებული ყველა მნიშვნელოვანი ფაქტორი, რასაც შეიძლება გავლენა მოეხდინა თურქეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებაზე ყოფილიყო მედიატორი რუსეთ-უკრაინის ომში. სამაგისტრო ნაშრომის მეორე თავში წარმოდგენილი არის ხსენებული თეზისის საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვა. მესამე თავში წარმოდგენილია რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობისას თურქეთის მედიაციის შედეგად მიღწეული გადაწყვეტილებები. მეოთხე თავში წარმოდგენილი არის თურქეთის პრეზიდენტის რეჯეპ ტაიპ ერდოღანის პერსონალური მსოფლმხედველობის გავლენა საგარეო პოლიტიკური არჩევანის ჩამოყალიბებაში. მეხუთე თავში განხილულია თურქეთის მძიმე შიდა ეკონომიკური მდგომარეობა და შიდა საზოგადოებრივი განწყობები, რომელმაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე. რაც შეეხება მეექვსე თავს წარმოდგენილია თურქეთის როლი საერთაშორისო და რეგიონალურ ასპარეზზე, მისი დასავლეთთან ერთგვარი გაუცხოების მნიშვნელობა თურქეთის არჩევანზე.

## 2 ლიტერატურის მიმოხილვა

რეჯეპ ტაიპ ერდოღანის პიროვნული მსოფლმხედველობის ზეგავლენის შესასწავლად თურქეთის საგარეო პოლიტიკის ფორმირების პროცესში, მნიშვნელოვანი გამოდგა თურქეთის საგარეო პოლიტიკის მკვლევარის, კვლევითი ორგანიზაცია „Insight Turkey“-ის მკვლევარი მურატ ულგულის სამეცნიერო ნაშრომი „ერდოღანის პერსონალური დიპლომატია და თურქეთის საგარეო პოლიტიკა“ (ÜLGÜL, 2019). ხსენებულ ნაშრომში, ავტორს მიმოხილული აქვს ისტორიულად პერსონალური დიპლომატიის ჩამოყალიბების და გამოვლინებების ტენდენციები, სხვადასხვა ქვეყნის ისტორიული გამოცდილებები და აღნიშნულის გათვალისწინებით მიმოხილავს, ახლანდელ თურქეთის საგარეო პოლიტიკის ფორმირების პროცესს და ამ კონკრეტულ საკითხში ერდოღანის აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობას. ავტორი ხსენებულ ნაშრომში ამტკიცებს, რომ თურქეთის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვან წილად გაიზარდა პერსონალური დიპლომატიის როლი. აღნიშნულის დასაბუთებისთვის აცხადებს, რომ ერდოღანმა მმართველობის პირველივე წლებიდან მიზან მიმართულად დაიწყო ინსტიტუციური დიპლომატიის როლის დაკნინება და საგარეო პოლიტიკის ფორმირების პროცესს თანდათანობით ჩამოაშორა შეიარაღებული ძალები, ხოლო საგარეო საქმეთა აპარატი პირად ხედვებს და ამბიციებს დაუქვემდებარა. ამავედროულად პერსონალური საგარეო პოლიტიკის განვითარების წარმოსაჩენად ავტორი ოთხ ფაქტორს მიმოხილავს, რომლებიცაა: 1. საგარეო პოლიტიკური კრიზისების ზრდა თურქეთის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის პროცესში, 2. გაზრდილი პერსონალური დიპლომატიის როლი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ლიდერების პოლიტიკაში, 3. 2017 წელს საპრეზიდენტო მმართველობაზე გადასვლის შემდგომ თურქეთის პოლიტიკის ცვლილება და 4. პრეზიდენტ ერდოღანის პერსონალური მახასიათებლების გავლენა აღნიშნულ პროცესებზე. პერსონალური დიპლომატიის მიმოხილვის მიუხედავად აღნიშნული ნაშრომი დაწერილია 2019 წელს და ცხადია მასში არ არის ასახული უახლოეს პერიოდში განვითარებული მოვლენები და მასში ერდოღანის პერსონალური დიპლომატიის მოქმედება, თუმცა იმისთვის, რომ ნათლად იქნეს აღქმული თურქეთის მედიაციის პროცესში ერდოღანის პიროვნული როლი, მეტად მნიშვნელოვანია შეფასდეს პერსონალური საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბების წინაპირობები და ისტორიული

რაკურსი. სამაგისტრო ნაშრომის ამოცანიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი გამოდგა მურატ ულგულის სამეცნიერო ნაშრომი, ვინაიდან ნათლად გამოიკვეთა ერდოლანის პირადი მსოფლმხედველობის, ამბიციების და ავტორიტეტის გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

„Elon University“-ის თურქეთის კვლევების წარმომადგენლის ბარის კუზგინის სამეცნიერო ნაშრომი, სახელწოდებით: „თურქეთის ერდოლანი: მმართველობის სტილი და საგარეო პოლიტიკის ფორმირება“ (Kesgin, 2020) შეეხება ერდოლანის პიროვნულ მსოფლმხედველობას, სადაც განხილულია ავტორიტარი ლიდერის განსხვავებული თვისებები და პოლიტიკური ხედვა, რომელსაც იყენებს ერდოლანი საერთაშორისო და შიდა აუდიტორიებისთვის. ხსენებულ ნაშრომში გაანალიზებულია წლების განმავლობაში ერდოლანის მიერ საერთაშორისო საზოგადოებისთვის და შიდა აუდიტორიისთვის გაკეთებული განცხადებები, რომელმაც წარმოაჩინა ორი განსხვავებული რიტორიკა და ხშირად ურთიერთ საპირისპირო განცხადებები. ნაშრომში ავტორი ამტკიცებს, რომ რეჟეპ ტაიპ ერდოლანს ორი განსხვავებული „ნიღაბი აქვს მორგებული“ და სხვადასხვა აუდიტორიასთან საუბრის დროს იყენებს განსხვავებულ რიტორიკას, რაც განპირობებულია მისი პოპულისტური მმართველობის ფორმით, ვინაიდან მას სახელმწიფოებრივ დონეზე ესაჭიროება საკუთარი ძლიერების და ამბიციურობის წარმოჩენა, ხოლო საერთაშორისო ასპარეზზე ხსენებული ფაქტორები შედარებით ნაკლებად ვლინდება. აღნიშნული ნაშრომი მეტად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ერდოლანის პოპულისტური მმართველობის შეფასებისთვის და მისი საერთაშორისო იმიჯის ჩამოყალიბებაზე მსჯელობისთვის, ამავდროულად ხსენებულ ნაშრომში გათვალისწინებული არ არის 2022 წელს რუსეთ-უკრაინის ომიდან გამომდინარე შეცვლილი რეალობა, სადაც ერდოლანი საერთაშორისო იმიჯი სრულიად ახალ დონეზე ავიდა და მისი რიტორიკაც თვალნათლივ შეიცვალა.

რეჟეპ ტაიპ ერდოლანის პერსონალური დიპლომატიის შესწავლის მიზნით ასევე გამოყენებული იქნა ვარშავის უნივერსიტეტის ევროპის საქმეთა კვლევებისთვის ადამ სზიმანსკის მიერ დაწერილი სამეცნიერო ნაშრომი, „უსაფრთხოება თურქეთის პოლიტიკაში: რეჟეპ ტაიპ ერდოლანის პოლიტიკური დისკურსის ანალიზი“ (Szymański, 2022). აღნიშნულ ნაშრომში ავტორი მიმოიხილავს თურქეთში ორ საპრეზიდენტო ვადის

გამოკვლევა, რათა შეფასდეს უსაფრთხოების საკითხების ადგილი პრეზიდენტ ერდოღანის საგარეო პოლიტიკურ დისკურსში. ნაშრომში შეფასებულია უსაფრთხოების რიტორიკა ერდოღანის ოფიციალურ გამოსვლებში, წლების განმავლობაში მათი მოდიფიკაცია და მოვლენების შესაბამისად ცვლილება, ზოგადად უსაფრთხოების საკითხების ადგილი თურქეთის შიდა სახელმწიფოებრივ და საერთაშორისო პოლიტიკაში. გამოიკვეთა, რომ წლების განმავლობაში უსაფრთხოების საკითხები წარმოადგენს მნიშვნელოვან შეუცვლელ პოლიტიკურ დისკურსს, რასაც სახელმწიფო ლიდერებთან და პოლიტიკოსებთან ერთად, საზოგადოებაც დიდ მნიშვნელობას უთმობს. კვლევის მიმდინარეობისას ავტორი მივიდა დასკვნამდე, რომ უსაფრთხოების საკითხები თურქეთის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, შესწავლილ პერიოდში გამოვლინდა, რომ თურქეთის ხელისუფლება ცდილობს სეკურიტიზაციის პრიზმიდან შეაფასოს ყოველი პოლიტიკური ქმედება. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ უსაფრთხოების საკითხებისადმი ამგვარი ინტერესი განპირობებულია ორი მიზეზით, პირველ რიგში საქმე შეეხება გრძელვადიან ისტორიულ და გეოგრაფიულ ფაქტორებს, ხოლო მეორე მხრივ მოკლევადიან ტაქტიკურ სვლებს. ადამ სზიმანსკის ნაშრომი მოკლებულია რუსეთ-უკრაინის საომარი მოქმედებების ასახვას მიმდინარე უსაფრთხოების პოლიტიკაზე.

აილინ გიურნერის და მელტემ უკალის სამეცნიერო ნაშრომი „რეჯეპ ტაიპ ერდოღანის პერსონალური და ლიდერული მართველობის სტილი: გავლენა თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე“ (Ucal, 2011) წარმოადგენს ერდოღანის პოლიტიკური ხედვის შემსწავლელ კვლევას, რომელშიც საუბარია წლების განმავლობაში ერდოღანის მსოფლმხედველობის და ლიდერული მმართველობის ჩამოყალიბების განმაპირობებელი ფაქტორები, აღნიშნულის გავლენა ხელისუფლებაზე და საზოგადოებაზე. მოსალოდნელი ლიდერობის სტილის შეფასებისთვის გამოყენებული იქნა ქულებით შეფასების სისტემა. მაგალითად, მისი წულები რწმენაზე, რომ ადამიანს შეუძლია გააკონტროლოს მოვლენები და შეინარჩუნოს ძალაუფლება გვაწვდის ინფორმაციას იმის დასადგენად, პატივს სცემს თუ დაუპირისპირდება მის გარემოში არსებულ შეზღუდვებს. ერდოღანის რწმენის მაღალი ქულა, რომ მას შეუძლია გავლენა მოახდინოს იმაზე, რაც ხდება პოლიტიკურ გარემოში, მიუთითებს, რომ ის გადალახავს

შესაძლებლობის საზღვრებს და შეეცდება დაძლიოს თავისი როლის შეზღუდვები. რეჯეპ ტაიპ ერდოღანის გადაწყვეტილებების მიღების სტილის ამ ანალიზიდან ირკვევა, რომ მისმა ხელმძღვანელობამ განმსაზღვრელი გავლენა მოახდინა მისი მთავრობის საგარეო პოლიტიკურ არჩევანზე. სამაგისტრო ნაშრომისთვის ხსენებული კვლევა წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს, ვინაიდან მასში ჩამოყალიბებულია ერდოღანის პერსონალური მართვის სტილი, რაც თურქეთის მედიაციის პროცესზე დიდ როლს ასრულებს.

თურქეთის საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკური მდგომარეობა. რუსეთ-უკრაინის ომის საწყის პერიოდში თურქეთის ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, ხსენებულმა თავის მხრივ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ერდოღანის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე. ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზისთვის გამოყენებული იქნა გალიპ იალმანის, ტომას მაროს და ალი გიუნგენის წიგნი „თურქეთის ფინანსური ტრანსფორმაციის პოლიტიკური ეკონომიკა“ (Galip L. Yalman, 2020). აღნიშნულ წიგნში მიმოხილულია თურქეთის ეკონომიკის განვითარება ათეულ წლების განმავლობაში, მისი გამოწვევები, კრიზისები და დაბრკოლებები. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ეკონომიკური მდგომარეობის საზოგადოებაში არათანაბარი განვითარების ელემენტს.

უკანასკნელ პერიოდში შექმნილი ეკონომიკური კრიზისის ანალიზისთვის გამოყენებული იქნა ქ.ბერლინის საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის ინსტიტუტის წარმომადგენლების უმიტ აკჩაის და ალი რიზა გიუნგენის სამეცნიერო ნაშრომი „თურქეთის ეკონომიკური კრიზისი შექმნა“ (Güngen, 2019). აღნიშნულ ნაშრომში განმარტებულია კრიზისის წარმოქმნის საფუძვლები, ნახსენებია რომ თურქეთის ეკონომიკისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია კაპიტალის შემოდინება და იაფი საკრედიტო წყაროებზე ხელმისაწვდომობა. მას შემდეგ, რაც 2018 წელს გლობალური ფინანსური პირობები გამკაცრდა, თურქეთი იმ განვითარებად ბაზრებს შორის აღმოჩნდა, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა. ეს ნაშრომი აანალიზებს თურქეთის ეკონომიკური კრიზისის წარმოქმნას 2018-2019 წლებში. ცხადია ხსენებულ ნაშრომში არ არის ასახული უკანასკნელ პერიოდში შექმნილი ვითარება, თუმცა აღნიშნული ნაშრომი საყურადღებოა, რადგან მასში წარმოჩენილია ეკონომიკური მდგომარეობის

გაუარესებაში პრეზიდენტის ერდოღანის როლი და ის საწყისი პერიოდი, რამაც დღევანდელ მდგომარეობამდე მიიყვანა თურქეთი. აღნიშნული კი თავის მხრივ დაგვეხმარება ეკონომიკური ცვლადის გავლენის აღსაქმელად საგარეო პოლიტიკურ არჩევანზე.

კალი რობინსონის სამეცნიერო ნაშრომი „თურქეთის მზარდი საგარეო პოლიტიკური ამბიციები“ (Robinson, 2022) შეისწავლის საერთაშორისო და რეგიონალურ პოლიტიკაში თურქეთის ადგილს. აღნიშნულ ნაშრომში ავტორი მიმოიხილავს თურქეთის მიერ უკანასკნელ პერიოდში განვითარებულ საგარეო პოლიტიკას და აღნიშნავს, რომ 1923 წლიდან მოყოლებული თურქეთის ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენს სეკულარიზმი, ამასთან უკანასკნელ პერიოდამდე თურქეთი მიიჩნეოდა დასავლეთის უპირობო მოკავშირედ, თუმცა უკანასკნელ დეკადაში, ანკარა სულ უფრო მეტად გადაერთო აღმოსავლეთის საკითხების მოგვარებისკენ და ისლამურ სამყაროში საკუთარი ძალაუფლების ზრდისკენ, იქნება ეს ლიბია, სირია, ცენტრალური აზია თუ ერაყი. ამავდროულად საერთაშორისო ასპარეზზე, მას აპრიორი სჭირდება აშშ-ის დამაბალანსებელი საერთაშორისო აქტორი, შესაბამისად გაღვივდა ურთიერთობები ჩინეთთან და რუსეთთან. ამავდროულად ავტორი განიხილავს მიმდინარე ომის დროს ერდოღანის მიერ არაერთხელ გაცხადებულ იდეას „მსოფლიო უფრო დიდი, ვიდრე ხუთი ქვეყანა“, რომელიც ფაქტობრივად საერთაშორისო წესრიგის ცვლილების მომასწავლებელია.

ალი ბადერი დოლატაბადის და რეზა რეზაეის სამეცნიერო ნაშრომი „ერდოღანის დაუსრულებელი ოცნება: თეორიული და ოპერატიული ჩარჩო თურქეთის ახალი საგარეო პოლიტიკისთვის“ (Rezaei, 2022) მიმოიხილავს ერდოღანის პიროვნულ ამბიციებს თურქეთის როლის ზრდაში საერთაშორისო ასპარეზზე. აღნიშნულ ნაშრომში განხილული თურქეთის მიერ უკანასკნელ პერიოდში რეგიონში განხორციელებული აქტები, რომლებიც ცალსახად ემსახურება მისი როლის და ავტორიტეტის ზრდას. აღნიშნულ ნაშრომში ნახსენებია, რომ რადიკალური ცვლილებები თურქეთის საგარეო პოლიტიკაში სწორედ ერდოღანის „სამართლიანობის და განვითარების პარტიის“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ იწყება. აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვანი საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენები მოხდა, რამაც გავლენა იქონია თურქეთის

ასპარეზზე საერთაშორისო პოლიტიკაში. ამ შემთხვევაში საყურადღებოა ახლო აღმოსავლეთში ტერორისტული და ექსტრემისტული ორგანიზაციების ზრდა, თურქეთის სამხედრო ოპერაციები ქურთების წინააღმდეგ და სირიის ჩრდილოეთ ნაწილში.

თურქეთის, როგორც რეგიონალური ლიდერის ჩამოყალიბება წლების განმავლობაში მიმდინარეობდა და უკანასკნელ პერიოდში თურქეთის რეგიონალურ ასპარეზზე გავლენების და სიძლიერის აღარავის უკვირს. რეგიონალური ლიდერობისთვის აუცილებელი კრიტერიუმების დაკმაყოფილება მნიშვნელოვანი ასპექტია, სწორედ ხსენებულის მაჩვენებლების შეფასებაში გამოსადეგი გახლდათ გეორგიოს ბალტოსის, იოანის ვიდაკისის და იანის ბალოდის ერთობლივი სამეცნიერო ნაშრომი „თურქეთის ამბიციები გამოჩნდეს რეგიონალურ ძალად: მაგალითი ან კონტრ-მაგალითი პოტენციური მსურველი კონკურენტებისთვის“ (Georgios C. Baltos, 2017). აღნიშნულ ნაშრომში წარმოდგენილია თურქეთის რეგიონალური ლიდერობის დამადასტურებელი 5 ფაქტორი. პირველ რიგში საუბარი შეეხება ენერჯის და ეკონომიკურ განვითარებას, მეორე მხრივ თავდაცვის ძალების განვითარებას და სამხედრო ინდუსტრიას, მესამე მხრივ გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას, მეოთხე მხრივ მრავალ ვექტორული დიპლომატიას და საზოგადოებრივ ჰეგემონიურ მითოლოგიას. აღნიშნული ნაშრომი მნიშვნელოვანია თურქეთის რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობისას მედიატორი როლის არჩევის შეფასებისთვის, რადგან რეგიონალური ლიდერობის ამბიციები ერთერთი მამოძრავებელი ფაქტორი იყო მედიაციის პროცესში ჩასართავად, ამასთან საუკუნოვანი ჰეგემონიური ნარატივები ასულდგმულედა საზოგადოებას მხარი დაეჭირა აღნიშნული პოლიტიკისთვის.

ხსენებული ნაშრომების მიღმა ნაშრომში გამოყენებული არაერთი სხვადასხვა ბლოგი, ინტერნეტშია არსებული მასალა, ოფიციალური განცხადებები, საინფორმაციო სააგენტოების მიერ განთავსებული სიახლეები, კვლევითი ორგანიზაციების ნაშრომები და ა.შ. ოფიციალური განცხადებები სამაგისტრო ნაშრომის მნიშვნელოვანი წყაროა, ვინაიდან ნაშრომში გაანალიზებულია მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს რეჟებ ტაიპ ერდოღანის განცხადებები, ისევე, როგორც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლის. რეჟებ ტაიპ ერდოღანის განცხადებები ნათლად წარმოსახავს მის ხედვას კონფლიქტთან

დაკავშირებით და მისი ქმედებების ერთგვარი შეფასების დატვირთვაც გააჩნია, სწორედ ამიტომ პერსონალური დიპლომატიის გათვალისწინებით ერდოლანის განცხადებების ანალიზი წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს.

ყოველივე ზემოაღნიშნული ლიტერატურის და წყაროს გამოყენებით სამაგისტრო ნაშრომი ცდილობს პასუხი გასცეს საკვლევ კითხვაში დასმულ საკითხს.



### 3 რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობისას თურქეთის

#### მედიაცია და მისი შედეგები

##### 3.1 მოლაპარაკებების სამი ფაზა

როდესაც თურქეთის როლზე, ვსაუბრობთ არ უნდა გამოგვრჩეს, რომ თურქეთში მოლაპარაკებების დაწყებამდე მხარეთა შეხვედრა შედგა ბელორუსის რესპუბლიკაში, მაგრამ ვინაიდან ბელორუსის სახელმწიფო ტერიტორია გამოყენებული იქნა უკრაინაზე ფართო მასშტაბიანი თავდასხმის განხორციელებისთვის, ის ვერ სარგებლობდა მხარეთა ნდობით. მოლაპარაკებების პირველი სამი რაუნდი სწორედ ბელორუსის ტერიტორიაზე გაიმართა. პირველი შეხვედრა შედგა ომის დაწყებიდან 4 დღეში 28 თებერვალს, უკრაინა-ბელორუსის საზღვრის სიახლოვეს მდინარე პრიპიატთან, გომელის რეგიონში, რუმინცევ-პასკევიჩის რეზიდენციაში. მოლაპარაკებების მეორე და მესამე რაუნდები გაიმართა 3 და 7 მარტს, ბელორუსში, ქ.ბრესტში. აღნიშნული სამი რაუნდი წარუმატებელი გამოდგა, რადგან მხარეებმა ვერ მოახერხეს პოზიციების დაახლოება. ბელორუსის მონაწილეობით წარმართული სამშვიდობო მოლაპარაკებების წარუმატებლობამ კი განაპირობა თურქეთის მნიშვნელობის ზრდა და სწორედ ამიტომ თურქეთის როლზე საუბრის დროს გამოკვეთილად უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მეომარ მხარეს აქვს ნდობა თურქეთისადმი, ხოლო თურქეთს გააჩნია ავტორიტეტი და უნარი იმოქმედოს, როგორც მედიატორმა.

მოლაპარაკებების მეოთხე და მეხუთე რაუნდები 2022 წლის 10 და 14 მარტს იყო, როდესაც ანტალიის დიპლომატიურ ფორუმზე თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მევლუთ ჩავუშოდლუს შუამავლობით ერთმანეთს შეხვდნენ რუსეთის და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრები. მძიმე მოლაპარაკებების პროცესი მცირედი შედეგით დასრულდა. მეოთხე რაუნდის შემდგომ რუსეთმა გამოაცხადა, რომ დროებით წყვეტდა ცეცხლს, რათა მომხდარიყო უკრაინის დედაქალაქ კიევიდან, ქ.მარიუპოლიდან, ქ.ხარკოვიდან და ქ.სუმიდან მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია.

წარუმატებელი მოლაპარაკებების მიუხედავად, საინტერესო იყო თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება, რომ:

„ჩვენ იმედი გვქონდა აღგვედგინა რეგიონში მშვიდობა, ჩვენ გავაგრძელებთ ძალისხმევას დიპლომატიის მისაღწევად რუსეთსა და უკრაინას შორის... ჩვენ არ უნდა დავუშვათ დიპლომატიის როლის მხოლოდ ცეცხლის ქრობამდე დაყვანა და მედიაციის პროცესი წარმოადგენს შეუცვლელ ელემენტს დიპლომატიაში“ (Ministry of Foreign Affairs of the Republic of Türkiye, 2022).

მოლაპარაკებების პროცესთან დაკავშირებით რეჟებ ტაიპ ერდოღანმა განაცხადა, რომ:

„ჩვენი პოზიცია უკრაინაზე რუსეთის თავდასხმასთან დაკავშირებით არის მკაფიო და შეესაბამება ჩვენს ამ პრინციპულ პოლიტიკას. ომის შედეგად სახეზე უკვე გვაქვს დესტრუქცია და ჰუმანიტარული ტრაგედია, ომმა დაანგრია ქალაქები, საავადმყოფოები, სკოლები და სახლები, გამოიწვია ლტოლვილთა ნაკადები, რომლებმაც პატარა ხელჩანთაში მთელი თავიანთი ქონება ჩაატყვეს, ყოველივე ეს ყოველდღიურად გვახსენებს ომის სახეს“ (Presidency of Republic of Turkey, 2022).

ხსენებული მოლაპარაკებების 5 შეხვედრა შეიძლება მივიჩნიოთ მოლაპარაკებების პირველ ფაზად, რომელსაც თან სდევს მეორე და მესამე ფაზები. მოლაპარაკებების მეორე ფაზა იწყება 2022 წლის 7 აპრილიდან და გრძელდება 5 დეკემბრამდე. მეორე ფაზა დაწყების მომენტიდან სკეპტიციზმით იყო მოცული, მოლაპარაკებები ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ უკრაინის მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ განხორციელებული არაადამიანური მოპყრობის, წამების და საჩვენებელი მკვლევლობების ფაქტების გამოვლების შემდეგ.

აღნიშნულის შემდგომ მოლაპარაკებების პროცესში აქტიურად ჩაერთო გაეროს გენერალური მდივანი ანტონიო გუტერეში, რომელიც 26 აპრილს ესტუმრა რუსეთის ფედერაციას და ოფიციალური შეხვედრები გამართა ვლადიმერ პუტინთან და სერგეი ლავროვთან. აღსანიშნავია, რომ გაეროს გენერალური მდივანი ფაქტობრივად ყოველგვარი პოზიტიური შედეგების გარეშე დაბრუნდა მოსკოვიდან და ამას მოწმობს მისი განცხადება:

„ნათელია, რომ არსებობს ორი განსხვავებული ვერსია იმაზე თუ რა ხდება დღეს უკრაინაში“ (FALK, 2022).

გაეროს გენერალური მდივნის რუსეთში ვიზიტის შემდგომ, რამდენიმე ცალკეული მცდელობა მოლაპარაკებების მაგიდასთან დაებრუნებინა მებრძოლი მხარეები, თუმცა ამავდროულად მიმდინარეობდა გამალებული შეიარაღებული დაპირისპირებაც და უკვე ნათელი გახდა, რომ უკრაინის რამდენიმე დღეში დაკავება რუსული შეიარაღებული ძალებისთვის წარმოუდგენელი ამოცანა იყო.

2022 წლის მაისის მოვლენების შემდგომ, სამშვიდობო მოლაპარაკებები გაიყინა მესამე ფაზის დაწყებამდე, რომელიც 6 სექტემბერს ახლებური ძალებით ამოქმედდა. 2022 წლის 21 სექტემბერს ვოლოდიმირ ზელენსკიმ მიმართა საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდა მათ უკრაინის მხარდაჭერისკენ და გააცნო მათი 5 პუნქტიანი ფორმულა სამშვიდობო მოლაპარაკებებისთვის. ამ ფაზის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო, 2022 წლის ოქტომბერში თურქეთის პრეზიდენტის რეჯეპ ტაიპ ერდოღანის განცხადება, სადაც ის იმედს გამოთქვამს კონფლიქტის დიპლომატიურ გადაწყვეტასთან დაკავშირებით. 20 ოქტომბერს ჟურნალისტებთან საუბრის დროს აღნიშნა, რომ:

„საკითხთან დაკავშირებით, მე დავინახე, რომ ბატონი პუტინი უფრო მეტად რბილი და გახსნილი არის მოლაპარაკებებისთვის ვიდრე ადრე. ჩვენ ორივე ქვეყნის ლიდერის მოსმენის შედეგად დავინახავთ თუ რამდენად შორს შეიძლება წავიდეს ეს პროცესი“.

აღნიშნულის შემდეგ ერდოღანი ასევე შეეხო ვოლოდიმირ ზელენსკისაც და განაცხადა, რომ:

„მე ვიგრძენი, რომ ისიც მხარს უჭერს საკითხის გადაჭრას. ჩვენ არ ვართ უიმედოთ. ჩვენ გვაქვს იმედი, რომ განვაგრძობთ მშვიდობისკენ მიმავალ გზას, ორივე ქვეყნის ლიდერების შეხვედრის ორგანიზებით. რადგან ორივე მხარეს აქვს მნიშვნელოვანი დანაკარგები“ (Hurriyet Daily News, 2022 ).

თურქეთის სამშვიდობო ინიციატივას დადებითად შეხვდა რუსეთის ხელისუფლება და განაცხადა, რომ მზად არის დიალოგის განახლებისთვის და ყოველთვის გახსნილი იყო მოლაპარაკებებისთვის. 2022 წლის დეკემბერში სამშვიდობო მოლაპარაკებების შეჩერებასთან დაკავშირებით ისმოდა ურთიერთ ბრალდებები, მხარეები განმეორებით მოითხოვდნენ მათ მიერ დასახელებული პირობების

შესრულებას მოლაპარაკებების გასაგრძელებლად. ხსენებული პერიოდიდან მოყოლებული აპრილამდე შეიმჩნეოდა ერთგვარი პასიურობა მოლაპარაკებების პროცესის განახლებასთან დაკავშირებით. 2023 წლის 18 თებერვალს ჩინეთმა უკრაინას და რუსეთს შესთავაზა 12 პუნქტიანი სამშვიდობო მოლაპარაკებების პირობები, რომელშიც საუბარი იყო, როგორც ცეცხლის შეწყვეტაზე, უსაფრთხოების გარანტიებზე, მშვიდობიანი მოქალაქეების დაცვაზე, ტერიტორიული მთლიანობაზე, ამავდროულად დასავლურ სახელმწიფოებს ბრალს დებდა კონფლიქტის გამწვავებაში, რადგან ისინი იარაღს აწვდიან უკრაინას (STUART LAU, 2023).

როდესაც ვსაუბრობთ წარმატებულ თურქულ მედიაციაზე ხაზგასასმელია სხვადასხვა ქვეყნის წარუმატებელი მცდელობა ჩართულიყო ხსენებულ პროცესში და საკუთარი ზეგავლენა მოეხდინა მიმდინარე ომზე. აღნიშნულ საკითხში ერთერთი პირველი სწორედ ისრაელი იყო, რომელსაც უკრაინის პრეზიდენტმა მედიატორის როლის შეთავსება პირადად სთხოვა. მიუხედავად დიდი სურვილის, ისრაელმა ვერ მოახერხა მხარეებზე ზეგავლენის მოხდენა. ისრაელის პრემიერ-მინისტრის ნაფტალი ბენეტის ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველმა ეიალ ჰულატამ მეტად საყურადღებო განცხადება გააკეთა:

„ისრაელს არ შესწევს უნარი დაუბრუნდეს მოლაპარაკებებში მედიატორის როლს. მედიაცია მოკვდა გასულ აპრილს და დღესდღეობით იგივე გრძელდება... მართალია ჩვენ დავმარცხდით, მაგრამ ამაყი ვარ რომ ვეცადეთ [შეთანხმების მიღწევა]“ (Ravid, 2023).

ისრაელთან ერთად წარუმატებელი იყო ევროკავშირის მედიაციის მცდელობაც, რომლის პირველივე ცდებიც დაიბლოკა რუსეთის მიერ, რადგან ამ უკანასკნელთა აზრით მტრულად განწყობილ დასავლურ ორგანიზაციებს არ შეეძლოთ მხარეთა პოზიციების დაახლოება. ევროკომისიის სპიკერმა პიტერ სტანომ პრეს კონფერენციაზე განაცხადა, რომ:

„მე მხოლოდ შემძლია განვაცხადო, რომ ევროკავშირი პირდაპირ არ მონაწილეობს მედიაციის პროცესში. ჩვენი პოზიცია ნათელია, თუმცა რუსეთი არ ეთანხმება ევროკავშირის მედიაციას და მტრულად არის განწყობილი“ (Apelblat, 2022).

წარუმატებელი გამოდგა ასევე რომის პაპის ფრანცისკეს მედიატორობის მცდელობებიც, უკრაინელთა გულისწყრომა განპირობებული იყო კათოლიკური ეკლესიის რუსეთის დანაშაულებისდამი გამოჩენილი რბილი პოზიციებით და განცხადებებით. აღსანიშნავია, რომ 2023 წლის აპრილში უკრაინის პრეზიდენტი იტალიაში ვიზიტის დროს შეხვდა რომის პაპს, რის შემდგომაც პრესის წინაშე არცთუ დიპლომატიური ენით აღნიშნა, რომ:

„ომი უკრაინის მიწაზეა, უკრაინელი ჯარისკაცები და მშვიდობიანი მოქალაქეები იღუპებიან, ამიტომ ნებისმიერი სამშვიდობო წინადადება უნდა იყოს კიევიდან და არა ვატიკანიდან, ჩინეთიდან ან სხვა ქვეყნიდან“ (Mikhelidze, 2023).

ვატიკანის „აგრესორის სასარგებლოდ მედიაციის“ მცდელობაში დადანაშაულება იყო უკანასკნელი მომენტი, რის შემდგომაც შეუძლებელი გახდა, რომის პაპის მედიაციაზე საუბარიც კი.

### 3.2 თურქეთის მედიაციის შედეგი

რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობისას თურქეთმა მოახერხა ბალანსირების პოლიტიკის გატარება და აირჩია მედიატორის ფუნქცია, რომელიც გულისხმობდა, მეზობელ ქვეყნებთან ერთნაირად დადებითი პოზიციის შენარჩუნებას, რამაც თავის მხრივ განაპირობა მხარეთა შორის ნდობის ამაღლება და ხელი შეუწყო მედიაციის პროცესს.

ბალანსირების პოლიტიკა გამოიხატა, დაპირისპირებულ ქვეყნებთან სხვადასხვა სახის ურთიერთობების გაღრმავებით. პირველ რიგში, თურქეთს და უკრაინას შორის ტრადიციულად არსებობს ძალიან მჭიდრო და ახლო ურთიერთობა. 2014 წლის რუსეთის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიის შემდეგ, თურქეთმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადა კიევს და მოსკოვს მოუწოდა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა. აღსანიშნავია, რომ თურქეთმა და უკრაინამ 2020 წელს გააფორმეს სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმება და 2021 წელს გააფორმეს თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება. თურქეთმა ასევე გაზარდა უკრაინის სამხედრო მხარდაჭერა და დაიწყო უკრაინის შეიარაღებული ძალების იარაღით მომარაგება, მათ

შორის „ბაირაქტარის“ ტიპის დრონებით, „კირპი“-ს ტიპის შეჯავშნული მანქანებით და ამასთან, თურქეთის პორტებში ჩაეშვა ადა-ს კლასის 4 კორვეტის ტიპის ხომალდი. ამავდროულად, როგორც შავი ზღვის კარიბჭის მცველმა, თურქეთმა დაკეტა შავ ზღვაში შემოსასვლელი სრუტეები, რათა შეეჩერებინა რუსული სამხედრო ხომალდების ზღვაში შემოსვლა. რუსეთთან ურთიერთობების არსებობის მიუხედავად თურქეთმა განაგრძო უკრაინის სამხედრო სფეროში თანამშრომლობა და უფრო მეტიც, გამოთქვა უკრაინის ნატოში გაწევრიანების იდეა.

მეორე მხრივ, თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი ინარჩუნებდა რეგულარულ კონტაქტს პუტინთან, ამასთან თურქეთი დაეყრდნო მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ სანქციათა ნუსხებს. გაღრმავდა ეკონომიკური კავშირები რუსეთთან, თურქეთის ექსპორტი რუსეთის ფედერაციაში გაიზარდა 86 პროცენტით, ხოლო საპასუხოდ რუსული პროდუქციის იმპორტი გაორმაგდა. ამავდროულად აღსანიშნავია სანქცირებული რუსი ოლიგარქების, მობილიზაციას გამოქცეული თუ უბრალო ტურისტული ნაკადების ზრდა თურქეთში, რომელთა რიცხვმა 2022 წელს 3.8 მილიონი შეადგინა (Wilks, Al Jazeera, 2022). ხსენებულ ეკონომიკურ საკითხებთან ერთად არ უნდა გამოგვრჩეს ენერგომატარებლების საკითხიც, გასულ წელს თურქეთის გაზის მარაგის 45% შეადგინა რუსულმა გაზმა, რომლის საფასურის გადახდაც 2024 იქნა გადავადებული თურქეთის თხოვნით. რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომი, თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსის შემობრუნების საფუძველი გახდა, ერდოღანის მმართველობის 20 წლიან პერიოდში თურქეთი ცდილობდა რუსეთსა და აშშ-ს შორის გაეტარებინა დაბალანსების პოლიტიკა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში თურქეთს და რუსეთს შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობაში სამი ძირითადი ტენდენცია ვლინდება, პირველ რიგში ჩნდება ცივი ანტაგონიზმის პოლიტიკა (მსგავსად ცივი ომის პერიოდში არსებულის), მეორე მხრივ გამოჩნდა მათი ინტერესების ურთიერთ კვეთა და დაპირისპირება, იქნება ეს ცენტრალური აზია თუ კავკასია, ხოლო მესამე ტენდენციაში ვლინდება ირიბი კონფრონტაციის და იძულებითი თანამშრომლობის მიმართულება, მსგავსად სირიის 2013 წლის კონფლიქტის მიმდინარეობისა, სადაც ისინი იძულებული გახდნენ ერთობლივად შეესრულებინათ ცალკეული ამოცანები. მათ შორის ურთიერთობები სრულიად ახალ ეტაპზე გადავიდა 2016 წლის შემდგომ, რადგან

თურქეთისთვის ცხადი გახდა, მისი როლის ზრდა სირიის კონფლიქტში, რომელთან გამკლავება ინდივიდუალურად არ შეეძლო, ამავდროულად გაიზარდა ანკარის დამოკიდებულება რუსულ ენერჯიასა და ტურიზმზე. მიუხედავად იმისა, რომ მათ მნიშვნელოვანი განსხვავებები და საწინააღმდეგო პოლიტიკური ხედვები ჰქონდათ ლიბიაში, სირიაში და მთიან ყარაბაღში, რომ აღარაფერი ვთქვათ თურქეთის 70 წლის განმავლობაში ნატოს რიგებში ყოფნაზე (Erdoğan, 2023).

მიუხედავად ზემოთ განხილული ურთიერთ ბრალდებებისა და სამშვიდობო შეთანხმების სხვადასხვაგვარი წარმოდგენის, თურქეთის აქტიური მონაწილეობის შედეგად ომის დაწყებიდან დღემდე მხარეთა შორის გაფორმდა მნიშვნელოვანი შეთანხმებები, მათ შორის გლობალური მასშტაბის მქონე მარცვლეულის შესახებ შეთანხმება, რომელმაც მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია შიმშილის პირას მყოფ გლობალურ სამხრეთს. ამავდროულად აღსანიშნავია, სამხედრო ტყვეთა გაცვლასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების პროცესი, რომლის შედეგადაც შესაძლებელი გახდა რამდენიმე ასეული სამხედრო ტყვის გაცვლა.

მარცვლეულის ექსპორტთან დაკავშირებით, 2022 წლის 22 ივლისს, თურქეთში ე.ს.ტამბულში გაფორმებული ისტორიული შეთანხმება (Bangkok Post, 2022), რომლის მიხედვითაც შეიქმნა ერთობლივი საკოორდინაციო ცენტრი, რომელმაც ხელი შეუწყო მარცვლეულის ექსპორტს თურქეთის სრუტეების გავლით მსოფლიო ბაზრებისკენ, რათა აღმოფხვრილიყო ხორბლის დეფიციტით გამოწვეული საკვები პროდუქტების უკმარისობა. მოგეხსენებათ, შეთანხმების ხელმოწერამდე აფრიკის, აზიის და ლათინური ამერიკის ქვეყანაში მცხოვრები დაახლოებით 47 მილიონი ადამიანი იმყოფებოდა შიმშილის საფრთხის ქვეშ. 2023 წლის თებერვლის მონაცემებით 715 გემმა დატოვა უკრაინული პორტები, რომლებმაც დაახლოებით 20 მილიონი ტონა მარცვლეული და სხვა საკვები პროდუქტი მიაწოდა მსოფლიო ბაზარს.

2022 წლის 22 სექტემბერს, თურქეთის მედიაციის შედეგად რუსეთს და უკრაინას შორის შესაძლებელი გახდა ტყვეთა გაცვლაზე მოლაპარაკებების წარმატებით დასრულება, რის შედეგადაც გათავისუფლდა 270 სამხედრო ტყვე, მათ შორის 215 უკრაინელი, რომელთა შორის იყო 108 მარიუპოლის დამცველი „აზოვის ბატალიონის“

წვერი და 55 რუსი მეზობელი (ჩქარეული, 2022). გაცვლის პირობების შესაბამისად, აზოვის ბატალიონის ხუთი მეთაური ომის დასასრულამდე ანკარაში უნდა დარჩნენ.

აღსანიშნავია, რომ ომის მიმდინარეობის ამ ურთულეს პერიოდში ნებისმიერი ხასიათის შეთანხმების მიღწევა წარმოუდგენლად მოჩანდა, მაგრამ მიუხედავად ამისა თურქულმა მედიაციამ შედეგი გამოიღო. თურქეთის, როგორც მედიატორის როლი მნიშვნელოვანი გამოდგა მხარეთა პოზიციების დაახლოებისთვის, ხსენებულ პერიოდში ნათლად გამოჩნდა, რომ მხოლოდ თურქეთს შესწევდა უნარი ორივე მხარესთან მოენახა საკვანძო პოზიციები, რაც მეტად მნიშვნელოვანი გამოდგა 21-ე საუკუნის ისტორიული მოვლენის მიმდინარეობისას. თურქეთის ფუნქციის შესრულებას შეეცადა რომის პაპი, საფრანგეთი, ბელორუსი, ისრაელი და ჩინეთი, ასევე გაერო და ევროკავშირი, მიუხედავად ამისა ყველა მცდელობა მეტ-ნაკლებად წარუმატებელი გამოდგა და მხოლოდ თურქეთის ხელისუფლებამ მოახერხა საკუთარი წვლილის შეტანა მთელ ამ პროცესში.



## 4 თურქეთის პრეზიდენტის რეჯეპ ტაიპ ერდოღანის პიროვნული ფაქტორი საგარეო პოლიტიკური არჩევნის ჩამოყალიბებაში

### 4.1 ერდოღანის მსოფლმხედველობის და ამბიციების ჩამოყალიბება

საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის შედეგად გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო პოლიტიკაში სულ უფრო მეტად იზრდება პერსონალური დიპლომატიის მნიშვნელობა, როგორც მას პოპულისტი მმართველების საგარეო პოლიტიკას უწოდებენ. პერსონალური დიპლომატიის დროს სათავეში არის დომინანტი ლიდერი, რომელსაც აქვს რწმენა, რომ შეუძლია შეცვალოს საერთაშორისო წესრიგი, ხსენებული კი სრულიად ახალ ძალებს იძენს კრიზისული მოვლენების განვითარების დროს, რადგან საზოგადოება მისგან მოელის გადაწყვეტ ქმედებებს. დღესდღეობით მრავალი სახელმწიფოს ლიდერი მიიჩნევს, რომ პერსონალური ურთიერთობების ჩამოყალიბება უცხო ქვეყნის ლიდერებთან მნიშვნელოვანი ნაბიჯია საგარეო პოლიტიკური ამოცანების მისაღწევად. აღსანიშნავია, რომ გლობალიზაციის ეპოქაში პერსონალურმა დიპლომატიამ ტექნოლოგიურ სივრცეშიც გადაინაცვლა და ხშირ შემთხვევაში კომუნიკაციები ქვეყნის ლიდერებს შორის მყარდება ტელეფონებით თუ ტელე კონფერენციებით, რადგან ყველა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით შეუძლებელია ესტუმრო სხვა ქვეყნის ლიდერს. „საერთაშორისო დიპლომატიის ისტორია იცნობს მრავალ ფაქტს კონფლიქტების სატელეფონო საუბრებით გადაწყვეტის მათ შორის გამოსაკვეთია თეთრ სახლს და კრემლს შორის ჩამოყალიბებული ცხელი ხაზი კუბის კრიზისის დროს 1962 წელს. პერსონალურ დიპლომატიაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მხარეებს შორის ჩამოყალიბებული პირადი მეგობრობა, რომელიც დროთა განმავლობაში პრობლემების თავიდან აცილების საშუალებად იქცევა, მაგალითად, როდესაც თურქეთის რამდენიმე მოქალაქეს სურდა 1995 წელს აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის წინააღმდეგ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა, მხარეთა შორის დაპირისპირებას ხელი შეუშალა ჰეიდარ ალიევის და თურქეთის პრეზიდენტის სულეიმან დემირელის ახლო მეგობრულმა ურთიერთობამ“ (ÜLGÜL,

2019). აღსანიშნავია, რომ 1960 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ „სამართლიანობის და განვითარების“ პარტიის ხელისუფლებაში მოსვლამდე, ანუ 2002 წლამდე, თურქეთი მკაცრად მიჰყვებოდა საგარეო ურთიერთობებში ინსტიტუციებზე დაყრდნობის მოდელს, რომლის მიხედვით თურქეთის საგარეო პოლიტიკის წარმართვის ძირითად ინსტიტუტებს წარმოადგენდნენ საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროები. თურქი პოლიტიკოსები ვერ ახერხებდნენ საგარეო პოლიტიკის შემუშავების იერარქიის დარღვევას და ფაქტობრივად შეუძლებელი იყო პერსონალური დიპლომატიის როლის ზრდა. ხსენებული ინსტიტუციური საგარეო პოლიტიკის შემუშავების მოდელი რღვევას მას შემდეგ იწყებს, რა დროსაც ევროკავშირში გაწევრიანების მიზნით განხორციელებული რეფორმების შედეგად შემცირდა თურქი სამხედროების როლი საგარეო პოლიტიკურ პროცესებში. „ახალმა პოლიტიკურმა რეჟიმმა სტრუქტურულად შეცვალა გადაწყვეტილების მიმღები იერარქია და პოლიტიკურმა ლიდერებმა მნიშვნელოვანი როლის შესრულება დაიწყეს საგარეო პოლიტიკაში. ამავდროულად დანარჩენი სამყაროსთვისაც ცხადი გახდა, რომ სამხედრო და სამოქალაქო საზოგადოება აღარ არის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მქონე ინსტიტუციები და მათაც შეცვალეს დამოკიდებულება. დაკვირვების შედეგად ცხადი გახდა, რომ სახელმწიფოს ლიდერს პერსონალური დიპლომატიის გამოყენება შეუძლია, როგორც კრიზისების გადაწყვეტისთვის, ასევე საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებისათვისაც, რაც რეალურად არის ერდოღანის პერსონალური დიპლომატიის მთავარი მახასიათებელი“ (ÜLGÜL, 2019).

თურქეთის საგარეო პოლიტიკის ფორმირების პროცესების უკეთ გაგების მიზნით აუცილებელია თავდაპირველად დავაკვირდეთ გადაწყვეტილებების მიღების პროცესს. ისტორიულად თურქეთის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში პრემიერ-მინისტრთან ერთად მონაწილეობს საგარეო საქმეთა მინისტრი, თურქეთის სამხედრო ხელმძღვანელობა, პრეზიდენტი და პარლამენტი. ერდოღანის როლი საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ლიდერის, უდავოდ ნაკარნახევი იყო თურქეთის ისტორიული და ინსტიტუციური ფაქტორებით. მიუხედავად ამისა, ერდოღანი ხსენებულ პროცესში შებოჭილი იყო თურქეთის

ეკონომიკურ და უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ისადმი მნიშვნელოვან დამოკიდებულებაზე.

პოლიტიკური ლიდერები თურქეთის რესპუბლიკის ფორმირებიდან ანუ ათათურქიდან მოყოლებული, ყოველთვის ფლობდნენ პოლიტიკური ძალაუფლების სადავეებს, და თურქეთის პოლიტიკა ყოველთვის იყო ლიდერული მახასიათებლების მქონე პიროვნებების პოლიტიკური ასპარეზის ადგილი. ამავდროულად პრემიერ-მინისტრები ყოველთვის წამყვან როლს ასრულებდნენ საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში. სწორედ ერდოღანის პრემიერ მინისტრობის პერიოდში დაიწყო რესპუბლიკის ფუძემდებლური პრო-დასავლური პოლიტიკის ცვლილება და მუსლიმურ სამყაროში ახალი ალტერნატივების ძიება.

თურქეთის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ ერდოღანის პირადი ცხოვრება, მისი გამოცდილება, სოციალურ-ეკონომიკური წარსული, რომელიც მკვეთრად განსხვავდება სხვა პოლიტიკური ლიდერებისგან. აღსანიშნავია, რომ რეჯეპ ტაიპ ერდოღანი დაიბადა ეკონომიკურად მოკრძალებულ ოჯახში, ქალაქ რიზეში, ამავდროულად ის იყო მშობლების უმცროსი შვილი. მამა დასაქმებული იყო ბორანის კაპიტნად, განსხვავებით სხვა თურქი პოლიტიკოსებისგან, ერდოღანი არ სწავლობდა პრესტიჟულ სკოლასა თუ უმაღლეს სასწავლებელში, ამავდროულად ცხოვრების არცერთ პერიოდში არ უცხოვრია საზღვარგარეთ. მიუხედავად ამისა, ერდოღანი სწავლობდა „Imam Hatip“-ის სასულიერო სკოლაში, შემდეგ კი სწავლა განაგრძო მარმარას უნივერსიტეტში, დაასრულა ბიზნესის მენეჯმენტის ფაკულტეტი. სწავლის პერიოდში რეჯეპ ტაიპ ერდოღანი დაკავებული იყო სპორტით, კერძოდ ის პროფესიონალურ დონეზე თამაშობდა ფეხბურთს (Kesgin, 2020). სწავლის შემდგომ მან დაიწყო ბიზნესის კეთება, რა დროსაც აქტიურად ჩაერთო სტამბულის ადგილობრივ პოლიტიკაში და გახდა ნეჩმეტინ ერბაკანის „ეროვნული ხსნის პარტიის“ წევრი. 1994 წელს ის არჩეული იქნა სტამბულის მერად, რა დროსაც მისი პოლიტიკური ავტორიტეტი და ცნობადობა ყოველდღიურად იზრდებოდა. პოლიტიკურ კარიერაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ერდოღანის ქალაქ სიირტში წაკითხული ზია გიოკალპის პოემა, „ჯარისკაცის ლოცვა“:

„მინარეთები ჩვენი შუბებია, გუმბათები ჩვენი ფარები,  
მეჩეთები ჩვენი ყაზარმებია, მორწმუნეები კი ჯარისკაცები

ჩვენი რწმენა ელოდა ამ სულიერ არმიას

ღმერთი დიდია, ღმერთი დიდია“.

ხსენებული პოემა წარმოადგენს ანტი-სეკულარულ და ოსმალურ იმპერიალისტურ ნაწარმოებს, რომელიც ეწინააღმდეგება თურქეთის რესპუბლიკის ფუძემდებლურ სეკულარული სახელმწიფოს პრინციპს (Ryan, 2022). პოემის წაკითხვის გამო ერდოლანი დააპატიმრეს და 10 თვით თავისუფლების აღკვეთა და პოლიტიკური მოღვაწეობის დროებით აკრძალვა მიუსაჯეს, მიუხედავად ამისა პენიტენციურ დაწესებულებაში მხოლოდ 4 თვე დაჰყო. აღსანიშნავია, რომ ერდოლანის პატიმრობამ გააძლიერა მისი მხარდაჭერა და რამაც მას უბიძგა გამხდარიყო ძირითადი ფიგურა ახლად ჩამოყალიბებული „სამართლიანობის და განვითარების“ პარტიის რიგებში. 2002 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ „სამართლიანობის და განვითარების“ პარტია იქცა მმართველ პარტიად. ახალი ხელისუფლების უმთავრეს დღის წესრიგად იქცა კონსტიტუციის ცვლილება, რათა ერდოლანს შესაძლებლობა მისცემოდა ნასამართლეობის გათვალისწინებით კენჭი ეყარა საჯარო თანამდებობის დასაკავებლად. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ პერიოდში ერდოლანი მიიჩნეოდა ჩრდილოვან მმართველად, მან პრემიერ მინისტრის პოსტის დაკავება მხოლოდ ერთი წლის შემდეგ შუალედური არჩევნების შემდგომ მოახერხა. საყურადღებოა, რომ შუალედური არჩევნები, რომელშიც ერდოლანმა გაიმარჯვა ქ.სიირტში ჩატარდა, სადაც რამდენიმე წლის წინ ანტი-სეკულარული პოემის წაკითხვის გამო დააკავეს.

კონსერვატიული პოლიტიკის მქონე ერდოლანის „სამართლიანობის და განვითარების“ პარტია უფრო მეტად სიახლოვეს ავლენდა ახლო აღმოსავლეთის და ისლამური სამყაროს ქვეყნებისადმი. ხსენებული პარტიის მმართველობის დროს სულ უფრო მეტად ღვივდებოდა აზრი, რომ თურქეთი „შებრუნდა აღმოსავლეთისკენ“ ან ატარებს „ისლამურ საგარეო პოლიტიკას“ (Kesgin, 2020). მიუხედავად, ამისა ერდოლანმა მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა დაიწყო ევროკავშირში გაწევრიანების მიმართულებით. ერდოლანის საგარეო პოლიტიკა წარმოადგენს მნიშვნელოვან

თავსატებს, ერთი შეხედვით ქვეყნის შიდა პოლიტიკური წყობა ერდოლანის მმართველობის პერიოდში სულ უფრო მეტად ხდება ავტორიტარული, მეორე მხრივ, ერდოლანი ინარჩუნებს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს. სწორედ ამიტომ, მეტად საინტერესოა თურქეთის ორგანომილებიანი ასპარეზი მსოფლიო პოლიტიკურ სცენაზე.

2002 წლის ნოემბრის შემდგომ ერდოლანი თავის ნიშანს ასვამს თურქეთის საგარეო პოლიტიკას. ამავე პერიოდში რეჟეპ ტაიპ ერდოლანი არაერთხელ დაუპირისპირდა ისრაელს პალესტინის საკითხის ირგვლივ, ხსენებულთან ერთად 2005 წელს თურქეთმა წამოიწყო ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებები, რომელიც კონფლიქტით და გაციებული ურთიერთობებით დაასრულა. თურქეთის ხელისუფლების წამყვან თანამდებობაზე რეჟეპ ტაიპ ერდოლანი პირველად 2003 წელს ჩნდება, როდესაც მისმა „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიამ გაიმარჯვა არჩევნებში. თავდაპირველად 2014 წლამდე ის იკავებდა თურქეთის პრემიერ-მინისტრის, ხოლო შემდგომ თურქეთის პრეზიდენტის პოსტებს. რეჟეპ ტაიპ ერდოლანის 20 წლიანი მმართველობის დროს მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა თურქეთის საგარეო პოლიტიკამ, რომელმაც ხსენებულ პერიოდში თურქეთის რეგიონალურ ლიდერად ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ერდოლანის მმართველობის საწყისივე პერიოდში გამოჩნდა, რომ თურქეთის საგარეო პოლიტიკურ კონცეფციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები იყო მოსალოდნელი. ჯერ კიდევ 2009 წლის 29 იანვარს მსოფლიოსთვის სრულ მოულოდნელობად იქცა ერდოლანის გამოსვლა „მსოფლიოს ეკონომიკურ ფორუმზე“ დავოსში, როდესაც მან განაცხადა, რომ:

„მე არ ვფიქრობ, რომ დავოსში კვლავ დავბრუნდები“ (Kesgin, 2020).

ხსენებული განცხადება მან მოაყოლა ისრაელის პრეზიდენტის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებას და დროის დამატებაზე უარის თქმის შემდგომ სასწრაფოდ დატოვა დარბაზი. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერებისთვის თურქეთის პრემიერის აღნიშნული ქმედება შოკისმომგვრელი გამოდგა. აღსანიშნია, რომ ერდოლანმა დანაპირები შეასრულა და მას შემდგომ არ დასწრებია დავოსში გამართულ ფორუმს. აღნიშნულის შემდგომ, თურქეთში ერდოლანი მიიღეს, როგორც „დავოსის

დამპყრობელი“, რომელსაც მხარდაჭერა გამოუცხადა არაბულმა და მუსლიმურმა სამყარომ.

2009 წლამდე მსგავსი ინციდენტი მოხდა 2005 წლის ნოემბერში, რეჟეპ ტაიპ ერდოღანის და დანიის პრემიერ მინისტრის ანდრეს ფოგ რასმუსენის შეხვედრის დროს. ერდოღანმა მასპინძელ დანიის სამეფოს პრემიერს სთხოვა პრეს-კონფერენციაზე დასწრებაზე უარი განეცხადებინათ ROJ-TV3-ის წარმომადგენლებისთვის, რაც დანიურმა მხარემ არ დააკმაყოფილა, ხსენებულის შემდგომ ერდოღანმა უარი განაცხადა ერთობლივ პრეს-კონფერენციის ჩატარებაზე (Kesgin, 2020). 2010 წელს გაეროს უშიშროების საბჭოს დანარჩენი წევრებისგან განსხვავებით, თურქეთმა ხმა მისცა ირანის წინააღმდეგ დამატებით სანქციებს.

ერდოღანის საგარეო პოლიტიკური თავსატეხები ამ დრომდე გრძელდება, ხსენებულ 20 წლიან პერიოდში საერთაშორისო საზოგადოებისთვის ცნობილი ხდებოდა სხვადასხვა საკამათო განცხადებების გაკეთების შესახებ, ასევე გამოიკვეთა თურქეთის საგარეო პოლიტიკაში აგრესიული ელემენტების ზრდის ტენდენცია. ერდოღანის პერსონალური დიპლომატია თურქეთის პროფესიონალი დიპლომატებისთვის ყოველთვის მისაღები არ ყოფილა, „მაგალითად 2010 წელს, გადამდგარმა თურქმა ელჩებმა განაცხადეს, რომ „სამართლიანობის და განვითარების“ პარტია ზედმეტად ამბიციურია საკუთარ მიზნებში და რელიგიის ელემენტების ზრდის შედეგად სურს გახდეს „მსოფლიო ლიდერი“ ქვეყანა. მათი აზრით, შესაძლებელია არასწორი გათვლების და იდეოლოგიური გადახვევების პრევენცია პროცესში პროფესიონალი დიპლომატების მონაწილეობის გზით“ (ÜLGÜL, 2019).

ერდოღანი წარმოადგენს ორ განსხვავებულ იდენტობას, რომელიც ლავირებს ერთის მხრივ ისლამურ იდენტობაში, ხოლო მეორე მხრივ ის ვალდებულია გაჰყვეს თურქეთის რესპუბლიკის ფუძემდებლურ პრინციპებს. სწორედ ამიტომ მას უხდება ორმაგი როლის თამაში, ერთი მისი ტრადიციული ისლამური მიმდევრებისთვის, ხოლო მეორე სეკულარული შიდა და საგარეო აუდიტორიისთვის (Kesgin, 2020). ერდოღანის მსოფლმხედველობა დაფუძნებულია მის რელიგიურ ხედვაზე, მის პოლიტიკურ იდეოლოგიაში ნაციონალიზმი და ერის ცნება ნაკლებ დატვირთვას ატარებს, უფრო

მეტიც „მის მსოფლმხედველობას აყალიბებს მისი რელიგიური აღზრდა, რომელიც ანაცვლებს მის ეთნიკურ თუ რეგიონულ წარმომავლობას“ (Yavuz, 2009). თურქეთის საგარეო პოლიტიკის მკვლევარი ჰაკან იავუზის შეხედულებით ერდოღანის საგარეო პოლიტიკა და მისი ხედვა სეკულარიზმისადმი ჰგავს სულეიმან დემირელის (თურქეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი) შეხედულებას, რომელიც აცხადებდა, რომ :

„სეკულარიზმი არ უნდა იქნეს განმარტებული, როგორც რელიგიისადმი მტრობა: სახელმწიფო შეიძლება იყოს სეკულარული, მაგრამ არა პიროვნება“ (Yavuz, 2009).

აღსანიშნავია, რომ ხსენებული პოლიტიკური ლიდერების ძირითადი განმასხვავებელი საგარეო პოლიტიკური ვექტორი იყო, რომლის დროსაც დემირელი მიიჩნეოდა კონსერვატიული იდეოლოგიის მქონედ, თუმცა პრო-დასავლურად, განსხვავებით ერდოღანისგან, რომელიც „აღმოსავლეთისკენ შემობრუნების“ პოლიტიკას ატარებს.

რეჯეპ ტაიპ ერდოღანის პიროვნული მახასიათებლები და მისი პოლიტიკური ხედვა ჩამოყალიბებულია ოთხი სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტიდან გამომდინარე, პირველ რიგში აღსანიშნავია ადრეულ ასაკში საცხოვრებელი ადგილი და ქ.კასიმპაშას სოციალური გავლენა მის მსოფლმხედველობაზე, შემდგომ იყო უკვე „Imam Hatip“-ის კონსერვატიულ-რელიგიური სასწავლებელი, სადაც მას რელიგიურ ღვთისმეტყველებას და რელიგიურ ლიდერად ჩამოყალიბებას ასწავლიდნენ. აღნიშნულის შემდგომ, მარმარის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ის გაწევრიანებული იყო ეთნო-რელიგიურ „ნაციონალურ თურქ სტუდენტთა გაერთიანებაში“, ხოლო პოლიტიკური კარიერა კი დაიწყო ერბაკანის „ნაციონალური მსოფლმხედველობის პარტიაში“. ხსენებულმა გარემოში ყოფნას საკუთარი პოლიტიკურ-იდეოლოგიური გავლენა მოახდინა ერდოღანის ცნობიერებაზე, რომელმაც გამოვლინება უკვე მისი პრემიერ-მინისტრობის და პრეზიდენტობის დროს დაიწყო.

## 4.2 ერდოღანის პერსონალური დიპლომატია რუსეთ-უკრაინის ომში

მრავალ პასუხგაუცემელ კითხვასთან ერთად, რუსეთ-უკრაინის ომმა წინ წამოსწია პოპულისტური სახელმწიფო ლიდერების მოქმედებები, მათი განცხადებები და

პოლიტიკური მიმართულებები. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ გამოჩნდა პოპულისტური სახელმწიფო ლიდერების რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მიმართ გამოვლენილი სიმპათია, თუ რა თქმა უნდა ისინი უკვე არ იმყოფებოდნენ რუსეთის პირდაპირი გავლენის ქვეშ, მსგავსად ბელორუსის პრეზიდენტის ალექსანდრ ლუკაშენკოს. მეორე მხრივ ომის მიმდინარეობამ გამოკვეთა, რომ მხარეები აღნიშნულ კონფლიქტს გლობალური მასშტაბის დაპირისპირებად აღიქვამდნენ, მათ შორის სხვადასხვა ბანაკში გადანაწილებული ქვეყნებიც, იქნებიან ესენი უკრაინის მხარდამჭერები, მოწინააღმდეგეები თუ ნეიტრალური ქვეყნები. კონფლიქტმა შეიძინა დასავლეთის და აღმოსავლეთის დაპირისპირების ელფერი, ისევე როგორც ავტოკრატია და დემოკრატია შორის დაპირისპირების, ხსენებულ პოლუსებში პოპულისტი მმართველების სიმპათია აღმოსავლეთისკენ იხრება. საბოლოოდ პოპულისტი ლიდერები საკუთარი ამომრჩევლებისთვის და ზოგადად შიდა აუდიტორიისთვის ცდილობენ არსებული მდგომარეობის გამოყენებას და საკუთარი პოლიტიკის შეთავაზებას.

აღსანიშნავია, რომ ერდოღანის ხსენებულმა მსოფლმხედველობამ სრული სახე დაგვანახა რუსეთ-უკრაინის ომში, სადაც გამოჩნდა რამდენად თავდაჯერებულია ერდოღანი, რამდენად სწამს მისი საგარეო პოლიტიკის სიმლიერის და რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პერსონალურ ურთიერთობებს მეომარ პრეზიდენტებს შორის. ამ პროცესში საინტერესო მოვლენას წარმოადგენდა 2022 წლის 3 თებერვალს ერდოღანის და ზელენსკის შეხვედრა, რომელსაც სამი უმთავრესი მიზანი ჰქონდა, პირველ რიგში გაფორმდა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება და მხარეებმა სავაჭრო ბრუნვა გაზარდეს 10 მილიარდამდე. მეორე მხრივ, გაიზარდა თურქეთ-უკრაინას შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობა და მესამე მნიშვნელოვანი გარემოება იყო დიპლომატიური გზავნილი რუსეთისთვის, რომ მას არ ძალუძს უკარნახოს პირობები მეზობელ ქვეყნებს ერთმანეთთან ურთიერთობის დროს (Işık, 2022).

ერდოღანის დიპლომატიური გაცხადებები ყურადღებას იქცევდა კონფლიქტის ცხელ ფაზაში გადასვლამდეც, აღსანიშნავია, რომ თურქეთის პრეზიდენტმა 2022 წლის 23 თებერვალს, საომარი მოქმედებების დაწყებამდე ერთი დღით ადრე, აფრიკაში ვიზიტის დროს ჟურნალისტების დასმულ კითხვას უპასუხა, რომ:



„ჩვენთვის შეუძლებელია რომელიმე მხარესთან თანამშრომლობაზე უარი თქმა, თუ თქვენ იტყვით „მიატოვეთ უკრაინა“ ჩვენ ეს უბრალოდ არ შეგვიძლია, რადგან ჩვენი ქვეყნის ურთიერთობები [უკრაინასთან] ძალიან ღრმაა“ ( Deutsche Welle English, 2022).

კონფლიქტის ცხელ ფაზაში გადასვლის შემდგომ აღსანიშნავია, რომ რეჟეკ ტაიპ ერდოღანმა პერსონალურ დონეზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გარკვეული სახის შეთანხმებების მიღწევაში, მისი ახლო ურთიერთობა ორივე ქვეყნის ლიდერთან შესაძლებლობას აძლევდა დაკავშირებოდა დაპირისპირებულ მხარეებს და შეძლებისდაგვარად მიეყვანა კომპრომისამდე. მოლაპარაკებების პროცესში მხარეთა შორის არსებულ ნდობით ურთიერთობას და კონფლიქტით გამოწვეულ ნეგატიურ შედეგებს, რეჟეკ ტაიპ ერდოღანი ვრცლად შეეხო 2022 წლის 24 მარტს ნატოს სამიტის შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე, სადაც აღნიშნა, რომ:

„ორივე რუსეთიც და უკრაინაც არის ჩვენი მეზობელი შავ ზღვაში. ჩვენ გვაქვს სტრატეგიული პარტნიორობა უკრაინასთან და დამატებით ღრმა, მრავალგანზომილებიანი ახლო ურთიერთობები. ამასთანავე, ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ კონსტრუქციულ დიალოგს რუსეთთან, ჩვენს კიდევ ერთ მეზობელთან, რომელიც ეყრდნობა ორმხრივ ნდობას. ჩვენ მხარეებთან გვაქვს ახლო კონტაქტი და ჩვენი მიზანია საომარი მოქმედებების დროული დასრულება. ჩვენ მივყვებით და მხარს ვუჭერთ მხარეთა შორის მოლაპარაკებების პროცესს“ (Presidency of Republic of Turkey, 2022).

ერდოღანის ახლო ურთიერთობამ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან მრავალ საათიანი სატელეფონო საუბრების შემდგომ განაპირობა „მარცვლეულის შეთანხმების“ მიღწევა და მსოფლიო მოსახლეობის გადარჩენა შიმშილისგან. მისი განცხადებით ვლადიმერ პუტინთან საუბრის დროს განიხილეს თურქეთ-რუსეთს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობები. ამავდროულად აღნიშნა, რომ ის დაუკავშირდა უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის, სადაც განიხილა რუსეთის და უკრაინის ურთიერთობების განმუხტვის შესაძლებლობა და უკრაინულ მხარეს დახმარება აღუთქვა ზაპოროჟიის ატომურ ელექტროსადგურთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაშიც (Presidency of Republic of Turkey, 2023). აღსანიშნავია, რომ ერდოღანთან

მოლაპარაკებების შედეგად ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ ის აფრიკის განვითარებად ქვეყნებს მარცვლელს გადასახადების გარეშე მიაწოდებს. ერდოლანის განცხადებით:

„ჩვენ მიზანს წარმოადგენს შევქმნათ მშვიდობიანი გარემო რეგიონში და მივაღწიოთ ცეცხლის შეწყვეტას“ (Presidency of the Republic of Turkey, 2023).

საბოლოოდ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ თურქეთის პრეზიდენტი რეჯეპ ტაიპ ერდოლანს აქვს უნარი და შესაძლებლობა გაატაროს პერსონალური დიპლომატია და აქციოს იგი თურქეთის საგარეო პოლიტიკის საყრდენად. აღსანიშნავია, რომ მსგავსი პიროვნული მახასიათებლებით და ფსიქოლოგიური განწყობით შესაძლებელია სხვადასხვა ქვეყნის ლიდერზე შთაბეჭდილების მოხდენა და შესაბამისად სასარგებლო პოლიტიკის გატარება. ცხადია, რომ მისი პერსონალური დიპლომატიის ზრდა პირდაპირ დაკავშირებულია, მის შესაძლებლობასთან საკუთარი თავი წარმოადგინოს ძლიერ მმართველად, რომელიც ღიად გამოხატავს ნებას საშინაო და საგარეო პოლიტიკის ერთპიროვნული მართვის. „ერდოლანის პერსონალური მახასიათებლების და ლიდერული სტილის ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ თურქეთის პრეზიდენტი არის გამორჩეული სხვა ლიდერებისგან, იმით რომ, მას ღრმად სწამს, რომ შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ყველაფერზე რაც პოლიტიკურ სივრცეში ხდება, და მას პირადად ძალუმს გადაწყვიტოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური საკითხები“ (Ucal, 2011). ამავდროულად ეს მახასიათებლები იწვევენ არა აუცილებელ აქტიურობას თურქეთის საგარეო პოლიტიკაში. ერდოლანი საკუთარ ავტორიტეტს, რწმენას და შესაძლებლობებს აღიქვამს, ყველა ინსტიტუტზე, ადამიანსა და იდეაზე მაღლა მდგომად (Ucal, 2011). პერსონალური დიპლომატიის მიმდევარი სხვა პოლიტიკური ლიდერების მსგავსად, ერდოლანი არ ენდობა ტრადიციულ ინსტიტუციურ დიპლომატიას. აღსანიშნავია, რომ ერდოლანის პირადი შესაძლებლობებში თავდაჯერებულობამ და მისმა უნდობლობამ ტრადიციულ ინსტიტუციურ დიპლომატიასთან დაკავშირებით, მიგვიყვანა იქამდე, რომ თურქეთი გადაიქცა „ერდოლანის თურქეთად“, რომელსაც საგარეო პოლიტიკის წარმოებაში სრული თავისუფლება გააჩნია.

ხსენებული განცხადებების ანალიზი ცხადყოფს, რომ საერთაშორისო საზოგადოების თვალში გაიზარდა რეჯეპ ტაიპ ერდოღანის რეგიონალური ლიდერის იმიჯი. მას სურს მსოფლიოს აჩვენოს, რომ ის არის ძლიერი პოლიტიკური ლიდერი, რომელსაც აქვს უნარი და შესაძლებლობა, ზეგავლენა მოახდინოს 21-ე საუკუნის უმნიშვნელოვანეს კრიზისზე. ერდოღანის მოსაზრებით, თურქეთს მჭიდრო ისტორიული კავშირები გააჩნია ორივე ქვეყანასთან, ამავდროულად მას პირადად ახლო ურთიერთობა და პატივისცემა გააჩნია მებრძოლი ქვეყნების პრეზიდენტებისადმი, რაც თურქეთს ეხმარება შეასრულოს მედიატორის ფუნქცია და დაეხმაროს მხარეებს დროული მშვიდობის მიღწევაში. დამატებით შეიძლება აღინიშნოს, რომ ერდოღანს სჯერა, რომ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერებმა დააფასეს მისი ძალისხმევა და მიიჩნიეს ის ერთერთ მნიშვნელოვან სუბიექტად მსოფლიო პოლიტიკაში.

## 5 სახელმწიფოებრივი ეკონომიკური მდგომარეობის და საზოგადოებრივი განწყობების გავლენა საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე

### 5.1 თურქეთის ეკონომიკური მდგომარეობის გავლენა საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე

საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის შიდა სახელმწიფოებრივი ეკონომიკური მდგომარეობა და საზოგადოებრივი განწყობები. აღსანიშნავია, რომ რუსეთ-უკრაინის დაწყებამდე თურქეთის ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, რეკორდულ მაჩვენებლამდე გაიზარდა უმუშევრობის დონემ, გაუფასურდა ეროვნული ვალუტა ლირა, გაიზარდა საბანკო სესხების პროცენტული მოგების წილი, საბანკო სესხების დეფოლტების რაოდენობა და ა.შ. ხსენებული ეკონომიკური მდგომარეობა თურქეთის პრეზიდენტის 20 წლიანი მმართველობის პერიოდში ე.წ „აქილევსის ქუსლად“ იქცა, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ომის პირველ წუთებში თურქეთის მიერ მიღებულ არჩევანზე, ყოფილიყო მედიატორი რუსეთ-უკრაინის ომში და ამასთანავე უწინდებურად გაეგრძელებინა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები დაპირისპირებულ მხარეებთან. აღნიშნულ გადაწყვეტილებას ზურგს უმაგრებდა საზოგადოებაში ღრმად გამჯდარი ანტი-ამერიკული და ანტი-დასავლური განწყობები, 20 წლიანი მმართველობის დროს რეჟებ ტაიპ ერდოღანმა საზოგადოებას თავს მოახვია პოპულისტური ისლამური ნარატივი, ხოლო მოპირისპირე მხარედ სწორედ დასავლეთი და იქ არსებული ცივილიზაცია განსაზღვრა. მაშინ როდესაც თურქეთის მმართველო რგოლი რუსეთ-უკრაინის საწყის პერიოდში ფიქრობდა აერჩია მედიატორის როლი, თუ მიმხრობოდა მოკავშირე ნატოს და ევროკავშირის პოლიტიკას, ხსენებულმა გარემოებებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გადაწყვეტილებაზე.

თურქეთში მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება ჯერ კიდევ 2011 წელს დაიწყო, რომელიც ხილული გახდა 2013 წელს, მზარდი ავტორიტარული მმართველობის ფონზე 2016 წელს, გადაიქცა ეკონომიკური კრიზისად 2018 წლის მარტში, ხოლო 2020

წელს მსოფლიო პანდემიამ მძიმე ეკონომიკური დარტყმა მიაყენა თურქეთის ეკონომიკას. არეულობის ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მთავრობა ატარებდა სხვადასხვა ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელთა უმეტესობა შეუსაბამო იყო ერთმანეთთან და ხშირი ცვლილებები გამოწვევად იქცა როგორც კომპანიებისთვის, ასევე ინვესტორებისთვის (Kubilay, 2022). ეკონომიკური პრობლემების მიზეზად სახელდება კუმულატიურად რამდენიმე ფაქტორი, მათ შორის თურქეთის ეკონომიკაში წარმოქმნილი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, რომელიც გულისხმობს ეკონომიკაში მომსახურების და ვაჭრობის სფეროში არსებულ ექსპორტ-იმპორტის ბალანს და კაპიტალის საერთაშორისო ბრუნვას. ეკონომიკური კრიზისი ასევე გამოიწვია უცხოური ვალუტაში დენომინირებული ვალის დიდმა რაოდენობამ, სავალუტო რეზერვების შემცირებამ და რეჯეპ ტაიპ ერდოღანის მზარდი ავტორიტარული მმართველობით განპირობებულმა არასწორმა საპროცენტო განაკვეთის პოლიტიკამ.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევართა ნაწილის მოსაზრებით ეკონომიკური კრიზისის ახალი ძალით წარმოქმნაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თურქეთს და აშშ-ს შორის არსებულმა გეოპოლიტიკურმა დაძაბულობამ. აღსანიშნავია, რომ თურქეთის მიერ სამხედრო გადატრიალების მცდელობაში ამერიკელი მღვდლის ენდრიუ ბრანსონის დადანაშაულების და დაკავების შემდეგ სახელმწიფოთა შორის დაძაბულობამ დუდილის ტემპერატურას მიაღწია, რამაც გამოიწვია დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის მიერ თურქეთისთვის სანქციების დაწესება. ეკონომიკური სანქციების შედეგად გაიზარდა თურქული მეტალურგიული ნაწარმის აშშ-ში ექსპორტის ტარიფი, რკინის შემთხვევაში 50%-ით, ხოლო ალუმინის შემთხვევაში 20%-ით. აღნიშნულ გადაწყვეტილებას შედეგად მოჰყვა თურქული მეტალის აშშ ექსპორტის რაოდენობის შემცირება, რამაც იქონია თურქულ ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა, რადგან თურქული მეტალის ექსპორტის 13% სწორედ აშშ-ზე მოდიოდა (Goujon, 2018).

აღსანიშნავია, რომ თურქეთის ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო COVID-19 პანდემია, რომლის დროსაც თურქული ლირა რეკორდული მასშტაბით გაუფასურდა, აღნიშნულ პერიოდში ერდოღანის გადაწყვეტილებით შეიცვალა თურქეთის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება

შემცირებინა საპროცენტო განაკვეთები 19%-დან 14%-მდე, რამაც თურქული ლირის 44%-იანი გაუფასურება გამოიწვია. არსებული ეკონომიკური კრიზისი მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა საზოგადოებრივ განწყობებზე შედეგად, ერდოლანის და მმართველი პარტიის „სამართლიანობის და განვითარების“ პარტიის პოპულარობა მნიშვნელოვნად დაეცა (Isil Sariyuce & Ivana Kottasová, 2019). საყურადღებოა, რომ რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა საბანკო პროცენტების კრიზისთან გამკლავება წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ისლამური ნარატივით სცადა და განაცხადა, რომ „ბანკები და ვალები ეშმაკის მოგონილი იყო, ხოლო საპროცენტო განაკვეთები ეწინააღმდეგებოდა ისლამურ მოძღვრებას“ (Ece Toksabay & David Dolan, 2015), რამაც გამოიწვია საერთაშორისო ინვესტორების დაფრთხობა. თურქეთის მონეტარული პოლიტიკის შეფასების დროს განვითარებადი ბაზრების ანალიტიკოსმა ტიმოთი ეშმა განაცხადა, რომ „ერდოღანის მონეტარული პოლიტიკა უცხოურ საინვესტიციო ინსტიტუციებს უბიძგებს თავი შორს დაიჭირონ თურქეთიდან“ (Turak, 2022). „თურქეთის ეკონომიკა მსგავსად სხვა გლობალური აქტორებისა ექვემდებარება საერთაშორისო გავლენის და ინფლაციის იგივენაირ ძალებს, მაგრამ პრეზიდენტ რეჯეპ ტაიპ ერდოღანის არაორდინალურმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ სრულიად შეცვალა რეალობა და გააჩაღა ეკონომიკური კრიზისი“ (Sariyuce, 2022). არაორდინალური საგარეო პოლიტიკა გამოიხატება შემდეგში, ერდოღანის გადაწყვეტილების შესაბამისად თურქეთის ცენტრალურმა ბანკმა უარი განაცხადა საპროცენტო განაკვეთების გაზრდაზე, მსგავსად მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკებისა, რათა შეემცირებინა მოთხოვნა სესხზე და თავის მხრივ ინფლაციის დონე, თუმცა თურქეთმა საპირისპირო გადაწყვეტილება მიიღო და საპროცენტო განაკვეთი მძიმე რყევების მიუხედავად შეინარჩუნა 14%-იან მაჩვენებელზე. „ერდოღანი მყარად იცავს საკუთარ მონეტარულ პოლიტიკას და ამტკიცებს, რომ განაკვეთების შემცირება ინფლაციას შეამცირებს და გაზრდის წარმოებასა და ექსპორტს, ხოლო ქვეყანაში არსებული კრიზისი დააბრალა საგარეო ჩარევას და უცხო ძალებს“ (Sariyuce, 2022). აღნიშნული განცხადება თურქეთის პრეზიდენტს არაერთხელ გაუკეთებია, 2022 წლის 12 იანვარს პარლამენტის წინაშე ანგარიშის წარდგენის დროს მან განაცხადა, რომ:

„ჩვენ ვიცავთ ქვეყნის ეკონომიკას საერთაშორისო ფინანსური ინსტრუმენტების შემოტევისგან, რომელსაც შეუძლია ჩვენი ქვეყნის საფინანსო სისტემის ჩამოშლა“ (Turak, 2022).

საინტერესო იყო ასევე ერდოდანის განცხადებები მინისტრთა კაბინეტთან შეხვედრის დროს 2021 წლის 22 ნოემბერს, როდესაც პირველად წარადგინა ახალი საფინანსო პოლიტიკის პროექტი.

„ჩვენ ვხედავთ თამაშებს, რომლებიც მიმდინარეობს გაცვლით კურსთან და საპროცენტო განაკვეთებთან მიმართებით. ყოველი ბრძოლიდან, რომელშიც ვმონაწილეობდით ჩვენ ღირსეულად გამოვედით და ძლიერად დავდექით. ალაჰის დახმარებით და ჩვენი ერის მხარდაჭერით, ჩვენ გავიმარჯვებთ ამ ეკონომიკური დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში“ (DAILY SABAH WITH AGENCIES, 2021).

„თურქეთის ომის საწყის პერიოდში ეკონომიკური მდგომარეობის კრიტიკულობაზე მეტყველებდა ქვეყნის საგარეო ვალი, რომელიც უახლესი მონაცემების მიხედვით შეადგენდა 451 მილიარდ დოლარს, რომელთაგანა 185 მილიარდი დოლარი იყო მოკლევადიანი საერთაშორისო ვალი. ამავე დროს ხსენებულმა ომმა საწყის პერიოდში მნიშვნელოვნად გაზარდა ენერჯის და საქონლის ფასი. 2022 თებერვლის ბოლოს თურქეთს აქვს მუდმივი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, თუმცა ადგილობრივი ვალუტის გაუფასურებამ მდგომარეობა არ გამოასწორა, ეს ნიშნავს, რომ იმპორტირებული საქონლის უფრო მაღალმა ფასმა საკმარისად არ შეამცირა მოთხოვნა და თურქეთის დაბალ ფასიანმა მუშახელმა არ მისცა შიდა ინდუსტრიას საკმარისი კონკურენტული უპირატესობა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გასაუმჯობესებლად“ (Kubilay, 2022).

თურქეთის ეკონომიკა 2021 წლის შემოდგომის შემდგომ მძიმე რყევებს განიცდიდა, აღნიშნული პერიოდიდან იწყება ლირის გაუფასურება, ინფლაცია და უმუშევრობის ზრდა. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის იანვარში თურქეთის ცენტრალური ბანკი მთლიანი რეზერვები შემცირდა 1.6 მილიარდი დოლარით, რაც გამოწვეული იყო ლირის დოლართან დაბალანსების პოლიტიკის წარუმატებლობით, რა დროსაც სახელმწიფო ინტერვენციას ახდენდა ვალუტის დევალვაციის პროცესში და დოლარის

გაყიდვის გზით ცდილობდა ბალანსის დაკავებას. 2022 წლის დასაწყისში ინფლაციის რიცხვმა 78.6% შეადგინა, ამასთანავე გაორმაგდა საკვები პროდუქტების ფასი, ხოლო ტრანსპორტის გადასახადი გაიზარდა 123%-ით. აღნიშნულ პერიოდში თურქულმა ლირამ 20%-ით დაკარგა ღირებულება აშშ-ის დოლართან მიმართებით. 2022 წლის ივლისიდან თურქეთის ინფლაციის დონემ მნიშვნელოვანი მატება დაიწყო, ივლისში ხსენებული მაჩვენებელი შეადგენდა 78%, ხოლო სულ რაღაც სამ თვეში ინფლაციის დონე გაიზარდა 7%-ით და ისტორიულ მაქსიმუმს 85%-ს მიაღწია, აღსანიშნავია, რომ ხსენებული პერიოდიდან მოყოლებული თურქეთის ეკონომიკამ მნიშვნელოვანი წარმატებები განიცადა. თუ 2022 წლის ოქტომბერში ისტორიულ მაქსიმუმს გვაჩვენებდა ინფლაციის დონე, 2023 წლის იანვრიდან ხსენებული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა და იანვარში 64% შეადგინა, ხოლო აპრილის მიწურულს 40% (Turkish Statistical Institute, 2023). თურქეთის ინფლაციის მაჩვენებლების ცვლილება განპირობებულია თურქეთის მიერ არჩეული მედიატორის როლით, რადგან ხსენებულმა განაპირობა რუსული ეკონომიკური აქტივების კოლოსალური ზრდა თურქეთში და ამასთან მისმა მონაწილეობამ სხვადასხვა სამშვიდობო მოლაპარაკებებში გაზარდა მისი ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე, რაც ნიშნავს, რომ თუ ადრე ისლამური საბანკო სისტემის დასავლურ კორპორაციებში უფრო ხოცდნენ, ხსენებულ პერიოდში გამოჩნდა, რომ თურქეთი წარმოადგენდა სტაბილურ ქვეყანას, სადაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება და რაც მთავარია სანქციების გვერდის ავლით.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის მაისში ჩატარებული საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებისთვის მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენდა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. არჩევნების მონაწილე სუბიექტები ხმამაღლა საუბრობდნენ ეკონომიკურ კრიზისსა და მის გამოსწორების გზებზე. ოპოზიციისთვის სახელისუფლებლო ძალების მმართველობის წარუმატებლობისთვის მნიშვნელოვან არგუმენტს სწორედ არასწორი ეკონომიკური პოლიტიკა წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ თითოეული მხარე არჩევნებში ხალხს ახლებურ ხედვას და რეფორმებს პირდებოდა ძალაუფლებაში მოსვლის შემდგომ. ხსენებული პროცესი პირდაპირ აისახება ომის საწყის პერიოდში თურქეთის საგარეო პოლიტიკურ არჩევანზე, ვინაიდან „სამართლიანობის და განვითარების“ პარტიას, ისევე როგორც მის ლიდერს ერდოღანს



2023 წლის არჩევნებში გამარჯვების ძირითად დამაბრკოლებელ გარემოებებზე იმთავითვე იფიქრებდნენ. თუ გავითვალისწინებთ გარემოებას, რომ თურქეთის ეკონომიკა მზარდ პრობლემებს განიცდის და ეს ნიშანი ყველაზე მძიმედ მოსაგერიებელი კრიტერიუმი იქნება საარჩევნო კამპანიის დროს, მაშინ ნათელი გახდება, რომ თურქეთის ხელისუფლებას ფაქტობრივად არ შეეძლო შეერთებოდა დასავლეთის მიერ რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს, ვინაიდან გაუარესებული ეკონომიკური მაჩვენებლების პირობებში მას მოუწევდა სავაჭრო ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე უარის თქმა და აქედან გამომდინარე საკუთარი ეკონომიკის კიდევ უფრო დაუძლურება, რაც თავის მხრივ აისახებოდა 2023 წლის არჩევნების შედეგებში და თუ დღეს ჩვენთვის ცხადია ერდოღანის პოლიტიკის ტრიუმფის ისტორია, სახეზე გვექნებოდა ალტერნატიული რეალობა, სადაც ავტორიტარული რეჟიმი დამარცხდებოდა არჩევნებში და მოუწევდა ხელისუფლების დათმობა. აღნიშნული ფაქტორიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს თურქეთის როგორც მედიატორის ჩამოყალიბებაში. „German Marshall Fund“-ის ანკარის ოფისის დირექტორი ოზგურ ულუჰისარციკლი აღნიშნავდა, რომ:

„2022 წლის ივნისთან შედარებით, ყველა ძირითადი გამოკითხვა ცხადყოფს, რომ ერდოღანმა მოახერხა საკუთარი მხარდაჭერების გაერთიანება. ვფიქრობ, ეს უფრო ზაფხულის განმავლობაში თურქეთში რუსული კაპიტალის შემოდინების შედეგია. ძალიან კარგი ტურისტული სეზონი იყო. რუსული ფული შემოვიდა თურქეთში, რამაც უმუშევრობა ოდნავ შეამცირა და ვალუტა მეტ-ნაკლებად დაასტაბილურა“ (Wilks, Al Jazeera, 2022).

2022-2023 წწ. თურქეთის ექსპორტის საერთო წილის 3.7% შეადგენდა რუსეთის ფედერაციაში ექსპორტი, რამაც დაახლოებით 10 მილიარდი დოლარი შეადგინა, ამასთან უკრაინასთან მიმართებით ექსპორტმა შეადგინა 1.2% ანუ დაახლოებით 3 მილიარდი დოლარი. აღნიშნულ მონაცემთან ერთად მნიშვნელოვანია იმპორტის მონაცემები, ხსენებულ სტატისტიკაში რუსეთის წილი მეტად აღემატება ექსპორტის წილს, ამ მონაცემებში რუსეთი იკავებს პირველ ადგილს 18%-იანი მაჩვენებლით, ანუ 58.5 მილიარდი დოლარის პროდუქციის იმპორტი განხორციელდა თურქეთში რუსეთიდან ხსენებულ პერიოდში. იმპორტის მაჩვენებელში უკრაინას საერთო წილიდან ეკუთვნის 1.4%, რაც დაახლოებით 4.5 მილიარდი დოლარის საქონლის იმპორტს გულისხმობს.

ამავე პერიოდში თურქეთის საგარეო ვალი 2022 წლის იანვარში წინა კვარტალთან შედარებით გაიზარდა 17 მილიარდი აშშ დოლარით (Turkish Statistical Institute, 2023). აღნიშნული მონაცემების ანალიზით ირკვევა, რომ თურქეთის ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი დახმარება გამოდგა სანქციებთან არ შეერთების პოლიტიკა და რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება. ხსენებულმა პროცესმა დადებითი გავლენა იქონია თურქეთის ეკონომიკაზე და 2018 წლიდან მოყოლებული ტენდენციურად გაუარესებული ეკონომიკური მაჩვენებლები გამოასწორა და თურქეთის პრეზიდენტს მისცა შესაძლებლობა ხსენებული მიღწევით მოეპოვებინა წლების განმავლობაში დაკარგული საზოგადოებრივი მხარდაჭერა. აღნიშნულის შედეგად რეჟიმს ტაიპ ერდოღანმა მოახერხა, როგორც საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება, ასევე საერთაშორისო საზოგადოებას კიდევ ერთხელ მიუთითა მისი ბრძნული გადაწყვეტილების სარგებელსა და თურქეთის მზარდ როლზე საერთაშორისო პოლიტიკაში. იმისთვის, რომ კარგად აღვიქვათ რეჟიმს ტაიპ ერდოღანის მედიაციის პოლიტიკის შედეგი უნდა აღვნიშნოთ, რომ საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ, როდესაც დასავლური ქვეყნების ეკონომიკური ბაზრები დატოვა რუსულმა საფინანსო სისტემამ, რადიკალურად გაიზარდა თურქეთს და რუსეთს შორის ეკონომიკური თანამშრომლობა. მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილიდან გარიყული რუსული ბიზნეს სუბიექტები ახალ სავაჭრო ბაზრებს ეძებდნენ და სწორედ ერთერთი ასეთი ქვეყანა გამოდგა თურქეთიც. თურქეთის ექსპორტი რუსეთის ფედერაციაში 86%-ით გაიზარდა, ხოლო საპასუხოდ იმპორტი გაორმაგდა. აღსანიშნავია, რომ სანქცირებული რუსი ოლიგარქები, ბიზნესმენები თუ უბრალოდ დამსვენებლების მნიშვნელოვანი ნაწილი უქმეების გასატარებლად სწორედ თურქეთისკენ გაემშურა, რადგან მათთვის დასავლური ქვეყნები დაკეტილიო აღმოჩნდა. ომის დაწყებიდან 9 თვის განმავლობაში დაახლოებით 3.8 მილიონი რუსი ტურისტი ესტუმრა თურქეთს. ტურიზმის მიღმა მნიშვნელოვნად განვითარდა ბუნებრივი აირის იმპორტი რუსეთიდან თურქეთში და თურქეთი გაზის მოხმარების 45% სწორედ რუსულმა გაზმა დააკმაყოფილა, ამასთან ხსენებული გაზის საფასურის გადასახადი ერდოღანის პირადი თხოვნით რუსეთმა 2024 წლამდე გადადო. ამავდროულად პუტინის და ერდოღანის პირადი მეგობრობიდან გამომდინარე, რუსეთის პრეზიდენტმა თურქ კოლეგას შესთავაზა რუსული გაზის ექსპორტის ჰაბად

გახდომა, რომელიც შემდეგ აღნიშნულ ენერჯის ევროპას მიაწვდის. 2022 წლის იანვრიდან-სექტემბრის პერიოდში თურქეთში შევიდა 24.9 მილიარდი დოლარის ნაღდი ფული, რომელიც 100%-იან ზრდას ნიშნავს 2021 წელთან შედარებით და აღნიშნულის ძირითადი წყარო სწორედ საერთაშორისო საზოგადოების მიერ გარიყული რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები იყვნენ (Wilks, As Russia's war in Ukraine drags on, Turkey's role expands, 2022). თურქული ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი გამოდგა რუსული კაპიტალის დაბანდება თურქეთში და პირიქით, თურქულმა კომპანიებმა დაიკავეს რუსეთიდან წამოსული დასავლური კომპანიების ადგილი. თურქეთი ახორციელებს ქიმიური ნივთიერებების, მიკროსქემების, და სხვა ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტს რუსეთში. აღსანიშნავია, რომ ხსენებული ორმაგი დანიშნულების პროდუქცია შესაძლებელია გამოყენებული იქნეს რუსული თავდაცვითი სექტორის გაძლიერებისთვის, მით უფრო იმ დროს, როდესაც მსოფლიო ბაზარზე წვდომა სანქციებიდან გამომდინარე შეეზღუდა რუსეთს (Jenkins, 2023). როდესაც ენერგომატარებლებთან დაკავშირებით რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებზე ვსაუბრობთ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ 2010 წელს გაფორმებული შეთანხმება, რომლის მიხედვითაც თურქეთში რუსულ სანქცირებულ კომპანია „როსატომს“ უნდა აეშენებინა ატომური ელექტროსადგური, აღსანიშნავია, რომ 2023 წელი არის სწორედ ექსპლუატაციის დაწყების თარიღი. ატომურ ელექტრო სადგურს შეუძლია თურქეთის ენერგო მოთხოვნილების 10% დაკმაყოფილება, ხოლო აეს-ის მშენებლობა სრულად საკუთარ ფინანსებზე დააფუძნა „როსატომმა“ (TRT WORLD, 2023).

საყურადღებოა, რომ თურქეთმა რუსული კაპიტალი ქვეყანაში შემოდინებასთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ევროპის რუსულ გაზზე დამოკიდებულების შესამცირებლად აზერბაიჯანიდან ბულგარეთში ბუნებრივი აირის გადაზიდვის პროცესში. თუ თავდაპირველად თურქული ბანკები იყენებდნენ რუსულ გადახდის სისტემა „მირ“-ს, სანქციებისგან თავის არიდების მიზნით ხსენებულ გადაწყვეტილებაზეც განაცხადეს უარი.

ომის მიმდინარეობისას გაუმჯობესებული ეკონომიკური მდგომარეობა ერდოღანმა გამოიყენა საკუთარი ავტორიტარული მმართველობის სიძლიერის მტკიცებულებად და 2023 წლის 2 იანვარს განაცხადა, რომ:

„კოვიდ-19 პანდემიამ, გლობალური მიწოდების ჯაჭვების შეფერხებამ, რუსეთ-უკრაინის ომმა და მისგან გამოწვეულმა ნედლეულის და ენერჯეტიკის პრობლემებმა, ვერ შეანელეს ჩვენი ეკონომიკა და ექსპორტი, განსხვავებით მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებისა. საპირისპიროდ, ჩვენ გვაქვს ყველაზე მაღალი ზრდის ტემპები და ექსპორტის მაჩვენებლები ისტორიის განმავლობაში და ჩვენ კრიზისი შესაძლებლობად ვაქციეთ“ (Presidency of the Republic of Turkey, 2023).

„ომის მიმდინარეობისას თურქეთის პოლიტიკა ძნელად შეიძლება შეფასდეს, როგორც რაციონალური და თანმიმდევრული, დღესდღეობით ერდოღანის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს საკუთარი პოლიტიკის საზოგადოებისთვის მისაღები ფორმით წარმოჩენა, რათა დაგეგმილი არჩევნები წარმატებით დაასრულოს, მართალია ის მიჩნეული მძიმე არჩევნების გამარჯვების ექსპერტად, მაგრამ შესაძლოა მისი პოპულისტური საარჩევნო კამპანია შეიძლება აღარ გამოდგეს საკმარისად მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრობლემის საპასუხოდ“ (Erlanger, 2022).

## 5.2 შიდა საზოგადოებრივი განწყობები

ერდოღანის 20 წლიანი მმართველობის პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ისლამური ნარატივი, რომელიც სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას აღმოსავლეთით აბრუნებდა და თურქეთის რესპუბლიკის ფუძემდებლურ სეკულარიზმის პრინციპს ძირს უთხრიდა. ხსენებული ნარატივის სრულიად ახალი ძალებით გამოსვლა განაპირობა 2016 წელს წარუმატებელმა სამხედრო გადატრიალებამ და 2017 წელს საპრეზიდენტო მმართველობის ფორმაზე გადასვლამ. აღსანიშნავია, რომ ისლამურ ნარატივს და ნეო-ოტომანიზმის საგარეო პოლიტიკურმა დისკურსმა სამიზნედ გამოაცხადა დასავლური სამყარო და სულ უფრო მეტად გაღვივდა ანტი დასავლური განწყობები. საინტერესოა თურქეთის მოსახლეობის დამოკიდებულება რეჟეპ ტაიპ ერდოღანის მიერ არჩეული საგარეო პოლიტიკისადმი. რუსეთ-უკრაინის ომის საწყისივე პერიოდში თურქულმა საზოგადოებამ მჭიდრო მხარდაჭერა გამოუცხადა უკრაინას, გამოკითხულთა 2/3 -მა რუსეთის სამხედრო აგრესია საერთაშორისო სამართლის დარღვევად მიიჩნია, ხოლო 78% მხარს უჭერს კონფლიქტში ნეიტრალური პოზიციის დაკავებას. გამოკითხვაში

მონაწილეთა უმრავლესობა შემფოთებული იყო ომის საშინელი შედეგებით (Tahiroğlu, 2022).

ამავდროულად თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე სხვა სოციოლოგიური კვლევის მიხედვით, თურქი მოსახლეობის 44% მხარს უჭერდა თურქეთის მედიატორის როლს ხსენებულ ომში, საპასუხოდ მხოლოდ 13% მიიჩნევდა აუცილებლად კონფლიქტში აქტიურ მონაწილეობას. 40% მიიჩნევდა, რომ საჭირო იყო ნეიტრალურობის შენარჩუნება. უფრო მეტიც, 61% თურქი მოსახლეობის იწონებს ხელისუფლების ქმედებებს მიმდინარე ომის დორს. აღსანიშნავია, რომ გერმანული მარშალის ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით 43% რესპოდენტების მხარს უჭერდა რუსეთისთვის სანქციების დაწესებას, 30% მიიჩნევდა მართლზომიერად გაზის და ნავთობის იმპორტის აკრძალვას რუსეთიდან, ხოლო 33% მხარს უჭერდა უკრაინის ნატოში გაწევრიანებას (Özgür Ünlühisarcıklı, 2022).

აღსანიშნავია, რომ თურქული კვლევითი კომპანიის „მეტროპოლი“-ს დამფუძნებელმა ოზერ სენჩარის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგი. ხსენებულ კვლევაზე დაყრდნობით, მხოლოდ 12.2% ამართლებდა რუსეთის სამხედრო ინტერვენციას უკრაინაში. გამოკითხულთა 83.8% აგრესიას მიიჩნევდა უსამართლოდ და გაუმართლებლად. მიუხედავად რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ მაღალი მაჩვენებლის, მხოლოდ 19.1% აცხადებდა, რომ უკრაინას პოლიტიკური მხარდაჭერა უნდა გამოუცხადოს თურქეთმა. 72.9% საზოგადოებრივ გამოკითხვაში მონაწილეთა მიიჩნევს, რომ თურქეთმა უნდა შეინარჩუნოს ნეიტრალურობა და არ უნდა მიემხროს არცერთ მხარეს, თუმცა 45.5 % თვლის რომ უკრაინელ ხალხის წინაშე თურქეთმა სოლიდარობა უნდა გამოიჩინოს (Yazicioglu, 2022).

აღსანიშნავია, რომ კვლევის დროს კითხვა დაისვა თურქეთის წინააღმდეგ რუსეთის შესაძლო აგრესიასთან დაკავშირებით, გამოკითხულთა 60.5% მიიჩნევს, რომ მსგავსი სცენარით მოვლენების განვითარება შეუძლებელია, ხოლო 35.2% ხსენებულს მიიჩნევს შესაძლებლად (Yazicioglu, 2022).

დამატებით საინტერესო მონაცემებს გვთავაზობს კვლევითი ორგანიზაცია „აკსოის“-ს მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვები, რომლის მიხედვით

რუსეთის ფედერაციას მხარდაჭერას უცხადებს გამოკითხულთა მხოლოდ 2.4%, ხოლო 19.4% მართებულად მიიჩნევდა ნატოსთან ურთიერთობების გამოსწორებას. 75.2% მიიჩნევს, რომ ძალიან შეშფოთებულია მიმდინარე ომით, 9.5% მიიჩნევს რომ ომი ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს თურქეთზე. 63.1 % მიაჩნია, რომ ომს ნეგატიური გავლენა ექნება თურქეთზე, 13.6 % მიიჩნევს რომ პოზიტიურად აისახება თურქეთზე. მათ შორის ვინც ფიქრობს, რომ ომს პოზიტიური შედეგი შეიძლება მოჰყვეს თურქეთისთვის ძირითადად მმართველი პარტიის მხარდამჭერია (Research, 2022).

ხსენებული სოციოლოგიური კვლევების შედეგების ანალიზით, ცხადი ხდება, რომ თურქეთის მოსახლეობა ძალიან შეშფოთებულია მიმდინარე ომით და მიაჩნიათ, რომ აუცილებელია არანაირი სახით არ იქნეს კონფლიქტში ჩათრეული თურქეთი, სწორედ ამიტომ, ისინი იწონებენ რეჟეკ ტაიპ ერდოღანის დაბალანსების პოლიტიკას. მათთვის მნიშვნელოვანია, რომ რეგიონალური უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის დაცული იქნეს საერთაშორისო წესრიგი და სამართლებრივი ნორმები. ერთი რამ ცხადია, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის მოსახლეობა კონფლიქტის გაღვივებაში ადანაშაულებს რუსეთს, მის ქმედებას მიიჩნევს საერთაშორისო ნორმების უხეშ დარღვევად, კვლევამ აჩვენა, რომ თურქეთის მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი 19% უჭერს მხარს ნატოსთან გაუარესებული ურთიერთობების გამოსწორებას. ერთი შეხედვით ნატოსთან ურთიერთობის გამოსწორება თურქი მოქალაქის პირდაპირ ინტერესს უნდა წარმოადგენდეს, რადგან სწორედ დასავლურ სამყაროსთან გაფუჭებულმა ურთიერთობებმა განაპირობეს თურქეთის ეკონომიკის მძიმე მდგომარეობაში ჩაგდება, მაგრამ კვლევები სხვა რამეს გვაჩვენებს.

„იმის გათვალისწინებით, რომ თურქეთის ხელისუფლება ნაკლები პოპულარობით სარგებლობს თურქ მოსახლეობაში, ხსენებული გამოკითხვის შედეგები მეტყველებს, რომ საზოგადოება მხარს უჭერს ერდოღანის „ბალანსირების პოლიტიკას“ უკრაინაში მიმდინარე ომთან დაკავშირებით. ცხადია ეს შესაძლებელია გამოწვეული იყოს რუსულ სამყაროს ისტორიული კულტურული კავშირით, ყველაფრის გათვალისწინებით გამოიკვეთა, რომ თურქეთის მოსახლეობა იჩენს პრაგმატულობას ომთან დაკავშირებით. „თურქი მოსახლეობის საგარეო პოლიტიკისადმი დადებითი დამოკიდებულება ერდოღანმა უნდა გადააქციოს საარჩევნო მხარდაჭერაში, რაც

ეკონომიკური სირთულეების გათვალისწინებით მეტად დიდ სირთულეს წარმოადგენს“ (Erdogan, 2023).

საარჩევნო პერიოდში ერდოღანმა კიდევ უფრო მეტად გააღრმავა ანტი-ამერიკული ნარატივი საკუთარ გამოსვლებში, აღნიშნულით თურქეთის პრეზიდენტმა მოახერხა ულტრა-რადიკალური ჯგუფების მხარდაჭერის მოპოვება. თურქულ საზოგადოებაში ანტი-ამერიკული ნარატივის ღრმა ფესვებზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ერდოღანის მოწინააღმდეგე ოპოზიციის ლიდერი კილიჩდაროღლუც მეტად სიფრთხილით მოეკიდა მის პრო-დასავლურად გამოცხადებას, რადგან ხსენებული უკუშედეგის გამომწვევი იქნებოდა არჩევნების შედეგებზე.

აღსანიშნავია, რომ თურქეთის საგარეო პოლიტიკის მკვლევარის და კვლევითი ორგანიზაცია „მეტროპოლი“-ს დამფუძნებელ ოზერ სენჩარის მოსაზრებით, ყველა პოლიტიკოსს საკუთარი გავლენის მოხდენა შეუძლია ამომრჩევლებზე:

„თურქეთში გამწვავებულია ანტი-ამერიკული ისტერია, როგორც სახელისუფლებლო, ასევე ოპოზიციურ ნაწილში. მასობრივ საინფორმაციო საშუალებებსა და ინტერნეტ სივრცეში ფართოდ ვრცელდება მტკიცებულებები და არგუმენტები, რომლებიც ამართლებენ რუსეთის სამხედრო ინტერვენციას [უკრაინაში]. როგორც მემარცხენე, ასევე მემარჯვენე ძალებში შესამჩნევია აშშ-ის და ევროკავშირის დადანიშნულების ფსიქოლოგიური განწყობები. ამავდროულად მათ არ დავიწყებიათ აშშ-ის დამარცხება ერასყსა და ავღანეთში. აშშ-ის პოზიციის ხაზგასმა ხშირად ხდება, როგორც პოლიტიკოსების, ისე მედიის წარმომადგენლების მიერ, თუმცა ამავდროულად აღსანიშნავია, რომ თურქეთის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერვენციას“ (Yazicioglu, 2022).

თურქეთის მოქალაქეების ხელისუფლების პოლიტიკისადმი მხარდაჭერა გამოვლინდა 2023 წლის 14 მაისს თურქეთში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნებზე, სადაც დაინიშნა მეორე ტური, ვინაიდან ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მოახერხა სათანადო მხარდაჭერის მოპოვება. საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შედეგებით გამოვლინდა, რომ რეჟიმს ტაიპ ერდოღანს ნაკლებად უჭერს მხარს ქვეყნის ცენტრალური და ყველაზე მეტად განვითარებული რეგიონები, აღსანიშნავია, რომ

რეგიონები რომლებიც შედარებით განვითარების მაღალ დონეზე დგანან, ნაკლებად უჭერენ მხარს მოქმედ პრეზიდენტს და უფრო მეტად ქვეყნის მმართველად სურთ ახალი პროდასავლური და პროდემოკრატიული ოპოზიციური კანდიდატი ქემალ კირიჩდაროდლუ (კუნჭულია, 2023). აღნიშნულის მიუხედავად, მოქმედმა პრეზიდენტმა პროცენტულად მოსახლეობის უფრო მეტი მხარდაჭერა მიიღო და ეს ყველაფერი გამომდინარეობდა რეჟებ ტაიპ ერდოღანის კონსერვატიული და რელიგიური პოლიტიკის და რიტორიკის გატარებით. ნაკლებად განვითარებულმა რეგიონებმა, სადაც დიდ მნიშვნელობას ატარებს რელიგია და ტრადიციული, კონსერვატიული იდეები მხარს უჭერენ ერდოღანს, განსხვავებით არა სუნიტ კირიჩდაროდლუსი. სახელმწიფოს მმართველობის დროს გატარებულმა პოპულისტურმა მმართველობის სტილმა, ერდოღანს 20 წლიანი მმართველობის მიუხედავად, შეუნარჩუნა საკუთარი მოსახლეობის ნაწილის მხარდაჭერა.

სოციოლოგიური კვლევის შედეგად ცნობილი გახდა, რომ კითხვაზე თურქეთის მოსახლეობა რას უფრო სწორად მიიჩნევდა თურქეთის აშშ-ევროკავშირის ბლოკში ყოფნას თუ რუსეთ-ჩინეთის ბლოკში, გამოკითხულთა 39.3% მოსაზრებით აუცილებელია ნატო-ევროკავშირის ბლოკში ყოფნა, ხოლო 29.5% მხარს უჭერდა რუსეთ-ჩინეთის ბლოკში ყოფნას (Yazicioglu, 2022). 2018 წელს თურქულმა სამთავრობო საინფორმაციო სააგენტო „ანადოლუ“-მ ჩაატარა საზოგადოებრივი გამოკითხვა, რომელმაც პრო-დასავლური ნაწილისთვის მოულოდნელი შედეგი აჩვენა. ხსენებული კვლევის დროს დაახლოებით 1500 მოქალაქეს გაესაუბრნენ 26 პროვინციაში, მათგან 71,9% თავს მიიჩნევს ანტი-ამერიკელად, ხოლო 22,7% კი ნაწილობრივ ანტი-ამერიკელად, მხოლოდ 5,4 % განაცხადა, რომ ის არ იყო ანტი-ამერიკული განწყობის მქონე. ხსენებულთან ერთად მეტად საინტერესოა, რომ გამოკითხულთა 58%-ს მიაჩნდა, რომ ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო“-ს მომძლავრებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს აშშ-მა, ისრაელმა და ევროკავშირის ქვეყნებმა. 62,1% რუსეთთან თურქეთის დაახლოება მიაჩნდა დადებითად, ხოლო წინააღმდეგი იყო 22,4% (SCF, 2018). სტამბულის კადირ ჰასის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის მიხედვით, თურქეთის მოსახლეობის 81.9% აშშ-ს მიიჩნევს საფრთხედ, რაც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების მაქსიმუმს წარმოადგენს (Soylu, 2019).



აღნიშნული მონაცემები მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ თურქეთის მოსახლეობა დაახლოებით თანაბრად უჭერს მხარს ორ საპირისპირო ბლოკში გაწევრიანებას. წლებში განმავლობაში კულტივირებულმა ანტი-დასავლურმა განწყობამ, რაც რეალურად პრეზიდენტ ერდოღანის პერიოდში მომძლავრდა, თურქ მოსახლეობას დასავლური სამყაროსადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება გაუჩინა, მათთვის წლიდან წლამდე სულ უფრო მეტად მცირდება დასავლური ღირებულებებისადმი ლტოლვა, რაც შესაბამისი პროპაგანდის შედეგია. დღესდღეობით, ვფიქრობ აზრს მოკლებულია თურქეთის მეორე ბლოკში გადასვლა, ხოლო ხსენებული ბალანსირების და მედიაციის პოლიტიკა, პირდაპირ მიანიშნებს ცვალებადი განწყობების ასახვაზე საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში. თურქეთის მოსახლეობაში, განსაკუთრებით მკაცრად რელიგიურ ნაწილში, აშშ-ის ინტერვენცია ავღანეთსა და ერაყში არანაკლები ტრაგედია იყო, თუ რა თქმა უნდა უფრო მნიშვნელოვანიც არა, ვიდრე რუსეთის ინტერვენცია უკრაინაში. ისლამური რელიგიის მიმდევრების რაკურსიდან აშშ-ის ისლამურ სახელმწიფოებში ინტერვენცია და შესაბამისად იქაური სახელმწიფო რეჟიმების დამარცხება მიუღებელია, ვინაიდან ეს ერთგვარი ცივილიზაციათა დაპირისპირების ელფერს ატარებდა და აღიქმებოდა, როგორც დასავლური ცივილიზაციის ისლამურ ცივილიზაციასთან დაპირისპირება. ამ ყველაფერმა კი ისლამური ძმობის კვალდაკვალ აშშ-ის და დასავლური სამყაროსადმი არცთუ ისე მეგობრული გრძნობები გააჩინა.

საერთაშორისო პოლიტიკის მკვლევარები მიიჩნევენ, რომ თურქეთის მოსახლეობაში დიდი ხანია არსებობს „რუსოფილური“ განწყობები. საზოგადოების იმ მნიშვნელოვანი კულტურული ნაწილისთვის, ვინც გარკვეულ სიმპათიას აჩენს დასავლური ლიბერალური კულტურისადმი, მიუღებელია დასავლური სახელმწიფოების დიქტატი, სწორედ ამიტომ რუსულ ხელოვნებას და კულტურას მიიჩნევენ ღირსეულ ალტერნატივად ევროპისადმი. ხსენებული შეხედულებები ამავდროულად ინაცვლებს საგარეო პოლიტიკაშიც, რუსეთი წლების განმავლობაში ცდილობს საერთაშორისო საზოგადოება დააჯეროს, რომ ის სიტუაციის მსხვერპლია და სამხედრო ინტერვენციები საქართველოში და ორჯერ უკრაინაში, დასავლეთის ექსპანსიონისტურმა პოლიტიკამ აიძულა და ის მხოლოდ თავს იცავს, პრევენციული დარტყმების მიყენებით. თურქი მოსახლეობის თვალში რუსეთი არ არის იმპერიალისტი

აგრესორი, არამედ მიჩნეულია, როგორც თავის უსაფრთხოებაზე მზრუნველი ქვეყანა. სწორედ ამიტომ, თურქეთის საზოგადოების ის ნაწილიც კი ვინც გმობს რუსეთის შეჭრას უკრაინის ტერიტორიაზე, მიიჩნევს, რომ თურქეთისთვის რუსეთთან ურთიერთობა არის დასავლეთის ზეწოლის შესაჩერებლად გადადგმული ნაბიჯები (Tahiroğlu, 2022)

რა თქმა უნდა ანტი-ამერიკული ნარატივი სათანადოდ პასუხობდა თურქეთის პრეზიდენტის პოლიტიკურ ხედვას, ხსენებული რიტორიკით ხელისუფლება ცდილობს გადაფაროს მძიმე ეკონომიკური კრიზისი, პოლიტიკური ოპონენტების შევიწროება, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა და კანონის უზენაესობასთან დაკავშირებული პრობლემები. ამერიკის და ევროკავშირის კრიტიკის მიუხედავად, თურქეთი არასდროს კვეთდა წითელ ხაზებს ნატოსთან საუბრის დროს, აღსანიშნავია, რომ ეს უცნაურ გამონაკლისად ისახება ერდოღანის პოპულისტურ პოლიტიკაში. ამავდროულად, 2002 წლის შემდგომ თურქული მედია ცდილობს საზოგადოებას დააჯეროს „კონსპირაციული თეორიები“ დასავლელი მოკავშირეების ბოროტ განზრახვებზე, რომ მათ სურთ მსოფლიოს ჰეგემონები გახდნენ და მართონ მსოფლიო ეკონომიკა (Tahiroğlu, 2022).

თურქეთის მოსახლეობის უნდობლობას დასავლეთისადმი არ არის მხოლოდ კონსპირაციული მონაგონი, მას წლების განმავლობაში ასაზრდოებდა, როგორც ერდოღანის პოლიტიკა, ასევე დასავლეთთან იდეოლოგიური განსხვავებულობა. აღნიშნულ უნდობლობას გასული საუკუნის მნიშვნელოვანი მოვლენები უმაგრებს ზურგს, რომელიც თურქეთში ხდებოდა დასავლეთის ხელშეწყობით და დემოკრატიული, ადამიანის უფლებების დაცვის თუ ეროვნული სუვერენიტეტის საფარქვეშ. მემარცხენე თურქებს და ქურთებს არ დავიწყებიათ და დღემდე მნიშვნელოვან ჩარევად მიაჩნიათ, ამერიკელების მიერ მხარდაჭერილი ულტრა მემარჯვენე ჯგუფები და სამხედრო გადატრიალებები ცივი ომის პერიოდში. აღსანიშნავია, რომ ხსენებულთან ერთად თურქულ საზოგადოებას, როგორც მემარცხენე ასევე მემარჯვენე ფრთას მიაჩნია, რომ აშშ ფარულად უწყობს ხელს რეჟიმის ცვლილებებს, მათ შორის საერთო ეროვნულ არჩევნებში გამარჯვებული სახელმწიფო ლიდერების წინააღმდეგაც, როგორც თვით თურქეთში ასევე ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყანაში. ამავდროულად თურქების იმ ნაწილში, რომელიც ფრთხილობენ ქურთების შესაძლო სეცესიასთან დაკავშირებით, არსებობს შიში იმ ფაქტის, რომ აშშ

ხელს უწყობს სეპარატისტულ მოძრაობას. აღსანიშნავია, რომ სწორედ აშშ-ის სამხედრო ინტერვენციამ სირიასა და ერაყში გააძლიერა ქურთული ნაციონალიზმი, სწორედ ამიტომ აშშ მიიჩნევა საფრთხედ. 20 წლიანი მმართველობის პერიოდში ერდოღანის სახელმწიფო ტელევიზიების ანტი-დასავლურ ისტერიას და კონსპირაციულ თეორიებს, მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა ხსენებული გარემოებები, რომლებიც ზეგავლენას ახდენდა თურქეთის იმ საზოგადოების წევრებშიც კი, რომლებიც ხელისუფლებისადმი ლოიალურობით არ გამოირჩეოდნენ. თურქეთის ხელისუფლების ანტი ამერიკულ ნარატივს ორი უმთავრესი საფუძველი გააჩნია, პირველ რიგში ეს არის აშშ-ის მიერ ქურთების მხარდაჭერა და მეორე მხრივ ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი ფეთჰულაჰ გიულენის აშშ-ში მოღვაწეობის ფაქტია, სწორედ მას აბრალებდა ერდოღანი სამხედრო გადატრიალების მოწყობის მცდელობას.

„გამოკითხვებში მიღებული ანტი-დასავლური შედეგების მიუხედავად არ უნდა მივიჩნიოთ, რომ თურქეთის მოქალაქეები მხარს უჭერენ პუტინის ომს, საპირისპიროდ გამოკითხულთა 90% ძალიან შემფოთებულია რუსეთის სამხედრო აგრესიასთან დაკავშირებით. თურქეთი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რუსეთიდან მომავალ ენერჯიაზე, მარცვლეულზე და ტურიზმზე, ამავდროულად თურქეთის გეოგრაფიული მდგომარეობა ქვეყანას აქცევს მოწყვლადად მის სამეზობლოში რუსეთის მიერ გაჩაღებული ნებისმიერი ომის პირობებში. სწორედ ამიტომ 80% თურქეთის მოსახლეობის მხარს უჭერს თურქეთის ნეიტრალურ პოზიციას და არ სურს პრეზიდენტ ერდოღანის პოლიტიკის ცვლილება“ (Tahiroğlu, 2022).

საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება აშშ-ისადმი მხოლოდ ასაზრდოებს თურქეთის არჩეულ ხელისუფლებას, მის რეჟიმს და აძლევს საშუალებას მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მიიღოს საზოგადოებისგან, საკუთარი დაბალანსების თუ მედიატორის როლის შესრულების დროს.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების გამწვავება განაპირობა რუსული საჰაერო თავდაცვის სისტემა S-400-ის შეძენამ, რომელმაც გამოიწვია სანქციების დაწესება და სამხედრო პროდუქციის ექსპორტის აკრძალვა. მიუხედავად ამისა, რუსეთ-უკრაინის ომმა მხარეებს დაანახა, რომ მათი

სურვილები გარკვეულწილად ერთმანეთის თანხვედრაშია, არც თურქეთს და არც რუსეთს არ სურს რუსეთის რევიზიონისტული პოლიტიკის გამარჯვება შავი ზღვის სანაპიროზე, ამავდროულად გამოჩნდა, რომ თურქეთი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა უკრაინის საბრძოლო შესაძლებლობების ზრდაში, მათ შორის უკრაინას მიაწოდა უპილოტო საფრენი აპარატები და ჯავშანმანქანები. დამატებით აღსანიშნავია, რომ თურქეთმა დაგმო რუსეთის სამხედრო აგრესია, დახურა შავ ზღვაში შემოსასვლელი სრუტეები, წლების განმავლობაში ეწინააღმდეგება რუსეთის ამბიციებს მიიერთოს უკრაინის ტერიტორიები, მათ შორის მკაცრად დაგმო ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსია. თურქეთი ასევე მოწინავე იყო ენერგომატარებლების გატარების თვალსაზრისითაც, მაშინ როდესაც, ევროპამ უარი განაცხადა რუსულ გაზზე, თურქეთი იქნა ძირითად მარშრუტად ევროპის ბუნებრივი აირით მომარაგების.

გაუარესებულ ეკონომიკურ მდგომარეობას და საზოგადოებრივ განწყობებს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა თურქეთის გადაწყვეტილებაზე რუსეთ-უკრაინის ომში ყოფილიყო მედიატორი. პირველ რიგში ეკონომიკური მდგომარეობა არ აძლევდა თურქეთს შესაძლებლობას ყოფილიყო თავისუფალი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ძნელად წარმოსადგენია თურქეთს უარი განეცხადებინა რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობებზე, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ ენერგო დამოკიდებულების მასშტაბს, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორია. აღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ წარმოჩნდა, რომ თურქეთმა საკუთარი გადაწყვეტილებით მეტად პოზიტიური შედეგი მიიღო, გამოსწორდა ინფლაციის დონე, გაუმჯობესდა ეროვნული ვალუტის ღირებულება, შემცირდა უმუშევრობის მაჩვენებელი და გამოსწორდა მსყიდველუნარიანობის პარიტეტი.

რაც შეეხება ანტი ამერიკულ და ანტი დასავლურ საზოგადოებრივ განწყობებს, ხსენებულმა ფაქტორმა ფაქტობრივად ხელ-ფეხი გაუხსნა თურქეთის ხელისუფლებას აერჩია ანტი დასავლური გადაწყვეტილება, რადგან სრულიად დასავლური სამყაროს მოწოდებას წარმოადგენდა ალექვეთა რუსეთთან ყოველგვარი ურთიერთობა და განსაკუთრებით შეეზღუდა ეკონომიკის და ენერგო მატარებლების საკითხებში თანამშრომლობა. ერდოღანმა ორივე საკითხში რადიკალურად განსხვავებული პოზიცია

დაიკავა და შესაბამისად აღნიშნულს არ შეეწინააღმდეგა თურქეთის მოსახლეობა, პირიქით ერდოღანს და მის პარტიას მისცა შესაძლებლობა ძალაუფლება შეენარჩუნებინა დამატებით 5 წლის ვადით. რაც ფაქტობრივად პოლიტიკის მხარდაჭერის აღიარებას ნიშნავს.

ორივე ფაქტორის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ანალიზის მეორე დონის მიხედვით შიდა სახელმწიფოებრივ ასპექტში ეკონომიკურ მაჩვენებლებს და საზოგადოებრივ განწყობებს მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა თურქეთის საგარეო პოლიტიკური არჩევანის ფორმირებაში.

## 6 თურქეთის საერთაშორისო და რეგიონალური ლიდერობის ამბიციების გავლენა მედიატორის როლზე.

### 6.1 თურქეთის საგარეო პოლიტიკა ცვალებად საერთაშორისო სისტემაში

თურქეთის რეგიონალური და საერთაშორისო ლიდერობის ამბიციები გაღვივებას ჯერ კიდევ „ცივი ომი“-ს დასრულების შემდეგ იწყებს. მას შემდეგ რაც დასავლურმა ღირებულებებმა დაამარცხა კომუნისტური იდეოლოგია, სისტემა და ღირებულებები, ისევე როგორც საბჭოთა კავშირი და „ვარშავის პაქტი“ ნათელი გახდა, რომ მსოფლიოში ჩამოყალიბდა სრულიად ახალი საერთაშორისო წესრიგი, რომელშიც გაბატონებული მდგომარეობა ეკავა აშშ-ს. უნიპოლარული საერთაშორისო წესრიგის ეპოქაში მთელ მსოფლიოში გაღვივდა დავა მულტიკულტურალიზმის, ღიაობის, ტოლერანტობის და ადამიანის საყოველთაო უფლებების ღირებულებებზე. აღნიშნულ საკითხების წინ წამოწევას ხელს უწყობდა არა დასავლური ძალების განვითარება, უპირველეს ყოვლისა ჩინეთის და რუსეთის, რომლებიც სულ უფრო მეტად გვთავაზობდნენ არა დასავლურ საერთაშორისო პოლიტიკურ დღის წესრიგს, ეს პროცესი განსაკუთრებულად შესამჩნევი გახდა 2008 წლის შემდგომ. „მთელ მსოფლიოში მატერიალური ძალაუფლების ზრდასთან ერთად და საერთაშორისო ლიბერალური წესრიგისადმი არსებული მზარდი უკმაყოფილების ფონზე, საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე წინ წამოიწია რეალპოლიტიკის და პრაგმატული სახელმწიფო ინტერესების გატარების პოლიტიკამ, რომელმაც დაჩრდილა მორალურ-პოლიტიკური და ნორმატიული ხედვები საგარეო პოლიტიკაში. გამოჩნდა, რომ ძალის პოლიტიკა და გავლენის სფეროების მენტალიტეტი არსად გამქრალა, აღნიშნულიდან გამომდინარე კი საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა გეოეკონომიკის და გეოპოლიტიკის მიდგომებმა, რამაც შეცვალა მეზობელ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები“ (Oğuzlu, 2020).

ახალმა საერთაშორისო წესრიგმა განაპირობა ახალი გამოწვევების წარმოქმნა, მათ შორის არის ეთნიკური ნაციონალიზმის გაღვივება, საერთაშორისო ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, რელიგიური ფუნდამენტალიზმი და სხვა. აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ საწყისი პერიოდიდან წარმოჩნდა თურქეთის

უნიკალური როლი, რომლის გეოპოლიტიკური მდგომარეობა მას აძლევდა საშუალებას ყოფილიყო რეგიონალური ლიდერი და მნიშვნელოვანი კონტრიბუცია შეეტანა საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში. „დასავლური სამყაროს წინაშე არსებულმა ახალმა რისკებმა და გამოწვევებმა თურქეთი „განაპირა“ ქვეყნიდან გადააქცია „მოწინავე“ ქვეყნად. თურქეთი არის ერთ-ერთი ქვეყანა, რომლის მნიშვნელობაც გაიზარდა პოსტ „ცივი ომი“-ს ეპოქაში. თურქეთი დღესდღეობით იყენებს ძალისხმევას, რათა უზრუნველყოს რეგიონალური და საერთაშორისო მშვიდობა“ (Bir, 1998). აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო უსაფრთხოებაში საკუთარი წვლილის შეტანაზე პოლიტიკური დისკუსიები 90-იანი წლების დასასრულიდან გაისმოდა თურქეთის საგარეო პოლიტიკაში, მაშინ როდესაც მსოფლიოში ეგონათ, რომ ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის გამარჯვების შემდგომ დამყარდა გლობალური მშვიდობის ხანა, თურქეთი საკუთარ საგარეო პოლიტიკურ დისკურსში ხაზს უსვამდა უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობას და მის უნიკალურ როლს შეესრულებინა გლობალური აქტორის ფუნქციები რისკების პრევენციისთვის.

თურქეთის საერთაშორისო და რეგიონალური ლიდერობის ამბიციები სრულიად ახლებურ დატვირთვას იძებს 2002 წლიდან. სწორედ ამ დროიდან მოყოლებული „სამართლიანობის და განვითარების“ პარტიის მმართველობას თან სდევდა ამბიციური საგარეო პოლიტიკური მონახაზი, რომლის მიხედვითაც თურქეთი უნდა გამხდარიყო არა მხოლოდ რეგიონალური ლიდერი, არამედ საერთაშორისო ასპარეზზე წამყვანი ქვეყანა. „ამ პერიოდის თურქეთის საგარეო პოლიტიკის განმაპირობებელი მნიშვნელოვანი ფაქტორები სახელმწიფოს შიგნიდან კი არ მოდიოდა, არამედ ნაკარნახევი იყო საერთაშორისო პოლიტიკური გარემოდან, რომელიც ქმედებებისთვის ქმნიდა შეზღუდვებს და შესაძლებლობებს. აღნიშნული საერთაშორისო სისტემა არა მხოლოდ დაეხმარა მმართველ რგოლს საკუთარი შიდა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარებაში, არამედ ფაქტობრივად ზეგავლენა ჰქონდა თურქეთის საგარეო პოლიტიკური ქცევის განსაზღვრაზე“ (Oğuzlu, 2020).

ხსენებულ პერიოდში საგარეო პოლიტიკაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ერდოღანის საგარეო პოლიტიკა ფორმირებულია აჰმეტ დავუთოღლუს დოქტრინაზე და ნაშრომზე „სტრატეგიულ სიღრმე“ (Grigoriadis, 2010), რომელიც 2001 წელს გამოიცა.

ნაშრომში ჩამოყალიბებულია თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ინტერესები და საგარეო პოლიტიკის საყრდენი პოსტულატები. „სტრატეგიულ სიღრმე“-ზე დაყრდნობით ისტორიული განზომილებიდან გამომდინარე ოსმალეთის იმპერიიდან-დღემდე თურქეთი იმყოფება გეოპოლიტიკურ სიღრმეში, რომელშიც იკვეთება მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტორების გავლენები, ინტერესები და მიზნები. აჰმეტ დავუთოღლუს „სტრატეგიული სიღრმისთვის“ ფუძემდებლურია პრინციპი ე.წ „ნული პრობლემები მეზობლებთან“ (Kesgin, 2020). აჰმეტ დავუთოღლუმ პოსტ ცივი ომის პერიოდში განსაზღვრა, რომ „სტრატეგიული სიღრმე“ თურქეთის საგარეო პოლიტიკისთვის მოიცავს საკუთარი გავლენის სფეროების ჩამოყალიბებაში და რეგიონალურ პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ ჩართულობას, ამავდროულად მიუღებელი იყო თურქეთის აზიასა და ევროპას შორის ხიდად მოხსენიება, რადგან მიაჩნდა, რომ ეს თურქეთს აქცევდა სხვა ქვეყნების ინტერესების ინსტრუმენტად. ამავ მოცემულობით, აკადემიკოსი ხაზს უსვამდა თურქეთის უნიკალურ ადგილმდებარეობას და აცხადებდა, რომ ყველა მომიჯნავე გეოპოლიტიკურ არეალში იქნება ეს ბალკანეთი, კავკასია, ცენტრალური აზია თუ სხვა, თურქეთმა უნდა მოახერხოს საკუთარი ინტერესების შესაბამისად მოქმედება, რაც ეტაპობრივად მას ჩამოაყალიბებს მსოფლიო ასპარეზის მნიშვნელოვან მოთამაშედ (Grigoriadis, 2010). აჰმეტ დავუთოღლუს განცხადებით:

„თურქეთს გააჩნია მრავალმხრივი რეგიონალური იდენტობა და ამავდროულად აქვს შესაძლებლობა, ისევე როგორც, პასუხისმგებლობა მიჰყვეს ინტეგრირებულ და მრავალ განზომილებიან საგარეო პოლიტიკას. ჩვენი ისტორიის და გეოგრაფიის უნიკალური კომბინაცია წარმოშობს პასუხისმგებლობის გრძნობას. თურქეთის ისტორიული მრავალ განზომილებიანი საგარეო პოლიტიკური სიღრმიდან გამომდინარე, თურქეთის მოვალეობას წარმოადგენს აქტიური მონაწილეობა მიიღოს კონფლიქტების გადაწყვეტასა საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში“ (Davutoğlu, 1998).

სწორედ „სტრატეგიულ სიღრმეში“ არის განხილული თურქეთის გლობალურ აქტორად ჩამოყალიბების პროცესში განვითარებად მსოფლიო ლიდერ ქვეყნებთან



ურთიერთობების დაახლოების აუცილებლობა, ხსენებული მიმართულებით ნახსენებია ბრაზილია, ჩინეთი, რუსეთი და ინდოეთი (Grigoriadis, 2010).

„სამართლიანობის და განვითარების პარტიის“ მმართველობის პირველ წლებში, 2008 წლამდე თურქეთი გამოირჩეოდა პრო-დასავლური და პრო-ევროპული საგარეო პოლიტიკით, რომელიც ხსენებულ პოლიტიკას უთავსებდა ახლო აღმოსავლეთში საკუთარი ინტერესების გაღვივებას და აქტიურ მოქმედებებს. თურქეთი ამ პერიოდში არა მხოლოდ დაინტერესებული იყო ევროკავშირში გაწევრიანების, არამედ მოხარული იყო დასავლური ღირებულებების არა დასავლურ ტერიტორიებზე ექსპორტით. თურქეთის „ევროპული“ საგარეო პოლიტიკა იყო ნათელი გამოხატულება, თუ რამდენად მიმზიდველი იყო დასავლური ღირებულებები თურქეთის ხელისუფლებისთვის. „მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი წლების განმავლობაში იყო დასავლური საზოგადოების წევრი, თურქეთის ამოცანას არ წარმოადგენდა ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის ცვლილება, თუმცა მსგავსად სხვა განვითარებადი რეგიონალური ლიდერების, თურქეთიც მიიჩნევდა, რომ აღნიშნული საერთაშორისო წესრიგი უსამართლოა და ემსახურება დასავლურ ქვეყნებს“ (Oğuzlu, 2020).

2008-2015 წწ. იცვლება თურქეთის დამოკიდებულება ხსენებული წესრიგისადმი, 2008 წლის ეკონომიკურმა კრიზისმა და რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ საქართველოში, ხოლო შემდგომ 2014 წელს უკრაინაში, მსოფლიოს დაანახა ლიბერალური წესრიგის პრობლემები, ამიტომ თურქეთმა ამ პერიოდში დაიწყო სტრატეგიული ავტონომიის პოლიტიკის გატარება. აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ახლო აღმოსავლეთში და თურქეთის ყურადღებაც სწორედ მისკენ იქნა მიპყრობილი, ხელისუფლებამ „არაბული გაზაფხული“ და ისლამური ფუნდამენტალიზმის გაღვივება შესაძლებლობად დაინახა და აქტიურ ინდივიდუალურ საგარეო პოლიტიკურ ქმედებებზე გადავიდა. აღნიშნული კი თურქეთისთვის იქცა მულტი ვექტორული საგარეო პოლიტიკის დასაწყისად.

2015 წლის შემდგომ თურქეთის საგარეო პოლიტიკა სრულად მოიცვა მულტიპოლარული საერთაშორისო წესრიგისთვის დამახასიათებელმა თვისებებმა. აღნიშნულ პერიოდში იწყება სრული გაუცხოება აშშ-თან, აღსანიშნავია, რომ

სახელმწიფოთა ურთიერთობების გამწვავება გამოწვეულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტიდან, მათ შორის აღსანიშნავია 2016 წელს თურქეთში წარუმატებელი სამხედრო გადატრიალება, რომლის ორგანიზებასა და ხელშეწყობაში თურქეთის ხელისუფლება ადანაშაულებდა აშშ-ის ხელისუფლებას, როგორც ფექტულა გიულენის შემფარებელს, ათეული წლების განმავლობაში არსებული ქურთების სეპარაციის საკითხი და 2019 წელს თურქეთის მიერ რუსული საჰაერო თავდაცვის სისტემა S-400-ის შეძენა. ამ უკანასკნელის შემდგომ, 2020 წლის 8 დეკემბერს აშშ-ის წარმომადგენლობითმა პალატამ თანხმობა გასცა თურქეთისთვის სანქციების დაწესებაზე. „თურქეთს და აშშ-ს შორის უთანხმოების ზრდამ საპირისპიროდ იმოქმედა თურქეთის რუსეთთან ურთიერთობების დაახლოებაზე. ანკარაში ახლა თვლიან, რომ დასავლურ ძალებს არ უხარიათ თურქეთის რეგიონალურ მძიმე წონად გადაქცევა, რომელიც გააკრიტიკებს დასავლური პოლიტიკის ლეგიტიმურობას ახლო აღმოსავლეთში“ (Oğuzlu, 2020). საერთაშორისო სტრუქტურა და თურქეთის საგარეო პოლიტიკის განვითარება ერდოღანის ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ ერთმანეთთან დაკავშირებულია.

საერთაშორისო პოლიტიკაში დასავლეთის ქვეყნების პერმანენტული დასუსტება, ზრდის არა დასავლური ქვეყნების მნიშვნელობას. ამ პროცესმა, კი თურქეთს მისცა მეტი სივრცე საგარეო პოლიტიკის განსახორციელებლად. აღსანიშნავია, რომ უნიპოლარული საერთაშორისო წესრიგის ცვლილება თავის მხრივ ნიშნავს თურქეთზე აშშ-ის გავლენის შემცირებას, ხსენებულ პროცესს კი მრავალწლიანი წარსული აქვს. წლების განმავლობაში ერდოღანის მეგობრული ურთიერთობა ვლადიმერ პუტინთან აშშ-ის თვალში აღიქმებოდა მნიშვნელოვან ანტიდასავლურ აქტად, იწვევდა მნიშვნელოვან გაუცხოებას და პოლიტიკურ ქიშპს. 2002 წლის არჩევნების შემდგომ ხელისუფლებაში მოსული „სამართლიანობის და განვითარების“ პარტია და მისი ლიდერი რეჯეპ ტაიპ ერდოღანი შიდა საზოგადოებრივ ასპარეზზე ხაზს უსვამდა თურქეთის რელიგიურ და კულტურულ სხვაობას დასავლურ ცივილიზაციასთან. ხსენებულმა ფაქტებმა კი სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი გაუცხოება გამოიწვია და გავლენა იქონია თურქეთის არჩევანზე ყოფილიყო მედიატორი რუსეთ-უკრაინის ომში.

სტრუქტურულ დონეზე უნიპოლარული საერთაშორისო წესრიგიდან, სადაც აშშ უზრუნველყოფდა საერთო სიკეთის მობილიზებას ჰეგემონიური ფორმით, მსოფლიო

მივიდა ახალ წესრიგამდე, რომელსაც შეიძლება ეწოდოს პოსტ-უნიპოლარული სისტემა ან მულტიპოლარული სისტემა. რუსეთ-უკრაინის საომარმა მოქმედებებმა და მასზე საერთაშორისო საზოგადოების რეაგირებამ ცალსახად დაგვანახა, რომ „მსოფლიოში არსებობს მრავალი გავლენის და ძალის ცენტრი, განსხვავებით ერთი დომინანტი სუპერ სახელმწიფოსგან და ბიპოლარული დაპირისპირებისგან. მულტიპოლარულ მსოფლიო წესრიგში, განსხვავებულ რეგიონებს და ქვეყნებს გააჩნიათ საკუთარი ინტერესები, ღირებულებები და ამოცანები, ისინი ურთიერთ თანამშრომლობენ სხვადასხვა საკითხთან მიმართებაში“ (CSR, 2023). 30 წლის განმავლობაში აშშ ცდილობდა შეექმნა იდეალური უნიპოლარული საერთაშორისო წესრიგი, თუმცა უკანასკნელ პერიოდში აშკარად შეიმჩნევა ამერიკული სისტემის დეფორმაცია და ახალი საერთაშორისო წესრიგის ჩამოყალიბება მიმდინარეობს.

„საერთაშორისო არენაზე მიმდინარე განვითარებებმა, ფაქტებმა და მტკიცებულებებმა წარმოაჩინეს, რომ ერთის მხრივ აშშ-ის და ევროკავშირის წევრი ქვეყნების განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ხედვები და მეორე მხრივ, ჩინეთის და რუსეთის სურვილი შეცვალონ საერთაშორისო წესრიგი წარმატებით მიმდინარეობს. 2022 წლის 26 მაისს დავოსის ეკონომიკური ფორუმზე გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა ახსენა ტერმინი „მულტიპოლარულობა“, რომელმაც რეალურად წარმოაჩინა ევროპული ქვეყნების სურვილი შეცვალონ საერთაშორისო წესრიგი. რუსეთ-უკრაინის ომში მსოფლიომ აღმოაჩინა, რომ ერთ გლობალურ აქტორს არ შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა კონფლიქტზე, შეესრულებინა საკუთარი როლი მსოფლიო წესრიგში, რომელიც ფაქტობრივად შეაჩერებდა რუსეთის სამხედრო აგრესიას უკრაინაში.“ (Wagdy, 2022).

პოლიტიკოსები და საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ მსოფლიოში ჩამოყალიბდა ახალ წესრიგი, რადგან უნიპოლარულმა მსოფლიო წესრიგმა დაკარგა მნიშვნელობა რუსეთ-უკრაინის ომიდან გამომდინარე, ამასთანავე გამოჩნდა, რომ საერთაშორისო უსაფრთხოების გარანტორი გაეროს უშიშროების საბჭო უბრალოდ უუნარო გამოდგა თუნდაც ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მისაღწევად. ამავდროულად აშშ, რომელიც მოერიდა რუსეთთან პირდაპირ

კონფრონტაციას, ნაკლებად დამაჯერებელია, რომ შეეწინააღმდეგოს ჩინეთს თუნდაც ტაივანის საკითხთან დაკავშირებით.

თურქეთის ადგილი ახალ მულტიპოლარულ საერთაშორისო წესრიგში უაღრესად დიდია, ვინაიდან მრავალ ცენტრად დაყოფილ მსოფლიოზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია რეგიონალურ ლიდერებს, რომლებიც საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ. თურქეთის, როგორც რეგიონალური ლიდერის როლი წლების განმავლობაში იზრდებოდა, ხოლო რუსეთ-უკრაინის ომმა მას სრულიად ახალი ძალა და ავტორიტეტი შესძინა, რომელმაც ფაქტობრივად თურქეთის როლის დამკვიდრება გამოიწვია საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე.

## 6.2 მედიაციის პროცესი და საერთაშორისო და რეგიონალური ლიდერობის ამბიციები.

2022 წლის 24 თებერვალს დაწყებულმა რუსეთ-უკრაინის ომმა, მსოფლიო სრულიად ახლებურ სამყაროში გააღვიძა, რომელშიც თურქეთი არის ამბიციური რეგიონალური აქტორი, რომელიც ზრუნავს საგარეო პოლიტიკური ავტორიტეტის და იმიჯის ზრდაზე. ამავდროულად, თურქეთი არ იბრძვის მხოლოდ რეგიონში ძალაუფლების მისაღწევად, ერდოღანი და მისი საგარეო საქმეთა აპარატი ხსენებული ომის დაწყებიდან მუდმივად გაიძახის, რომ მსოფლიოს სჭირდება უსაფრთხოების სისტემის ცვლილება, მულტიპოლარული საერთაშორისო წესრიგის დამყარება და მშვიდობიანი თანაცხოვრების მიზნით გარკვეული პოლიტიკური მიმდინარეობების ცვლილება. ხსენებულ ნაშრომში არაერთხელ აღინიშნა, თურქეთის რეგიონალური ლიდერობისთვის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის და ისტორიული მემკვიდრეობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ თურქეთი წარმოადგენს გზაჯვარედინს სხვადასხვა კონტინენტების, ცივილიზაციების და რელიგიების, რაც მას აძლევს შესაძლებლობას საერთაშორისო ურთიერთობებში შეასრულოს მნიშვნელოვანი ფუნქცია.

თურქეთს წარმატებულმა მედიაციის პროცესმა შესაძლებლობა მისცა, სულ უფრო ხმამაღლა და თამამად განეცხადებინა საკუთარი ამბიციების შესახებ, მულტიპოლარულ

საერთაშორისო წესრიგში. მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს და ორგანიზაციებს, ისევე როგორც საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს არ აქვთ უნარი შეაჩერონ ევროპის კონტინენტზე მიმდინარე სისხლისმღვრელი ომი, აღნიშნულ პროცესში კი მნიშვნელოვან წარმატებას თურქეთმა მიაღწია, რომელიც ფაქტობრივად უნიკალურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. „მედიაციის პროცესის შედეგად, ანკარა აღმოჩნდა დაპირისპირებულ მხარეთა შორის ჩამდგარი, არა მხოლოდ რუსეთ-უკრაინას შორის მიმდინარე კონფლიქტში, არამედ რუსეთსა და დასავლეთს შორის არსებულ დაპირისპირებაში“ (Kusa, 2022).

საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ, თურქეთისთვის ცხადი გახდა, რომ უსაფრთხოების არსებული სისტემა წარსულს ჩაბარდებოდა და შესაბამისად აქტიურად დაიწყო ახალი „პოსტ-დასავლური“ უსაფრთხოების არქიტექტურაში საკუთარი როლის განსაზღვრა. აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში მმართველი პარტიის მიერ გაღვივებული ისლამური ნარატივი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ახალ უსაფრთხოების სისტემაში. აღნიშნული მიზნების განხორციელებისთვის ცხადია თურქეთს ესაჭიროებოდა უკრაინული გამოწვევისთვის შესაბამისი პასუხის გაცემა, რაც გულისხმობდა იმგვარ პოლიტიკურ მოქმედებას, რომლითაც ერთის მხრივ დაიცავდა საკუთარ გლობალურ და რეგიონალურ პოზიციებს, ხოლო მეორე მხრივ, მისცემდა თურქეთს შესაძლებლობას საკუთარი გავლენის გაფართოებისთვის. საკუთარი პოზიციების შენარჩუნებაზე საუბრის დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხსენებულმა საომარმა მოქმედებებმა თურქეთის პრაგმატული მულტიპოლარული საგარეო პოლიტიკა მეტად საფრთხილო მდგომარეობაში დააყენა. „ნატოს და ევროკავშირის პოლიტიკური ურთიერთ შერწყმა რუსეთის წინააღმდეგ თურქეთის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა, ამავდროულად არ შეეძლო მოვლენებისგან გვერდით გადგომა და ჩარევისგან თავის შეკავება, დასავლეთის რამდენიმე ქვეყანასთან მჭიდრო კავშირების და ნატოს ვალდებულებების გათვალისწინებით“ (Kusa, 2022). აღნიშნულის საპირწონედ კი იდგა რუსეთთან არსებული მჭიდრო ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები, რომლის მიხედვითაც, როგორც არაერთხელ აღინიშნა ნაშრომში, რუსეთი თურქეთისთვის იყო მჭიდრო სავაჭრო პარტნიორი, საგარეო ინვესტიციების და ტურისტული ნაკადების წყარო და მნიშვნელოვანი ენერჯო რესურსების მიმწოდებელი.

რაც შეეხება საკუთარი გავლენების გაფართოებას, საომარი მოქმედებების მიმდინარეობისას თურქეთი ცდილობს აჰყვეს დინებას და გამოიყენოს შესაძლებლობები. აღნიშნული ამოცანების მიხედვით, თურქეთმა მოახერხა დაეკავებინა დასავლური კომპანიების ადგილი რუსეთის ეკონომიკაში, გაზარდა ტურისტული და ფინანსური ნაკადების დენა რუსეთიდან. „მედიატორის ფუნქციიდან გამომდინარე სანქციების დაწესებისგან თავის არიდების და რეგიონალური საკითხების მოგვარებაში ახალი ადგილის განსაზღვრით დაპირისპირებულ მხარეებს აიძულებს კონსულტაციები გაიაროს მასთან და მისივე შუამავლობით გადაწყვიტოს სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია ომთან, მშვიდობასთან, საზღვაო ვაჭრობასთან, შავი ზღვის განნადმვასთან და უკრაინული მარცვლეულის ექსპორტის აღდგენასთან“ (Kusa, 2022). ამასთანავე მრავალმა რუსეთის მოქალაქემ, დასავლური სანქციებიდან გამომდინარე მიაშურა თურქეთს და მილიონობით თანხები ჩადო ადგილობრივ ბიზნესში.

აღნიშნულ პროცესში, თურქეთმა ასევე დაინახა შესაძლებლობა მიეღწია წლების განმავლობაში არსებული მიზნისთვის, რაც გულისხმობს ევროპისთვის ენერგეტიკულ ჰაბად გახდომას. მაშინ როდესაც ევროპის ქვეყნები ცდილობენ რუსეთის გაზზე დამოკიდებულების შემცირებას, თურქეთმა მათ საკუთარი მომსახურება შესთავაზა და ლობირება გაუწია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში განხილვების დონეზე მყოფ ისრაელ-თურქეთის წყალქვეშა მილსადენის პროექტს, რომელიც თურქეთის გავლით ევროპას მიაწვდის ახლო აღმოსავლეთიდან წამოსულ გაზს.

საომარი მოქმედებების მიმდინარეობისას თურქეთის სახელმწიფოებრივი იმიჯის შექმნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ერდოღანის განცხადებები. მეტად საინტერესო განცხადება გააკეთა ერდოღანმა 2022 წლის 28 თებერვალს, მაშინ როდესაც მსოფლიო გაოგნებული აკვირდებოდა აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე მოვლენებს, თურქეთის პრეზიდენტმა მსოფლიოს მნიშვნელოვანი ცვლილებების გადადგმისკენ მოუწოდა:

„ყოველ შესაძლებლობას ვაცხადებთ, რომ მსოფლიო უკვე დიდი ხანია განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს, 100 წლიანი გლობალური მართვის სისტემა იშლება.

პირველი და მეორე მსოფლიო ომები მიმდინარეობდა არა სამართლიანობისთვის, არამედ გადანაწილებისთვის. ჩვენ, სამწუხაროდ აღმოვჩნდით იმ ერებს შორის, ვინც არ იმყოფებოდა მოლაპარაკებების მაგიდასთან, იყო მხოლოდ მენიუში. პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა, რომელიც შეიმუშავა მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულმა ქვეყნებმა საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით, არის საერთაშორისო პრობლემების გამომწვევი მთავარი მიზეზი. ხსენებულმა პრობლემურმა საერთაშორისო სისტემამ გაზარდა უთანასწორობა ცივი ომის დასრულების შემდეგ. უსამართლობა გლობალურ სისტემაში, რომელსაც ჩვენ ყველა პლატფორმაზე ვაცხადებთ და ვამბობთ, რომ მსოფლიო უფრო დიდია ვიდრე მხოლოდ ხუთი ქვეყანა და შესაძლებელია უფრო სამართლიანი სამყაროს ჩამოყალიბება, საკუთარ ნაკლოვანებას ავლენს ყველა საერთაშორისო მოვლენის დროს. ეს გლობალური მართვის და უსაფრთხოების სისტემა არის დამნაშავე 11 წლის განმავლობაში სირიაში მიმდინარე ტრაგედიის, ასევე სისხლისღვრის და ტანჯვის მთელს მსოფლიოში, მათ შორის ავღანეთში, ერაყში, ბოსნიაში, რუანდაში, ლაზას სექტორში, იემენში, არაკანში და ლიბიაში. ჭუჭყიანი სახეები, რომლებსაც სხვა არაფერი აინტერესებთ, გარდა საკუთარი უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის და სხვა ქვეყნებსა და ერებს ისე ექცევიან, თითქოს ისინი უბრალოდ პრიორიტეტების დასაცავად ემსახურებიან ფანტასტიკურ ცნებებს, ახლა სრულად გამოვლინდნენ. ჩვენ მოწმენი ვართ, რომ ისინი, ვინც თავდაპირველად ყოყმანით და აგდებულად ეკიდებოდნენ თურქეთის მამხილებელ განცხადებებს, რომელმაც პირველმა წამოიწყო პროტესტი, რომ სამყარო ხუთ სახელმწიფოზე მეტია, თანდათანობით იწყებენ ჩვენი განცხადებების სამართლიანობის აღქმას და მის მიღებას“ (Presidency of the Republic of Turkey, 2022).

აღნიშნული განცხადება მთელი მსოფლიოსთვის იყო განკუთვნილი, სადაც ერთმნიშვნელოვნად იკვეთება თურქეთის საერთაშორისო პოლიტიკის შემოქმედებაში ახლებური ადგილის განსაზღვრის მცდელობა. ცხადია, რომ ერდოღანის 20 წლიანი მმართველობის ძირითადი ლაიტმოტივი თურქეთის ძლიერების დემონსტრირება გახლდათ, თუმცა 21-ე საუკუნის უმნიშვნელოვანესი მოვლენის დროს, მაშინ როდესაც მსოფლიო სრულ გაურკვევლობაშია და არ იცის ომის ბედი და არ იცის დასავლური

საზოგადოების რეაქცია, ერდოღანმა სრულიად ახლებური საერთაშორისო წესრიგის შექმნის აუცილებლობაზე ისაუბრა და მასში უთუოდ მოიაზრა საკუთარი სახელმწიფოც.

მედიაციის პროცესი ერთმნიშვნელოვნად ამ დიდი სახელმწიფოებრივი პროექტის შემადგენელი ნაწილია, რომელმაც საერთაშორისო დონეზე ახალი იმიჯი შეუქმნა თურქეთს. გლობალური ლიდერობის ამბიცია ცხადყოფს, რომ თურქეთი არ დათმობს ლიდერობას შავი ზღვის აუზში, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოუდგენელია თურქეთმა მიაღწიოს რაიმე შედეგს საერთაშორისო ასპარეზზე. აღნიშნულ განცხადებაში, თურქეთის პრეზიდენტი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს გაეროს უშიშროების საბჭოს 5 მუდმივ წევრს, რომელიც ცალსახად ერთმანეთთან პოლიტიკურ კონფრონტაციაში არიან შესული და შეუძლებელი ხდება გადაწყვეტილების მიღება. შავი ზღვის რეგიონში თურქეთის როლის ზრდა წლებია მიმდინარეობს, ხსენებულის ნათელი გამოხატულება იყო „მთიან ყარაბაღში“ გაჩაღებული მეორე ომი და მის მიერ მხარდაჭერილი აზერბაიჯანელი ჯარისკაცების ტრიუმფი, შემდეგ სამშვიდობო მოლაპარაკებები და ენერგომატარებლებისთვის ძირითადი მარშრუტის საკუთარ ტერიტორიებზე გაყვანა. ხსენებულმა ენერგომატარებლებმა თურქეთი აქცია ევროპისთვის გაზისა და ნავთობის ჰაბად, რაც მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას ცალსახად აუმჯობესებს.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო წესრიგის წინააღმდეგ ერდოღანის ოფიციალური განცხადებების ზემოხსენებულით არ ამოწურულა, მისი რიტორიკა და ერთგვარი განმკითხველი განცხადებები ომის ექოდ მიმდინარეობად. მათ შორის საინტერესოა 2022 წლის 24 მარტს გაკეთებული განცხადება, სადაც აღნიშნავდა, რომ:

„ჩვენ ვართ სწორედ ისინი, ვინც 56 ჰუმანიტარული ტვირთით დატვირთული სატვირთო გააგზავნა საომარი მოქმედებების რეგიონში. ჩვენ დავეხმარეთ 63 000 სხვადასხვა ეთნოსის მქონე ადამიანს უკრაინაში, მათ შორის საომარი მოქმედებების რეგიონების დატოვების დროს. იმ უკრაინელთა რიცხვმა, რომლებმაც დატოვეს უკრაინა და თავი შეაფარეს თურქეთს გასცდა 60 ათას, ჩვენ კვლავ გავაგრძელებთ ჰუმანიტარული დახმარებების გაგზავნას უკრაინაში... ამავდროულად ჩვენი ძალისხმევის შედეგად მოხერხდა 142 ეუთო-ს სპეციალური სადამკვირვებლო მისიის თანამშრომლის



ევაკუაცია... წარსულის მწარე გამოცდილებიდან ვიცით, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ ვერ შეძლო ლტოლვილების სათანადოდ დაცვა. ძალიან ვწუხვართ, რომ სასოწარკვეთილი ადამიანები, რომლებიც იძულებულნი არიან დატოვონ თავიანთი სახლები და მიწები, დისკრიმინირებულნი არიან თვალის ფერის, ენის, რწმენის ან კულტური გამო“ (Presidency of Republic of Turkey, 2022).

ხსენებულ განცხადებაში კარგად ჩანს პოპულისტი სახელმწიფო ლიდერის საერთაშორისო ამბიციები და მისი ლტოლვა, წარმოჩნდეს როგორც დაზარალებული ხალხის დამცველი. რეჟეპ ტაიპ ერდოღანის განცხადებაში კარგად გამოჩნდა, რომ თურქეთის როლი მედიაციის პროცესის შედეგად საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე გაიზარდა, მას შესწევს უნარი გადაჭრას მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული პრობლემები, რომლებიც მის რეგიონში წარმოიქმნება, მას შეუძლია დაეხმაროს ეუთოს თავისი წარმომადგენლების სამშვიდობოზე გამოყვანის პროცესში, მას შეუძლია მიიღოს ლტოლვილი უკრაინელები, და საკუთარი სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით განახორციელოს სოციალური აქტები, ცალსახაა, რომ ხსენებული წარმატება ემსახურება საერთაშორისო არენაზე თურქეთის პრესტიჟის და ავტორიტეტის ზრდას. საკუთარ დამსახურებებზე საუბრის დროს არ გამორჩენია გაეკიცხა საერთაშორისო წესრიგის შემოქმედები და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ვერ იყვნენ მოწოდების სიმაღლეზე ხსენებული კონფლიქტის დროს მშვიდობიანი მოქალაქეებისთვის დახმარების გაწევის პროცესში. შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაზე საუბრის დროს, ზემოაღნიშნული ფაქტები წარმოადგენენ მნიშვნელოვან პუნქტებს თურქეთის სიძლიერის აღსაქმელად, ვინაიდან რეგიონში სხვა არცერთ ქვეყანას არ ჰქონია, არც პოლიტიკური ნება და არც შესაძლებლობა მსგავსი მასშტაბის დახმარებების გაწევის ომით დაშავებული პირებისთვის.

2022 წლის ივლისში, როდესაც უკრაინას და რუსეთს შორის გაფორმდა მარცვლეულის შეთანხმება, რეჟეპ ტაიპ ერდოღანმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა სადაც ხაზი გაუსვა თურქეთის დამსახურებას მხარეთა პოზიციების დაახლოების პროცესში და აღნიშნა, რომ:

„ჩვენ გავაგრძელებთ იმ პასუხისმგებლობით მოქმედებას, რომელიც ცივილიზაციამ ჩვენს წინაშე დააყენა. ჩვენ გავაგრძელებთ საკუთარი ვალდებულებების შესრულებას, როგორც მეზობელი ქვეყანა, სანამ მშვიდობა არ დაისადგურებს ჩვენს რეგიონში. ალაჰი იყოს ჩვენი მფარველი“ (Presidency of the Republic of Turkey, 2022).

რეგიონში მშვიდობის დამყარებაზე აპელირება ცხადყოფს თურქეთის მნიშვნელობას შავი ზღვის აუზში. რეგიონალურ ასპარეზზე თურქეთის როლის ზრდა არის გზა, რომელსაც თურქეთი მიჰყავს გლობალური ლიდერი ქვეყნის იმიჯის შექმნამდე. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ მიმართვაში მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო „ქვეყანას“ რომელიც ცდილობს თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილებას მის ეკონომიკაზე ზემოქმედების გზით. ერდოღანი აღნიშნავდა, რომ:

„ჩვენს დიპლომატებთან ერთად, ჩვენ მივალწევთ წარმატებას ჩვენს ცდაში თურქეთი დავაყენოთ მის კანონიერ ადგილას გლობალური მართვის სისტემაში და მის ტრანსფორმაციის პროცესში, რომელსაც ჩვენ ხშირად ვიმეორებთ, როდესაც ვაცხადებთ, რომ მსოფლიო უფრო დიდია ვიდრე ხუთი ქვეყანა. ალაჰის დახმარებით და ჩვენი ერის მხარდაჭერით, ჩვენ გავაგრძელებთ უწყვეტ საქმიანობას, რომ განვახორციელოთ დასახული მიზნები და განვაგრძოთ გზა უფრო დიდი და ძლიერი თურქეთის მშენებლობის“ (Presidency of Republic of Turkey, 2022).

გერმანიის საერთაშორისო და უსაფრთხოების საკითხების ინსტიტუტის წარმომადგენელი ტუბა ელდემი თურქეთის რეგიონალური ლიდერის როლის შეფასების დროს ახსენებს, რომ:

„რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ უკრაინაში გამოავლინა გეოპოლიტიკური პრობლემების მთელი ხაზი და ამ ცვალებადი ძალაუფლების ეპოქაში ანკარამ დაინახა თურქეთის უნიკალური როლი ჩამოაყალიბოს მულტიპოლარული საერთაშორისო წესრიგი, რომელშიც უმთავრესი როლი დაეთმობა რეგიონალურ ლიდერებს“ (Eldem, 2022).

თურქეთის ხელისუფლების პოლიტიკური ხედვის ამოცნობისთვის საინტერესოა ელდემის განცხადება, რადგან როდესაც ვსაუბრობთ გლობალური ლიდერობის ამბიციებზე და საერთაშორისო წესრიგის ცვლილებაზე, ერთი შეხედვით იკარგება შავი

ზღვის უსაფრთხოების ფაქტორი ამ პროცესში, როდესაც ჩრდილო აფრიკის ქვეყნების მოქალაქეების საკვებ პრობლემებზე საუბრობს ერდოღანი, თითქოს მას ბმა არ აქვს რეგიონალურ ლიდერობასთან, თუმცა მსგავსი მსჯელობა არ იქნებოდა მართებული. წარმოდგენელია თურქეთს ჰქონდეს ამბიცია იყოს მულტიპოლარული სამყაროს ერთერთი წამყვანი ქვეყანა, თუ ის არ იქნება შავი ზღვის ლიდერი. სწორედ აღნიშნულისკენ გადადგმულ ნაბიჯებს წარმოადგენს ომის განმავლობაში განხორციელებული აქტები, სწორედ სახელმწიფოებრივი პოლიტიკის პრიზმით თურქეთი ჩამოყალიბდა რეგიონალურ ლიდერად, რომელიც არის დასავლეთის რუსეთთან ურთიერთობის, უკრაინის და რუსეთის მოლაპარაკებების და საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების შემოქმედი.

„დღესდღეობით ყველა აცნობიერებს და ხედავს, რომ რეგიონალური და გლობალური საკითხების გადაჭრა შეუძლებელია თურქეთის გარეშე, უფრო მეტიც ისინი დებულობენ სარგებელს თურქეთთან მეგობრული ურთიერთობებით. ამ ეპოქაში, როდესაც მსოფლიო დგას ახალი და მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე, ჩვენ კიდევ უფრო მეტად გავყვებით არჩეულ პოლიტიკას, რომლის მიხედვითაც თურქეთი იქნება „ქვეყანა, რომელიც კი არ მიჰყვება სხვებს, არამედ ქვეყანა, რომელსაც მიჰყვებიან“. ჩვენ დავაჩქარებთ დემოკრატიზაციის და განვითარების პროცესს, რათა მივაღწიოთ ჩვენს მიზანს, რომელიც არის თურქეთის ძლიერების საუკუნე. იდეა, რომელსაც ჩვენ მივყვებით არის „ახლა და არა ხვალ“, ხსენებული არის საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტის კარგი საშუალება. თურქეთი დაჟინებით გააგრძელებს სამართლიანობის, სინდისის და ლოგიკური თვალსაზრისის წარმოდგენას ყველა ვითარებაში და პირობებში. ჩვენ ყველას მოვუწოდებთ გაერთიანებისკენ დევიზის ირგვლივ „მსოფლიო ხუთზე დიდია“, ჩვენ ამავდროულად შევინარჩუნებთ იმედს და ვიტყვით, რომ „უფრო სამართლიანი სამყარო შესაძლებელია. მთელმა მსოფლიომ დააფასა ჩვენი გულწრფელი და რეალისტური ძალისხმევა ამ პროცესში. გაიგეს, რომ თურქეთ მოქმედებს სამართლიანად, მოაქვს სტაბილურობა, იძლევა ნდობას, მუშაობს მშვიდობისთვის, ემხრობა გადაწყვეტას და არა კრიზისს და რომ თურქეთი ცდილობს მთელი კაცობრიობის კეთილდღეობას და არა მხოლოდ საკუთარი თავის, როგორც ქვეყანა და

ერი, ჩვენ გავაგრძელებთ ამ ისტორიული პასუხისმგებლობით მოქმედებას მომავალშიც“ (Presidency of Republic of Turkey, 2023).

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მედიაციის პროცესის შედეგად თურქეთმა მოახერხა წარმატებით გამოეყენებინა რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად არსებული საერთაშორისო მდგომარეობა, ერთის მხრივ საკუთარი გავლენების შესანარჩუნებლად, ხოლო მეორე მხრივ მათი გაფართოებისთვის. თურქეთის ხელისუფლებამ სათანადოდ იგრძნო საერთაშორისო წესრიგში მიმდინარე გარდაუვალი ცვლილებების იმპულსი და შესაბამისად მედიაციის პროცესით შეძლო საკუთარი პოზიციების განმტკიცება საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე. შეგვიძლია ასევე განვაცხადოთ, რომ ანკარის, როგორც მედიატორის პოზიცია, არ არის განპირობებული რუსეთით ან უკრაინით, საქმე ეხება იმის უზრუნველყოფას, რომ ომის შემდგომი საერთაშორისო წესრიგის ჩამოყალიბებაში მსოფლიოს თუ რეგიონალურ მასშტაბით, საერთაშორისო საზოგადოებას აუცილებლად მოუწევს თურქეთის ინტერესების გათვალისწინება, იდეალურ შემთხვევაში კი თურქეთი იქნება მნიშვნელოვანი შემოქმედი ხსენებული პროცესის.

„ჩვენ ვუცხადებთ მსოფლიოს, რომ ჩვენი ქვეყანა არის არა მხოლოდ მოთამაშე, არამედ თამაშის შემქმნელი“ (THE ASSOCIATED PRESS, 2023).

## 7 თეორიული ანალიზი

თურქეთის მედიატორის როლის შესწავლის დროს ნაშრომში გამოყენებული იქნა ნეოკლასიკური რეალიზმის თეორია. აღნიშნული თეორიის უმთავრეს ღირებულებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ცდილობს საერთაშორისო მოვლენა ახსნას პოლიტიკის ანალიზის სამივე დონის გათვალისწინებით. ნეოკლასიკური რეალიზმისთვის იმისთვის რომ განმარტოს კავშირი პოლიტიკასა და ძალაუფლებას შორის აუცილებელია სრულყოფილად შეისწავლოს კონტექსტი, რომელშიც იქნა მიღებული გადაწყვეტილებები. „ნეოკლასიკური რეალიზმის მიმდევრებისთვის სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკას გააჩნია ბმა შიდა სახელმწიფოებრივ მოვლენებთან. აღნიშნული მიდგომის მიხედვით სახელმწიფოს შინაგანი ფაქტორები, როგორცაა პოლიტიკური და ეკონომიკური იდეოლოგია, ეროვნული ხასიათი და სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა განაპირობებს სახელმწიფოს ქცევას საერთაშორისო ასპარეზზე, თუმცა მას აუცილებლად ესაჭიროება სისტემური ნაწილისგან იმპულსი“ (Rose, 1998).

ნაშრომში განხილულია თურქეთის საგარეო პოლიტიკური არჩევანის ჩამოყალიბებაში სახელმწიფო ლიდერის პერსონალური მსოფლმხედველობის და პერსონალური დიპლომატიის როლი მედიატორის ფუნქციის შესრულებაში. რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობისას თურქეთის მედიაციის პროცესის წარმატებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ერდოღანმა. წლების განმავლობაში ჩამოყალიბებულმა პირადმა მეგობრობამ და ურთიერთობამ დაპირისპირებული სახელმწიფოების ლიდერებთან, ომის დაწყების შემდეგ განაპირობა თურქეთისადმი ნდობა, რაც შემდგომ გადაიზარდა მედიატორობაში, საკითხზე თუ რატომ გადაწყვიტა თურქეთის პრეზიდენტმა ყოფილიყო მედიატორი, ერთ-ერთ პასუხად შეიძლება მოვიხაზოთ, რომ მას აღნიშნული ქმედების განსახოციელებლად გააჩნდა შესაძლებლობები და უნარი, რაც მიღებული შედეგების მიხედვით დადასტურდა. ერდოღანის, როგორც პერსონალური დონის აქტორის გავლენა საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში წლების განმავლობაში იზრდებოდა და ქვეყანა მივიდა მდგომარეობამდე, როდესაც პერსონალურმა დიპლომატიამ ჩაანაცვლა ინსტიტუციური დიპლომატია. სწორედ ამიტომ თურქეთის საგარეო პოლიტიკური ქმედებების შესწავლა ერდოღანის პერსონალური მსოფლმხედველობის გარეშე წარმოადგენს შეცდომას, ვინაიდან როგორც

გიდეონ როუზი საკუთარ ნაშრომში განმარტავს, ერთნაირი შესაძლებლობების მქონე ქვეყნების განსხვავებული ქმედებები განაპირობოს ლიდერმა და ლიდერთა ჯგუფმა. რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობისას კი დავინახეთ, რომ ბევრი სხვადასხვა აქტორის ქმედებების მიუხედავად, სწორედ ერდოლანი გამოდგა პერსონა ვინც მხარეებთან მოლაპარაკებები შეძლო.

ერდოლანის პირადი მსოფლმხედველობის და პერსონალური დიპლომატიის როლი ცალსახად მნიშვნელოვანია, თუმცა არ უნდა მივიჩნიოთ, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მხოლოდ ხსენებული ცვლადი იყო განმაპირობებელი ფაქტორი. თურქეთის მედიატორის როლზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სახელმწიფოს ეკონომიკურმა მდგომარეობამ და საზოგადოებრივმა განწყობებმა. გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ფაქტობრივად შეუძლებელი იყო თურქეთის ხელისუფლებას მიეღო სანქციებთან შეერთების გადაწყვეტილება, ამავდროულად შეუძლებელი იყო უკიდურესი ინფლაციის და უმუშევრობის გათვალისწინებით თურქეთს უარი განეცხადებინა იმ დივიდენდებზე, რაც მედიაციის პროცესის შედეგად მიიღო. საომარი მოქმედებების დაწყების მომენტში თურქეთის ეკონომიკა განიცდიდა მნიშვნელოვან პრობლემებს, გაუფასურებული იყო ეროვნული ვალუტა, რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია უმუშევრობის დონემ, გაიზარდა სასურსათო პროდუქციის ფასი, ინფლაციის დონემ მიაღწია უკანასკნელი 50 წლის მაქსიმუმს და ამასთანავე არასტაბილური ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე შეწყდა უცხო ქვეყნებიდან შემომავალი ინვესტიციები. აღნიშნული ეკონომიკური ფაქტორები ერდოლანს არ აძლევდა თავისუფლად მოქმედების ფუფუნებას. ეკონომიკური მდგომარეობის მიღმა გასათვალისწინებელია შიდა საზოგადოებრივი განწყობებიც, როდესაც თურქეთის ხელისუფლება საომარი მოქმედებების საწყის პერიოდში საკუთარ გასატარებელ პოლიტიკაზე ფიქრობდა, ის აუცილებლად გაითვალისწინებდა შიდა სახელმწიფოებრივ დამოკიდებულებას კონფლიქტისადმი და საზოგადოების ანტი-ამერიკულ და ანტი-დასავლურ განწყობებს.

სტრუქტურულ დონეზე თურქეთს საერთაშორისო ლიდერობის ამბიციები ჯერ კიდევ „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ იწყება, მაშინ როდესაც ბიპოლარული წესრიგის დროს დამარცხდა საბჭოთა კავშირი და არსებობა შეწყვიტა, მსოფლიო

სრულიად ახლებური გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. ამ პერიოდში თურქეთის საგარეო პოლიტიკურ დისკურსში მომძლავრდა რეგიონალური და საერთაშორისო ლიდერობის შესახებ დისკუსიები, რომელიც ეტაპობრივად სახელმწიფოს პოლიტიკად იქცა. „სამართლიანობის და განვითარების პარტიის“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ თურქეთის საგარეო პოლიტიკის უმთავრეს ამოცანად იქცა საერთაშორისო წესრიგში თურქეთის განსაკუთრებული ადგილის განსაზღვრა. აღნიშნული პოლიტიკის კვალდაკვალ თურქეთი მივიდა რუსეთ-უკრაინის ომის დასაწყისამდე, რომელმაც მნიშვნელოვანი პერსპექტივები დასახა ამბიციების განსახორციელებლად. თურქეთის გადაწყვეტილებამ ყოფილიყო კონფლიქტში მედიატორი განაპირობა საერთაშორისო ასპარეზზე თურქეთის ავტორიტეტის და გავლენების გაფართოება. მულტიპოლარულ საერთაშორისო წესრიგში სადაც დიდი ყურადღება დაეთმობა რეგიონალურ ლიდერებს თურქეთის როლი ცალსახად გაიზრდება და ის უკვე აღარ არის ძლიერი საერთაშორისო აქტორების მიმდევარი ქვეყანა, რეგიონალურ ასპარეზზე მსოფლიოს უძლიერეს ქვეყნებს საკუთარ დღის წესრიგს კარნახობს. 20 წლიანი მმართველობის პერიოდში ერდოღანის გლობალური ლიდერობის ამბიციების სრულყოფის შესაძლებლობა გამოჩნდა, რამაც ფაქტობრივად მნიშვნელოვანი გავლენა იქონია თურქეთის გადაწყვეტილებაზე არ ყოფილიყო კონფლიქტის არც ერთ მხარეს და მედიაციის პროცესით გაეტარებინა წმინდად თურქული პოლიტიკა.

სამივე დონის ცვლადისთვის მნიშვნელოვანი ერდოღანის როლი, ცალსახად შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ მეორე, სახელმწიფოებრივ და მესამე, სტრუქტურულ დონეზე თურქეთის არსებული მდგომარეობა თუ მიზნები ნაკარნახევია პირველი პერსონალური დონით, თუმცა არ იქნება მართებული რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობისას თურქეთის საგარეო პოლიტიკური არჩევნის შეფასება, მხოლოდ ერთი დონის მიხედვით, ვინაიდან გადაწყვეტილების მიღებაზე კუმულატიურად იმოქმედა სამივე დონის ცვლადმა, თითოეული მათგანის გამოკლებას შესაძლებელია განსხვავებულ საგარეო პოლიტიკურ არჩევანამდე მივეყვანეთ. თუ არ იქნებოდა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა ძნელად შესაფასებელია აირჩევდა თუ არა თურქეთი მედიატორის როლს, ასევე, რომ არა ერდოღანის პირადი მსოფლმხედველობა ექნებოდა თუ არა თურქეთს საერთაშორისო ლიდერობის ამბიციები ძნელად წარმოსადგენია და ა.შ

ხსენებული ცვლადების ურთიერთმიმართება უსაზღვროდ შეგვიძლია ვცვალოთ, თუმცა ფაქტობრივი მოცემულობა, რომ თურქეთმა აირჩია მედიატორის როლი ანალიზის სამივე დონის გათვალისწინებით შეუცვლელი დაგვრჩება. სწორედ ამიტომ თურქეთი, როგორც მედიატორი ხსენებულ კონფლიქტში წარმოჩნდა სამივე დონის ცვლადის ურთიერთმიმართების შედეგად და გადაწყვეტილებაზე სამივე მათგანმა თანაბრად იმოქმედა.



## 8 დასკვნა:

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის შეიარაღებული ძალების უკრაინის ტერიტორიაზე შეჭრის შემდგომ საერთაშორისო საზოგადოება სრულიად ახალი გამოწვევები წინაშე აღმოჩნდა. ნათელი გახდა, რომ წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული უსაფრთხოების სისტემა არ მოქმედებდა სათანადოდ. ამ დროს საკუთარი პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების დასამტკიცებლად გამოდის თურქეთი. რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობისას თურქეთის მედიაციის პროცესს მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა მხარეთა ურთიერთობების დაახლოებისთვის. თავდაპირველად ერთგვარ პრობლემას წარმოადგენდა თურქეთის აღნიშნული პოზიცია, თუმცა დასავლეთის ქვეყნებმა ნათლად დაინახეს, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებების მედიაციის უნარი მხოლოდ თურქეთს გააჩნია, ვინაიდან ყველა სხვა ქვეყნის თუ ორგანიზაციის მცდელობა უშედეგო გამოდგა. თურქეთის პრეზიდენტის რეჟეპ ტაიპ ერდოღანის გადაწყვეტილება განაპირობა პირველ რიგში ერდოღანის პირადმა მსოფლმხედველობამ, ამბიციებმა და ავტორიტეტმა. ამ ნაწილში მნიშვნელოვანია ერდოღანის მსოფლმხედველობის ჩამომყალიბებელი 4 სხვადასხვა ინსტიტუტის გავლენა მის საგარეო პოლიტიკურ კურსზე. სწორედ ამიტომ ხსენებული ომის დაწყების წინ, როდესაც თურქეთის პრეზიდენტი ფიქრობდა საკუთარი ქვეყნის კონფლიქტის მიმდინარეობისას ქმედებაზე, ცხადია მნიშვნელოვან იმპულსს მედიატორის როლისკენ სწორედ ეს წარსული ცხოვრებიდან აღმოცენებული მსოფლმხედველობაა. თურქეთის მედიაციის პროცესს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია ასევე ერდოღანის პერსონალურმა დიპლომატიამ, ანუ მისმა ახლო მეგობრულმა ურთიერთობამ დაპირისპირებული მხარეების პრეზიდენტებთან. შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნაშრომის პერსონალური დონის დამახასიათებელი დამოუკიდებელი ცვლადი დადასტურდა, ანუ თურქეთის საგარეო პოლიტიკური არჩევანის ჩამოყალიბებაზე გავლენა იქონია ერდოღანის პიროვნულმა თვისებებმა.

თურქეთის საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე უმნიშვნელოვანესი დატვირთვა იქონია უკანასკნელ პერიოდში თურქეთის გაუარესებულმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ. როდესაც საომარი მოქმედებები დაიწყო, დასავლურმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს რუსეთის საერთაშორისო სავაჭრო ბაზრებიდან გარიყვა და მისთვის

ეკონომიკური შემოსავლების შემცირება. სანქციების დაწესებამ მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა რუსეთის ეკონომიკას, თუმცა ეფექტი არ ყოფილა დამანგრეველი, რასაც ხელს უწყობდა სხვადასხვა, ძირითადად ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილი, სახელმწიფოების მიერ სანქციების დაწესებაზე უარის თქმა და ეკონომიკური თანამშრომლობის გაღვივება. ხსენებულ სახელმწიფოთა შორის აღმოჩნდა თურქეთიც, რომელმაც უარი თქვა გაეზიარებინა მოკავშირე დასავლური სახელმწიფოების პოლიტიკა და მედიატორობის გზით სცადა მოეხსნა სანქციების არ დაწესებით გამოწვეული წნეხი. ხსენებულ პერიოდში თურქეთის ეკონომიკა მნიშვნელოვნად გამოსწორდა, გაუმჯობესდა ეროვნული ვალუტის კურსი, შემცირდა უმუშევრობის რიცხვი და გაიზარდა საერთაშორისო ვაჭრობა. ამ პროცესში კი მნიშვნელოვანი იყო რუსეთის ფედერაციის და მისი მოქალაქეების წილი, სწორედ რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღვივებამ მისცა თურქეთს მდგომარეობის გამოსწორების საშუალება, სწორედ მათთან ტურისტულმა მომსახურებამ აღადგინა გაუქმებული და დახურული ტურისტული ცენტრები. აღნიშნული ეკონომიკური მდგომარეობის გავლენა საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე მნიშვნელოვანია, რადგან ეკონომიკა სახელმწიფოს ქმედებების განმაპირობებელი ფაქტორია და მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით თურქეთს შეზღუდული ჰქონდა თავისუფლება გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე. ალტერნატიულ ვითარებაში ძნელად წარმოსადგენია თუ აირჩევდა თურქეთი კვლავ მედიატორის როლი. რაც შეეხება შიდა სახელმწიფოებრივ საზოგადოებრივ განწყობებს, აღსანიშნავია რომ „სამართლიანობის და განვითარების“ პარტიის ლიდერი ერდოღანი 20 წლიანი მმართველობის დროს მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ანტი-დასავლური ნარატივის განვითარებას თურქეთში. რასაც ემატებოდა მისი პირადი პოპულისტური გამოსვლები და განცხადებები. თურქეთის მოსახლეობის ანტი-დასავლური სენტიმენტები ერდოღანის პოპულიზმის გარდა გამოწვეულია, დასავლური ქვეყნების ისლამური სახელმწიფოებში შეჭრიდან. სწორედ ერაყში და ავღანეთში განხორციელებულმა ჰუმანიტარულმა ინტერვენციებმა გამოიწვია ისლამური სამყაროს და დასავლური სამყაროს დაპირისპირება და იმ დროს როდესაც იზრდება ისლამური სიმპათიები თურქეთში, იმავდროულად იზრდება ანტი-დასავლური განწყობებიც. აღნიშნულ ეტაპზე წარმოჩნდა, რომ დადასტურდა მეორე დამოუკიდებელი ცვლადი,

მაშასადამე კვლევაში დადგინდა სახელმწიფოებრივი ფაქტორების როლი მედიატორის როლის არჩევასთან.

საერთაშორისო წესრიგში თურქეთის ადგილის განსაზღვრაზე დისკუსიები „ცივი ომის“ დასრულების შემდგომ იწყება. 20 წლიანი მმართველობის პერიოდში ერდოღანის საგარეო პოლიტიკური დისკურსის ამოსავალი წერტილი იყო საერთაშორისო წესრიგში თურქეთის როლის ზრდა. ამ პერიოდში ის აძლიერებდა თურქეთის ავტორიტეტს, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე. აღნიშნულმა ომმა და თურქეთის წარმატებულმა მედიაციამ, ერდოღანს მისცა შესაძლებლობა ეს წარმატება გამოეყენებინა საერთაშორისო საზოგადოებაში თურქეთის როლის გასაზრდელად. პირველ რიგში ის ომის თავიდან ვერ არიდებაში ადანაშაულებდა ასი წლის განმავლობაში ჩამოყალიბებულ უსაფრთხოების სისტემას, სადაც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა გაეროს უშიშროების საბჭოს, თუმცა მსოფლიომ დაინახა, რომ მთავარი დაპირისპირების წყარო სწორედ 5 მუდმივ სახელმწიფოს შორის არსებული ქიშპია. ამავდროულად გამოჩნდა, რომ ვერცერთმა სახელმწიფომ ვერ მოახერხა მედიაციის წარმატებით დასრულება და მხოლოდ თურქეთი აღმოჩნდა უნარიანი გავლენა მოეხდინა მხარეთა პოზიციებზე, რაც დამატებით იმპულსს აძლევს საერთაშორისო წესრიგში თურქეთის როლის ზრდას. უმთავრესი კრიტერიუმი სტრუქტურულ დონეზე გამოწვეული ცვლილებების განსამარტად არის საერთაშორისო წესრიგის ცვლილება, თუ მივიჩნევ, რომ საერთაშორისო წესრიგი სულ უფრო მეტად იხრება მულტიპოლარული წესრიგისკენ, სადაც მნიშვნელოვანი როლი ექნება რეგიონალურ ლიდერებს, ნათელი გახდება, რომ თურქეთის როლი ამგვარ სიტუაციაში მეტად მაღალი იქნება. ამ ეტაპზე დადასტურდა მესამე დამოუკიდებელი ცვლადი, მაშასადამე სახეზე გვაქვს სტრუქტურულ დონეზე მედიაციის როლის არჩევის გავლენა და მასში თურქეთის ახალი ადგილის განსაზღვრა.

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მიმდინარეობისას დადასტურდა ჰიპოთეზაში მოცემული ფაქტორები, მაშასადამე თურქეთის მედიატორის როლი განაპირობა პრეზიდენტის ერდოღანის პირადმა მსოფლმხედველობამ და ამბიციებმა, თურქეთის გაუარესებულმა ეკონომიკურმა

მდგომარეობამ და შიდა საზოგადოებრივმა განწყობებმა და საერთაშორისო და რეგიონალურ დონეზე არსებულმა გამოწვევებმა.

რაც შეეხება კითხვას, თუ რას უნდა ველოდოთ თურქეთის ხელისუფლებიდან საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე მიმდინარე წლის მასში თურქეთში ჩატარებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა დაგვანახა, რომ თურქეთის საგარეო პოლიტიკურ დისკურსში ცვლილებები ნაკლებად მოსალოდნელია, უფრო მეტიც ხსენებულ პერიოდში სავარაუდოდ გაგრძელდება 20 წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული ე.წ „ნეო-ოტომანიზმი“-ს საგარეო პოლიტიკური კურსი, ამასთან თურქეთი გააგრძელებს მოქმედებას 2 ათეული წლის განმავლობაში სამი ძირითადი პრინციპის შესაბამისად, რომელიც არის: სტრატეგიული ნახევრად დამოუკიდებლობა (ხსენებული გულისხმობს საგარეო პოლიტიკური ამოცანების გადაჭრაში ნატოს უსაფრთხოების სისტემაში ყოფნის გავლენა და ნატოს ზოგადი განცხადებების გზით თურქეთის პოლიტიკური მხარდაჭერა), ბალანსირების პოლიტიკა და მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოებთან ლავირების პოლიტიკა, ამავდროულად თურქეთი რეგიონალურ ასპარეზზე აუცილებლად განაგრძობს უხეში ძალის და ადაპტაციური დიპლომატიის ურთიერთ შეთავსებულ გამოყენებას.

## 9 გამოყენებული ლიტერატურა

- Deutsche Welle English. (2022, February 23). *Deutsche Welle*. Retrieved from <https://www.dw.com/tr/erdo%C4%9Fan-ne-rusyadan-ne-de-ukraynadan-vazge%C3%A7eriz/a-60886805>
- Al Jazeera. (2017, Jul 15). *Al Jazeera*. Retrieved from <https://www.aljazeera.com/news/2017/7/15/turkeys-failed-coup-attempt-all-you-need-to-know>
- AL JAZEERA AND NEWS AGENCIES. (2022, Mar 2). *AL JAZEERA*. Retrieved from <https://www.aljazeera.com/news/2022/3/2/russia-cancelled-black-sea-passage-bid-warships-turkey>
- Apelblat, M. (2022, July 24 ). *The Brussels Times*. Retrieved from <https://www.brusselstimes.com/261144/eu-is-not-accepted-by-russia-as-mediator-to-end-the-war-in-ukraine>
- Bacon, J. L. (2022, May 26). *USA TODAY*. Retrieved from <https://www.usatoday.com/story/news/politics/2022/05/25/ukraine-russia-invasion-live-updates/9916925002/>
- Bangkok Post. (2022, JUL 23). Retrieved from <https://www.bangkokpost.com/business/2352336/russia-ukraine-seal-landmark-grain-deal-in-istanbul>
- Batraway, A. (2022, Sep 20). *PBS News*. Retrieved from <https://www.pbs.org/newshour/world/watch-turkish-president-recep-tayyip-erdogan-addresses-the-2022-united-nations-general-assembly>
- Bekdil, B. E. (2023, Apr 11). *Defense News*. Retrieved from <https://www.defensenews.com/naval/2023/04/11/turkeys-navy-receives-its-largest-ever-ship-the-tcg-anadolu/>
- Bir, G. C. (1998). Turkey's Role in the New World Order . *STRATEGIC FORUM*, 1-6.
- Carneiro, E. A. (2021). *HOW INFLUENTIAL IS THE BLACK SEA IN RUSSO-TURKISH RELATIONS?* Lisbon: The Catholic University of Portugal - Institute of Political Studies.
- Collier, D. (2011, October). *Understanding Process Tracing*. Berkeley, California.
- COMMITTEE ON FOREIGN AFFAIRS. (2023). *LEGISLATIVE REVIEW AND OVERSIGHT ACTIVITIES*. WASHINGTON: U.S. GOVERNMENT PUBLISHING OFFICE.

- COOPER, J. (2023, APRIL 07). *American Military News*. Retrieved from <https://americanmilitarynews.com/2023/04/ukraine-could-negotiate-on-crimea-top-zelenskyy-adviser-suggests/>
- CSR, I. (2023). *The Multipolar World: Meaning, Characteristics, Historical Evolution and Key Pillars*.
- DAILY SABAH WITH AGENCIES. (2021, NOV 22). *DAILY SABAH*. Retrieved from <https://www.dailysabah.com/business/economy/erdogan-says-turkey-will-succeed-in-economic-war-of-independence>
- D'Angelo, M. (2022, March 30). *The Conversation*. Retrieved from <https://theconversation.com/ukraine-war-turkeys-unique-role-in-peace-negotiations-180265>
- Danylov, O. (2023, 05 03). *Mezha*. Retrieved from <https://mezha.media/en/2023/05/03/heavy-turkish-attack-helicopter-tai-t929-atak-2-made-its-first-flight-with-ukrainian-engines/>
- Davutoğlu, A. (1998). The Clash of Interests: An Explanation of the World (Dis)Order. *Journal of International Affairs*, Vol. 2, no. 4.
- Ece Toksabay & David Dolan. (2015, MARCH 15). *Reuters*. Retrieved from <https://www.reuters.com/article/turkey-banks/rise-of-turkish-islamic-banks-chimes-with-erdogans-ideals-idUSL5N0WB3RW20150315>
- Eldem, T. (2022). Explaining Turkish foreign policy moves in the context of Russia's war against Ukraine. *Centre for Applied Turkey Studies*, 2.
- Erdoğan, E. (2023). A foreign policy litmus test: How the war in Ukraine has fuelled populist rhetoric in Erdoğan's Turkey. *European Center for Populism Studies*, 327-338.
- Erlanger. (2022, October 16). *New York Times*. Retrieved from <https://www.nytimes.com/2022/10/16/world/europe/turkey-elections-erdogan-greece.html?auth=login-google1tap&login=google-1tap>
- Euronews . (2023, 04 15). *Euronews* . Retrieved from <https://www.euronews.com/2023/04/11/turkish-navy-launches-uav-and-helicopter-carrier-tcg-anadolu>
- Euronews. (2022, December 12). *Euronews*. Retrieved from <https://www.euronews.com/2022/12/10/turkish-president-erdo-gan-signals-he-will-see-office-for-last-time-in-2023>

- FALK, P. (2022, APRIL 26). *CBS NEWS*. Retrieved from <https://www.cbsnews.com/news/ukraine-war-russia-united-nations-putin-moscow-meeting/>
- Galip L. Yalman, T. M. (2020). *The Political Economy of Financial Transformation in Turkey*. Routledge: Taylor & Francis Group.
- Georgios C. Baltos, I. G. (2017, November). Turkey's Ambitions to Emerge as a Regional Power: Example or Counter-Example for Potential Aspiring Competitors. *Vol 6 No 3*, pp. 33-46.
- GÖKMEN, K. (2022). *THE TURKISH – UKRAINIAN RAPPROCHEMENT IN THE MILITARY DEFENCE FIELD IN THE SCOPE OF THE BLACK SEA REGION*. MIDDLE EAST TECHNICAL UNIVERSITY.
- Goldenberg, M. H. (2003, Jul 8). *the Guardian*. Retrieved from <https://www.theguardian.com/world/2003/jul/08/turkey.michaelhoward>
- Goujon, R. (2018, Aug 16). *Stratfor*. Retrieved 2023, from <https://worldview.stratfor.com/article/making-sense-turkeys-economic-crisis>
- Grigoriadis, I. N. (2010). The Davutoğlu Doctrine and Turkish Foreign Policy. *Middle Eastern Studies Programme*, 12.
- Güngen, Ü. A. (2019). *The making of Turkey's 2018-2019 economic crisis*. Berlin: Institute for International Political Economy (IPE).
- Hurriyet Daily News. (2022 , October 21 ). Retrieved from <https://www.hurriyetdailynews.com/erdogan-to-discuss-nato-bid-with-swedish-pm-in-turkiye-177883>
- Hurriyet Daily News. (2023, April 23). *hurriyet daily news*. Retrieved from <https://www.hurriyetdailynews.com/gokbey-performs-flight-test-with-domestic-engine-182601>
- Husain, A. (2022, Jun 30). *Forbes*. Retrieved from <https://www.forbes.com/sites/amirhusain/2022/06/30/turkey-builds-a-hyperwar-capable-military/?sh=5ebb997355e1>
- Işık, Y. (2022, 02 08). *Middle East Institute*. Retrieved from <https://www.institutmontaigne.org/en/expressions/turkey-walking-tightrope-between-nato-russia-and-ukraine>

- Isil Sariyuçe & Ivana Kottasová. (2019, June 23). *CNN*. Retrieved from <https://edition.cnn.com/2019/06/23/europe/turkey-istanbul-mayor-election-intl/index.html>
- Jamal, U. (2023, May 12). *Al-jazeera*. Retrieved from <https://www.aljazeera.com/news/2023/5/12/turkeys-foreign-policy-from-past-to-potential-post-erdogan-era>
- Jenkins, B. M. (2023, March 6). *The RAND Blog*. Retrieved from <https://www.rand.org/blog/2023/03/consequences-of-the-war-in-ukraine-turkey-and-the-balkans.html>
- Kesgin, B. (2020). Turkey's Erdoğan: leadership style and foreign policy audiences. *Turkish Studies*, 28.
- Kirişci, K. (2022, February 28). *brookings*. Retrieved from <https://www.brookings.edu/>
- Kubilay, M. (2022, October 13). *Middle East Journal*. Retrieved from <https://www.mei.edu/publications/turkish-economy-under-presidential-system>
- Kuleba, D. (2022, Aug 1). Retrieved from <https://twitter.com/DmytroKuleba/status/1554009786659880960?s=20&t=bejxXNk1gtsHaHA5M5FnBg>
- Kusa, I. (2022). *Turkey's Goals in the Russia-Ukraine War*. Washington: Kennan Institute. Retrieved from <https://www.wilsoncenter.org/blog-post/turkeys-goals-russia-ukraine-war>
- Lawler, D. (2022, Nov 9). *Axios World*. Retrieved from <https://www.axios.com/2022/11/08/zelensky-peace-talks-putin-war-criminals>
- Meduza. (2023, May 26). *Meduza*. Retrieved from <https://meduza.io/en/news/2023/05/26/russian-intelligence-ship-returns-to-sevastopol-following-naval-drone-attack>
- Mikhelidze, N. (2023, May 18). *Istituto Affari Internazionali*. Retrieved from <https://www.iai.it/en/pubblicazioni/unpacking-vaticans-diplomatic-failure-reaching-ceasefire-russia-ukraine-war>
- Ministry of Foreign Affairs of the Republic of Türkiye. (2022, march 10). *Ministry of Foreign Affairs of the Republic of Türkiye*. Retrieved from <https://www.mfa.gov.tr/turkiye-rusya-ukrayna-uclu-disisleri-bakanlari-toplantisi--10-mart-2022.en.mfa>



- Oatis, K. L. (2022, April 7). *Reuters*. Retrieved from <https://www.reuters.com/world/europe/russia-says-ukraine-presented-unacceptable-draft-peace-deal-2022-04-07/>
- Oğuzlu, H. T. (2020). Turkish Foreign Policy in a Changing World Order. *All Azimuth*, 127-139.
- Ozberk, T. (2022, Oct 03). *Naval News*. Retrieved from <https://www.navalnews.com/naval-news/2022/10/turkish-shipyard-launches-hetman-ivan-mazepa/>
- Ozberk, T. (2023, Mar 23). *Defense News*. Retrieved from <https://www.defensenews.com/unmanned/2023/03/23/turkish-firm-unveils-anka-3-combat-drone-ahead-of-maiden-flight/>
- Ozberk, T. (2023, Apr 10). *Naval News*. Retrieved from <https://www.navalnews.com/naval-news/2023/04/turkish-navy-welcomes-its-new-flagship-tcg-anadolu/>
- Ozberk, T. (2023, Feb 24). *Naval News*. Retrieved from <https://www.navalnews.com/event-news/navdex-2023/2023/02/turkish-aerospace-works-on-arming-aksungur-uav-with-torpedo/>
- Özgür Ünlühisarcıklı, K. T. (2022, April 14). *German Marshall Fund*. Retrieved from <https://www.gmfus.org/news/turkish-perceptions-european-union-2022>
- Pamuk, H. (2022, March 20). *Reuters*. Retrieved from <https://www.reuters.com/world/us-suggested-turkey-transfer-russian-made-missile-system-ukraine-sources-2022-03-19/>
- Pamuk, S. H. (2023, May 30). *Reuters*. Retrieved from <https://www.reuters.com/world/middle-east/biden-says-he-erdogan-talked-about-f16s-sweden-2023-05-29/>
- Pertsev, A. (2022, October 14). *Meduza*. Retrieved from <https://meduza.io/en/feature/2022/10/14/why-russia-is-pushing-a-return-to-negotiations>
- Presidency of Republic of Turkey. (2022, October 02). *Official Website Presidency of Republic of Turkey*.
- Presidency of Republic of Turkey. (2022, March 24). *Official Website Presidency of Republic of Turkey*.
- Presidency of Republic of Turkey. (2022, August 22). *Official Website Presidency of Republic of Turkey*. Retrieved from <https://www.tccb.gov.tr/en/news/542/139210/-our-country-determinedly-marches-towards-its-goal-of-the-great-and-powerful-turkiye->

- Presidency of Republic of Turkey. (2023, 01 18). *Official Website of the Presidency of Republic of Turkey*. Retrieved from <https://www.tccb.gov.tr/en/news/542/142561/-2023-is-the-beginning-of-the-century-of-turkiye->
- Presidency of Republic of Turkey. (2023, 04 21). *Official Website of the Presidency of Republic of Turkey*. Retrieved from <https://www.tccb.gov.tr/en/news/542/136559/-it-is-an-obligation-for-turkiye-to-have-a-powerful-naval-force->
- Presidency of Republic of Turkey. (2023, January 05). *Official Website Presidency of Republic of Turkey*.
- Presidency of the Republic of Turkey. (2022, 12 09). *Official Website of Presidency of the Republic of Turkey*. Retrieved from <https://www.tccb.gov.tr/en/news/542/142027/-we-work-to-fulfil-our-responsibilities-regarding-regional-and-global-issues->
- Presidency of the Republic of Turkey. (2022, February 28). *Official Website Presidency of the Republic of Turkey*. Retrieved from <https://www.tccb.gov.tr/en/news/542/135831/-we-are-determined-to-use-the-authority-given-by-the-montreux-convention-in-a-manner-to-prevent-the-escalation-of-the-crisis->
- Presidency of the Republic of Turkey. (2022, July 22). *Official Website Presidency of the Republic of Turkey*. Retrieved from <https://www.tccb.gov.tr/en/news/542/138809/-we-are-proud-of-brokering-an-initiative-that-will-play-a-major-role-in-the-solution-of-the-global-food-crisis->
- Presidency of the Republic of Turkey. (2023, January 2). *Official Website Presidency of the Republic of Turkey*. Retrieved from <https://www.tccb.gov.tr/en/news/542/142386/-turning-crises-into-an-opportunity-we-have-reached-the-highest-growth-rates-and-export-figures-in-our-history->
- Presidency of the Respublic of Turkey. (2023, January 05). *Official Website Presidency of the Respublic of Turkey*. Retrieved from <https://www.tccb.gov.tr/en/news/542/142419/-we-have-prevented-the-spread-of-the-fire-in-the-region-with-our-balanced-and-fair-policies-in-the-russia-ukraine-war->
- Ravid, B. (2023, February 23). *Axios from Tel Aviv*. Retrieved from <https://www.axios.com/2023/02/22/israel-russia-invasion-ukraine-bennett-mediation-failure>
- Research, A. (2022, May 3). *AsiaNews*. Retrieved from <https://www.asianews.it/news-en/80-of-Turks-'neutral'-to-war-between-Russia-and-Ukraine-55291.html>

- Reuters/AP. (2022, February 28). *ABC NEWS*. Retrieved from [https://www.abc.net.au/news/2022-02-28/ukraine-russia-peace-talks-belarus-border/100869782?utm\\_campaign=abc\\_news\\_web&utm\\_content=link&utm\\_medium=content\\_shared&utm\\_source=abc\\_news\\_web](https://www.abc.net.au/news/2022-02-28/ukraine-russia-peace-talks-belarus-border/100869782?utm_campaign=abc_news_web&utm_content=link&utm_medium=content_shared&utm_source=abc_news_web)
- Rezaei, A. B. (2022). ERDOĞAN'S ENDLESS DREAMS: The Theoretical and Operational Framework of Turkey's New Foreign Policy. *World Affairs*185(1), 114-146.
- Ripsman, N. M. (2011, June 13). *Lehigh University, Department of International Relations*. Retrieved from <https://doi.org/10.1093/acrefore/9780190846626.013.36>
- Robinson, K. (2022). Turkey's Growing Foreign Policy Ambitions. *Council on Foreign Relations*, 1-12.
- ROMANIUK, R. (2022, MAY 5). *Ukrainska Pravda*. Retrieved from <https://www.pravda.com.ua/eng/news/2022/05/5/7344206/>
- Rose, G. (1998). Neoclassical Realism and Theories of Foreign Policy. *World Politics*, 144-172.
- Ryan, J. (2022, December 19). *Middle East Program at the Foreign Policy Research Institute*. Retrieved from <https://www.fpri.org/article/2022/12/a-poetic-conviction-turkish-courts-sentence-istanbul-mayor-for-speech-crime/>
- Sariyuca, A. C. (2022, July 4). *CNN Business*. Retrieved from <https://edition.cnn.com/2022/07/04/economy/turkey-inflation-food-energy/index.html>
- SCF. (2018, February 6). *Stockholm Center for Freedom*. Retrieved from <https://stockholmcf.org/erdogans-hostile-rhetoric-boosts-anti-west-anti-american-sentiments-in-turkey/>
- SENATE OF THE UNITED STATES. (2019). *A resolution expressing the sense of the Senate that it is the policy of the United States to commemorate the Armenian Genocide through official recognition and remembrance*. Washington: Senate.
- Soylu, R. (2019, February 1). *Middle East Eye*. Retrieved from <https://www.middleeasteye.net/news/anti-us-sentiment-turkey-reaches-new-high-poll-shows#:~:text=A%20new%20survey%20by%20Istanbul's,the%20US%20as%20a%20threat.>

- STUART LAU, H. V. (2023, FEBRUARY 18). *POLITICO*. Retrieved from <https://www.politico.eu/article/china-wang-yi-peace-europe-joe-biden-munich-security-conference/>
- Szymański, A. (2022). Security in Turkish Politics: An Analysis of the Political Discourse of President Recep Tayyip Erdoğan. *Studies in European Affairs*, 55-70.
- Tahiroğlu, M. (2022, May 10). *POMED*. Retrieved from <https://pomed.org/publication/why-turkish-citizens-blame-the-united-states-for-ukraine-war/>
- THE ASSOCIATED PRESS. (2023, Apr 29). *Al Jazeera*. Retrieved from <https://www.aljazeera.com/news/2023/4/29/turkeys-baykar-to-build-new-highly-autonomous-combat-drone>
- Thomas, J. Z. (2023, March 31). *Congressional Research Service*.
- TRT WORLD. (2023, April 1). *TRT WORLD*. Retrieved from <https://www.trtworld.com/turkiye/turkiye-officially-gains-nuclear-status-with-akkuyu-power-plant-erdogan-12993847>
- Turak, N. (2022, JAN 20). *CNBC*. Retrieved from <https://www.cnbc.com/2022/01/13/erdogan-blames-turkeys-currency-woes-on-foreign-financial-tools-as-central-bank-reserves-fall.html>
- Turkish Statistical Institute. (2023, May 1). *TRADING ECONOMICS*. Retrieved from <https://tradingeconomics.com/turkey/inflation-cpi>
- Ucal, A. Ş. (2011). The Personality and Leadership Style of Recep. *Turkish Studies Vol. 12, No. 3*, , 357 – 381.
- UkrinForm. (2022, March 9). Retrieved from <https://www.ukrinform.net/rubric-ato/3424642-kuleba-on-negotiations-with-lavrov-we-will-make-the-most.html>
- Ülgen, A. C. (2022). *Political Change and Turkey's Foreign Policy*. Washington, DC: Carnegie Endowment for International Peace.
- ÜLGÜL, M. (2019). Erdoğan's Personal Diplomacy and Turkish Foreign Policy. *Insight Turkey*, 161-182.
- Wagdy, A. (2022, October 17). *Modern Diplomacy*. Retrieved from <https://moderndiplomacy.eu/2022/10/17/a-multipolar-world-a-transformation-in-the-global-system/>



83%94%E1%83%97%E1%83%98-  
%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A  
%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%94-  
%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E

ოხანაშვილი, ნ. (2018). „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების თეორიული ანალიზი (სამხრეთ კავკასიის შემთხვევა)“. თბილისი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

რადიო თავისუფლება. (2022, აპრილი 15). რადიო თავისუფლება.

ჩქარული, თ. (2022, სექტემბერი 23). რადიო თავისუფლება. Retrieved from <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%98%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%90-%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9B-%E1%83%90%E1%83%96%E1%83%9D%E>

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

*Nika Tugushi*

**Turkey as a mediator in the Russian-Ukraine war**

Diplomacy and International Politics

Master's thesis completed for the degree of Master of Diplomacy and International Politics

Supervisor of Master's thesis:

**Tornike Turmanidze**

Doctor of International Relations

Associate Professor, Department of International Relations, Faculty of Social and Political  
Sciences, TSU

Tbilisi 2023